



სოლო
ტაქსონომია
– სად ვარ მე?

ძვირფასო მასწავლებლებო!
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს: „ინტეგრირებული გაკვეთილები“



mastsavlebeli.ge

მასწავლებლის წიგნი

ინტეგრირებული გაკვეთილები

თამთა დოლიძე
მანანა ბოჭორიშვილი
თინათინ გარდიაშვილი
ინა იმედაშვილი
ნესტან რაბიანი
მანანა სხენიაშვილი
დიანა ანჯიმიადი
ირენა მახარაძე
ნათია შჩავა
ლელა მანგოშვილი
მაია ფირჩხაძე
თამარ მურუსიძე
მაია ჯალიაშვილი



15

12



მასწავლებელი №2(77), 2022

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“
საქართველოს ყველა სკოლაში
უფასოდ რეიდება და ხელმისაწვდომია
თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი
„მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭორიშვილი,
მაია ფირჩხაძე, მაია ჯალიაშვილი,
თეონა ბექაშვილი,
თამარ მურუსიძე, მანანა სეხნიაშვილი,
ოთარ ჯირკვალიშვილი,
ცირა ბარბაქაძე, თემურ სუფაშვილი,
მეგი კავთუაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
მაია მენაბდე, ნინო ლომიძე,
თამთა კობახიძე,
ქეთევან კობალაძე,
ლელა კოტორაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Goto. ავტორი: კობა კერტანიძე.
ყველა უფლება აკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის
შეხვედრებებს. ცალკეულ სტატიაში
დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1
8-374

www.tpdc.ge



ნატო ინგოროყვა

შეიძლება, ეს წერილი
განათლების რომელიმე
მნიშვნელოვან საკითხზე
დაწერილიყო, ან უბრალოდ
ადამიანურ ღირებულებებზე –
მშვიდობაზე, თავისუფლებაზე...
ვერ შევძელი. როცა ომი და
ბავშვები იხოცებიან, რასაც არ
უნდა ვაკეთებდე, ფიქრი იქით
გამიღრბის, სადაც ეს შემზარავი
ამბავი ხდება.

შეიძლება, იმაზეც დამეწერა,
როგორ უნდა მოვიქცეთ ომის
დროს, როგორ დავცემართ
ომში მყოფ მასწავლებლებს
თუ მოსწავლეებს, როგორ
ვესაუბროთ ბავშვებს ომზე. ვერ
შევძელი.

ყურებში გამუდმებით ჩამესმის
მოხალისე გოგონას შეკითხვა
და უკრაინელი ბავშვის პასუხი:

„–სად არიან შენი მშობლები? –
დახოცეს“.

თვალწინ მიდგას:

13 წლის წლის ელისეს დაცხ-
რილული წითელი ქუდი,

4 წლის საშა, რომელიც დედამ
გარდაცვლილი იპოვა,

14 წლის გაუპატიურებული და
ორსული გოგო

და კიდევ რამდენი ასეთი
დაუჯერებელი სისასტიკის
ამსახველი სურათი.

უკრაინელ ბავშვებს სკოლის
ზარის ნაცვლად საჭაერო
თავდასხმის მაუწყებელი
სირენების ხმა ესმით. მიმო-
ფანტული თანაკლასელები,
დახვრეტილი მასწავლებლები,
დანგრეული სკოლები... რაზე
ვწერო, აღარ ვიცი, ამიტომ უკ-
რაინელი ბავშვების წერილებს
გადმოვწერ.

„– დედა, არესტოვიჩის უსმენ
ხოლმე?

– ხანდახან.

– ყოველთვის უსმინე, შეიძლება
თქვას, დაბრუნება შეიძლებაო
და გამოგვრჩეს“.

„დედა, სადაა ის ბიჭი, საზლ-
ვარი მარტომ რომ გადაკვეთა?
მოდ, ჩვენთან წამოვიყვანოთ,
მარტოს შეეშინდება“.

„დედა, კიდევ რამდენი ბომბი
აქვს იმას?“

„დედა, ჩვენი სახლი თუ და-
იბომბა, შეიძლება, იქიდან ჩემი
ლეგო გამოვიტანო?“

„დედა, თუ ღმერთი არ კლავს
პუტინს, გამოდის, რომ ღმერ-
თი უკრაინელებს გაუბრაზ-
და?“

„დედა, კიდევ კარგი, ომი
დილაადრიან დაიწყო,
თორემ მერე ბავშვებს სკო-
ლაში წასვლის დროს მოუსწ-
რებდა“.

„დედა, უკვე აღარ მედარდება
ეს ბომბები, მოდი, კიევში დავბ-
რუნდეთ“.

„დედა, რუსი ბავშვები უყურე-
ბენ ომს? არ ვეცოდებით?“

„დედა, შენ ამბობდი, რომ
ბავშვობის ოცნებები უნდა
ასრულდეს. ჩემი აღარ
სრულდება და უკვე დიდი
ვარ?“

„თუ ომი დიდხანს გაგრძელდა,
მამას ხომ არ დავავიწყდე-
ბით?“

ომი უნდა დამთავრდეს. სხვა
ვერაფერზე ვფიქრობ.



რესურსი

მაია ფირჩხაძე

11 „სწავლის პირამიდა“ და განათლების სისტემის თანამედროვე გამოწვევები

უძველესი დროიდან ცდილობს ადამიანი, დახვეწოს ცოდნის გადაცემისა და ათვისების, ანუ სწავლა-სწავლების ფორმები და დროის მოთხოვნებს შეუსაბამოს. ისტორიულ ახალ დროში ეს მოთხოვნები კიდევ უფრო აქტიური გახდა.

თეონა ბეჩიშვილი

34 რუსეთ-უკრაინის ომის თემა სკოლაში

ვფიქრობ, ამ თემებზე დისკუსია დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია ქართულ სკოლაში. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ეროვნული ღირსების ისე გალევება, რომ მტრის სიძულვილმა ადამიანის დანახვის საშუალება არ დაუკარგოს მომავალ თაობებს.

მანანა სეხნიაშვილი

38 ინტერდისციპლინური სწავლების მნიშვნელობა

მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს მათი სისტემატური აზროვნება, შემეცნებითი ინტერესი, დაეხმაროს მათ არა მხოლოდ ცოდნის შეძენაში, არამედ იმაშიც, რომ ისწავლონ გადაწყვეტილებების მიღება, დამოუკიდებლად აზროვნება და საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ნდობა.

ოთარ ჯირკვალიშვილი

44 თამაშის აკოლოგია

სწორედ იმით, რომ ბავშვი თამაშობს, თამაშობს გულწრფელად და ზოგჯერ გულწრფელობითაც თამაშობს. ბავშვი თამაშით სრულყოფილად ახორციელებს საკუთარ თავისუფლებას. თამაში და თავისუფლება განუყოფელი ცნებებია, ისინი ერთმანეთისგან გამომდინარეობს. სახარებაშიც გვხვდება ასეთი გამონათქვამი: „იყავით ბავშვებივით“.

თემურ სუყაშვილი

50 კომპასი და სხვა რესურსი ადამიანის უფლებების სწავლებისთვის

ამ წერილით მინდა გაგაცნოთ ევროსაბჭოს ეგიდით შექმნილი რამდენიმე სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოები წარმატებით შეიძლება გამოიყენონ, როგორც ფორმალური, ასევე სამოქალაქო კლუბების ფორმატში, ადამიანის უფლებების პრობლემებზე მომუშავე განმანათლებლებმა.

პროფესია მასწავლებელი

მაია ჯალიაშვილი

4 ვინ ასწავლის მასწავლებელს?

სწავლების პროცესში მასწავლებელი თვითონაც სწავლობს, ისიც დიალოგურ ურთიერთობაშია არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ საზოგადოებასთან, სამყაროსთან, პროფესიულ სფეროში განვითარებულ მოვლენებთან. მასწავლებელი გამუდმებით უნდა ეცნობოდეს იმ ძირითად მიღწევებს, რომლებიც არა მხოლოდ პედაგოგიურ, არამედ სამეცნიერო სივრცეშიც იქმნება. ერთი სიტყვით, დროს არ უნდა ჩამორჩეს.

გაკვეთილი

თამარ მურუსიძე

41 მშვიდობის ერთი გაკვეთილი

დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომი, ყველას სატკივარია. ვფიქრობ, შეუძლებელია, საკლასო სივრცეში ამ თემაზე ყურადღება არ გამახვილდეს. მაშ, როგორ დავუკავშიროთ ის მათემატიკის გაკვეთილს?

მოსაზრება

მანანა ბოჭორიშვილი

8 სოლო ტაქსონომია ანუ სად ვარ მე?

სოლო ტაქსონომია არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა სწავლის პროცესში მარტივიდან რთულისკენ.

ცირა ბარბაქაძე

47 შემოქმედებითობა როგორც ოპერაციული სისტემა

კენ რობინსონის მეტაფორებზე დაკვირვება დაგვანახებს, როგორ ჰგავს ზიარტურტელს ადამიანის შინაგანი და გარეგანი. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ გარეგანი მოვლენები ცნობიერების ტრანსფორმაციით ან, პირიქით, გარეგან მოვლენებზე დაკვირვებამ შინაგანი ტრანსფორმაცია განგვაცდევინოს.

მეგი კავთუაშვილი

53 სტიგმატიზირებული დიაგნოზი სკოლაში

ჩვენი სინამდვილე ასეთია – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სტიგმა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთა შორის მშობლებიც არიან, აღარ შესწევთ ძალა, გაუმკლავდნენ ზემოთ ჩამოთვლილ სტრესორებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოებაში იბადება, ვითარდება, თავს ესხმის და უკან სწევს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებს.



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

განათლება -
თავისუფლება!

27 დიანა ანფიმიადი
თანაგრძნობის გაკვეთილები

28 ელიზბარ ელიზბარაშვილი
პერიოდულობის ცხრილი და რუსული ოკუპაცია

29 ირმა ტაველიძე
ომის გრძელი ჩრდილი

30 გიორგი ჭანტურია
ომი და ბავშვები



საერთაშორისო გამოცდილება

36 | ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გერმანულენოვან სივრცეში

თამთა კობახიძე

შეფასება ძირითადად ორიენტირებულია ხარისხის განვითარებასა და საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებაზე. როგორც წინა შემთხვევებში, მატერიალური ბაზის შემოწმება ექსპერტთა მოვალეობებში არ შედის.

მშობელი

ქეთევან კობალაძე

31 | „ზრდასრული ბავშვები“ და მათი მშობლები

მაინც როდის ხდება მოზარდი ზრდასრული? როდესაც რამე ძალიან სერიოზულს აკეთებს? იქნებ მაშინ, როდესაც პირველად აწერს ხელს ხელშეკრულებას? ან იქნებ მაშინ, როდესაც გასაუბრებლად მიდის? თუ მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად იწყებს გადასახადების გადახდას?

პრობლემა

ქეთევან ოსიაშვილი

18 | მოძრაობითი აქტივობის როლი ბავშვის განვითარებაში

დღეს ბავშვების მოძრაობითი აქტივობის სერიოზულ დამაბრკოლებლად მიიჩნევა ასევე უზომო სასკოლო დატვირთვა. ხშირად ეს დატვირთვა ისეთ სახეს იღებს, რომ ბავშვს არა თუ მოძრაი თამაშის, შესაძლოა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დროც კი აღარ დარჩეს. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის პირობებში, როდესაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ოთხ კედელშია გამოკეტილ და ონლაინგაკვეთილზე მყოფ ბავშვს თითქმის სრულიად მოაკლდა ელემენტარული მოძრაობითი აქტივობის შესაძლებლობა.

მაია მენაბდე

24 | აბიტურიენტობის ტვირთი და მისაღები გამოცდების დილემა

საშუალო სკოლა მოსწავლეებს უმნიშვნელოვანეს საბაზისო უნარებს უნდა უვითარებდეს და მრავალმხრივ, ფუნდამენტურ ფაქტორივ ცოდნას აძლევდეს ყველა საფეხურზე. ეს ცოდნა მას უნდა სჭირდებოდეს, განურჩევლად იმისა, უნივერსიტეტში გააგრძელებს თუ არა სწავლას.

შეფასება

ნინო ლომიძე

15 | განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებისგან

მოსწავლეთა ჩართულობისა და შედეგების გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გვეცოდინება, რა ეხმარება მათ ამ შედეგების გაუმჯობესებაში და რა უწყობს ხელს მათი მოტივაციის ამაღლებას. რასაკვირველია, თითოეულ ჩვენგანს აქვს სწავლების საკუთარი სტილი, შეხედულებები, მიმართებები, მეთოდები, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი უკეთ მუშაობს ან სხვა სტრატეგიებზე მეტად მოსწონთ მოსწავლეებს, ღირს დაფიქრებად.

ლელა კობორაშვილი

21 | წერილობითი კომენტარის ძალა

ქულებზე საუბრისას მასწავლებლებს დიდი დაფიქრება გვმართებს. ქულა რთული ქცევის სამართავ ინსტრუმენტად არ უნდა გავიხადოთ. მშობლებიც ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როდესაც შვილებს მაღალ სტანდარტებს ვუწესებთ და ქულების მიხედვით გმართავთ მათ ცხოვრებას. როგორ დავუწერო დაბალი შეფასება ბავშვს, რომელსაც ამის გამო შინ საყვედური და წყრომა მოეღოს?!



მაია ჯალიაშვილი

ვინ ასწავლის მასწავლებელს?

**სწავლების
პროცესში
მასწავლებელი
თვითონაც
სწავლობს, ისიც
დიალოგურ
ურთიერთობაშია
არა მხოლოდ
მოსწავლეებთან,
არამედ
საზოგადოებასთან,
სამყაროსთან,
პროფესიულ
სფეროში
განვითარებულ
მოვლენებთან.
მასწავლებელი
გამუდმებით უნდა
ეცნობოდეს იმ
ძირითად მიღწევებს,
რომლებიც
არა მხოლოდ
პედაგოგიურ,
არამედ სამეცნიერო
სივრცეშიც იქმნება.
ერთი სიტყვით,
დროს არ უნდა
ჩამორჩეს.**

ნებისმიერ პროფესიაში მნიშვნელოვანია განვითარებაზე ზრუნვა. ასეა განათლების სფეროშიც. გონიერი მასწავლებელი მუდმივად გზავს, რომელიც სავსეა ახალ გამოცდილებათა გაცნობით, კრიტიკული გააზრებითა და გაზიარებით. როგორც ლათინური ანდაზა ამბობს: *Usus magister egregius* – გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია. სწავლების ტრადიციული თუ თანამედროვე მეთოდების გათვალისწინება თანაბრად მნიშვნელოვანია. განათლება კულტურის ნაწილია და პროგრესს ერთმნიშვნელოვნად არ ექვემდებარება. ვგულისხმობთ იმას, რომ ახალი ყოველთვის არ არის ძველზე უკეთესი. მაგალითად, სწავლების სოკრატესული მეთოდი, რომელიც დიალოგურ ურთიერთობას, კითხვა-პასუხის ზიგზაგურ სვლით მოსწავლის აზროვნების განვითარებას გულისხმობს, დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ძველ საბერძნეთში. პროგრესი უპირატესად ტექნოლოგიურ განვითარებას გულისხმობს. ამ მხრივ კაცობრიობა მართლაც წინ წავიდა. ინფორმაციის მოსაპოვებლად და დასამუშავებლად დღეს არც მასწავლებელს, არც მოსწავლეს აღარ სჭირდება ბიბლიოთეკის ლაბირინთებში ხეტიალი. კომპიუტერმა, პლანშეტმა და სმარტფონმა სწორი პასუხებისკენ მიმავალი გზა კი გაამარტივა, მაგრამ მისი გააზრება, შეცნობა დღესაც ისევე რთულია, როგორც სოკრატეს მოსწავლეებისთვის.

სწავლების პროცესში მასწავლებელი თვითონაც სწავლობს, ისიც დიალოგურ ურთიერთობაშია არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ საზოგადოებასთან, სამყაროსთან, პროფესიულ სფეროში განვითარებულ მოვლენებთან. მასწავლებელი გამუდმებით უნდა ეცნობოდეს იმ ძირითად მიღ-

წევებს, რომლებიც არა მხოლოდ პედაგოგიურ, არამედ სამეცნიერო სივრცეშიც იქმნება. ერთი სიტყვით, დროს არ უნდა ჩამორჩეს. კარგი იქნება, თუ მონაწილეობას მიიღებს კონფერენციებსა და პროექტებში – ეს ხელს შეუწყობს, რომ არა მხოლოდ სხვათა ნააზრევის გაზიარებელი, არამედ მონაწილე-შემქმნელიც გახდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკუკავშირი, რომელიც პედაგოგმა სხვისგან, უფრო გამოცდილი ადამიანისგან უნდა მიიღოს. ბილ გეიტსმა, რომელსაც უამრავი ინვესტიცია აქვს დაბანდებული მსოფლიოს საგანმანათლებლო პროექტებში, ერთ გამოსვლაში ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამერიკელი მასწავლებლები ნაკლებ უკუკავშირს იღებენ, ეს კი მოსწავლეთა განვითარების არასაკმარის დონეზე აისახება. მან მოიყვანა ჩინეთის მაგალითი, სადაც მასწავლებლებს გამოყოფილი აქვთ დრო იმისთვის, რომ ერთმანეთს გაკვეთილებზე დაესწრონ, მერე ერთად დასხდნენ და ნაკლოვანებები განიხილონ. თვითდაკვირვებისა და რეფლექსიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად და ნიშნულად მან იმ მასწავლებლის გამოცდილება მოიხმო, რომელიც თვითონვე აკეთებდა თავისი გაკვეთილების ვიდეორჩანაწერებს, რომ ხარვეზები შეემჩნია და გამოესწორებინა. ჩვენთანაც არის ეს პრაქტიკა, როდესაც პედაგოგი გარე თუ შიდა დაკვირვებისათვის ატარებს ერთგვარ საჩვენებელ გაკვეთილს, მაგრამ კარგი იქნება, ეს მასწავლებლისთვის სადემონსტრაციო გაკვეთილი კი არ იყოს სტრესის თანხლებით, რადგან ამ ერთმა გაკვეთილმა მისი ბედი უნდა გადაწყვიტოს, არამედ სწავლების პროცესის ნაწილი, პროფესიული სრულყოფის გზაზე გადადგმული ბუნებრივი ნაბიჯი. პედაგოგ-

მა შეიძლება დამოუკიდებლად იმუშაოს ამბზე, გვერდიდან შეხედოს საკუთარ თავს, შეაფასოს საკუთარი თავი, უპასუხოს კითხვას: ბოლო დროს რა მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა წაიკითხა, რომელმაც სულიერად თუ პროფესიულად გაამდიდრა, რაღაც ისეთზე დააფიქრა, რაც აქამდე მივიწყებული თუ შეუმჩნეველი ჰქონდა?

საკავშირებლო პროცესის თვითშესაფასებლად შეიძლება მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა:

- შეძლო თუ არა მრავალფეროვანი, სხვადასხვა სირთულის კითხვის დასმა?
- შეძლო თუ არა სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (თემისა და მიზნების შესაბამისად)?
- შეძლო თუ არა აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვა?
- რა დააკლდა, რომ დასახული თემა ამოეწურა?
- სწორად შეაფასა თუ არა მოსწავლეები?
- დრო როგორ გამოიყენა, სწორად გაანაწილა თუ არა?
- რაზე დაკარგა დრო?
- როგორ მეტყველებდა?
- საკუთარი თუ მოსწავლეების რა შეცდომები გამოეპარა?
- მეტი ყურადღება რაზე უნდა გაემახვილებინა?

ამ და მსგავსი კითხვებით მასწავლებელი შეძლებს საკუთარი ნაკლოვანებებისთვის თვალის გასწორებას, ხარვეზების აღიარებას ისე, რომ თავმოყვარეობა არ შეელახება, მისი შეცდომა ღირსების საქმე არ გახდება. ზოგს შესაძლოა საკუთარ თავთანაღ კი გაუჭირდეს ამგვარი „ურთიერთობა“. საკუთარი ნაკლის დანახვასაც მიჩვევა სჭირდება. შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება გაკვეთილზე „დამსწრეთა“ წრე თვითონვე გააფართოოს; პირველ ეტაპზე ის აირჩიოს, ვისაც მეტად ენდობა (ნდობას ხომ სუბიექტური დამოკიდებულება განსაზღვრავს). ამგვარი დავკვირება რამდენად სასარგებლოა მისთვის, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ თავდაპირველი უარი, „უცხო თვალის“ შიში გადალახოს, სხვათა გამოცდილების საფუძველზე დაასკვნას, რომ ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის, მასწავლებელიც, მარადიული მოსწავლეა. მასწავლებელი კი, სხვებისგან განსხვავებით, როცა რაღაც ახალს ისწავლის, მას იმისთვის იყენებს, რომ მოსწავლეებისთვის ცოდნის გადაცემის, მოტივაციის ამაღლების მეთოდები, ხერხები

გააუმჯობესოს, სწავლის პროცესი საინტერესო და მნიშვნელოვან თავგადასავლად აქციოს.

თანამედროვე სამყაროში მასწავლებელს განვითარების დიდი არჩევანი აქვს. გგულისხმობ ინტერნეტის საშუალებით მისაწვდომ უამრავ აუდიო-ვიდეო თუ წერილობით რესურსს, ტრენინგებს, პროექტებს, რომლებში მონაწილეობაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია თითოეული პედაგოგისთვის. ონლაინ შეხვედრებმა დამლევლი მიმოსვლის პრობლემაც მოაგვარა. ასე რომ, ახლა ერთადერთი კითხვა რჩება პედაგოგს – ჰგონია თუ არა, რომ მასაც სჭირდება მასწავლებელი და ვინ შეიძლება იყოს ის? რა თქმა უნდა, წიგნი (ნაბეჭდი და ელექტრონულიც), ცხოვრება (რეალურიც და წარმოსახულიც) და კოლეგებთან



**სასურველია,
ყველა პედაგოგმა
ინდივიდუალურად
დაუსვას საკუთარ თავს
კითხვები:
ვინ მასწავლის?
მჭირდება თუ არა
სწავლა? ვისგან
შეიძლება ვისწავლო?**

ურთიერთობა. საინტერესო იქნება აგრეთვე მათი პედაგოგიური გამოცდილების გაცნობა, ვინც ჰყვება, რა გზით გადალახა ესა თუ ის პრობლემა.

ამერიკელი პედაგოგი რიტა პირსონი ჰყვება თავისი საინტერესო გამოცდილების შესახებ, რომელიც სხვებსაც შეიძლება გამოადგეთ. როცა სკოლაში მუშაობა დაიწყო, თავდაპირველად ისეთ სუსტ კლასებში შეუშვეს, ხანდახან თურმე ტიროდა კიდეც, რადგან ბავშვები სწავლაში ძალიან ჩამორჩებოდნენ. იგი მიზანსწრაფული ადამიანი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, პრობლემებს კი არ გაჰყევოდა, არამედ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ეპოვა. მან მიზნად დაისახა, უპირველესად, სწავლისადმი ინტერესი გაეღვივებინა მოსწავლეებისთვის, მოტივაცია გაეჩინა, თან ცოდნა მიეცა ბავშვებისთვის და თან მათთვის თვითშეფასებაც აემაღლებინა. რიტას ორიგინალური იდეა გაუჩნდა – მოსწავლეებს უთხრა, რომ ისინი იყვნენ გამორჩეული ბავშვები, რადგან მის კლასში მოხვდნენ, რომ თვითონ საუკეთესო მასწავლებელი იყო, ისინი კი – შესანიშნავი მოსწავლეები. ბედნიერმა შემთხვევამ დააკავშირა ისინი ერთმანეთთან და ახლა ყველას დაუმტკიცებდნენ, რომ არავის არაფერში ჩამოუვარდებოდნენ, პირიქით, სჯობდნენ კიდეც. ამ მოულოდნელი ინფორმაციის გაგება-გაგზრების პროცესში ერთმა მოსწავლემ გაუბედავად იკითხა, მართლაც? მასწავლებელმა უყოყმანოდ დაუდას-

ტურა და გაამხნევა, რომ უნდა ერგებინათ, რას წარმოადგენდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ცოტა სხვაგვარადაც უნდა მოქცეულიყვნენ, რადგან ყურადღების ცენტრში მოექცეოდნენ, ყველა მათ დააკვირდებოდა, ამიტომ, მაგალითად, სკოლის ღერევენებში ძველებურად აღარ უნდა ეხმაურათ. მასწავლებელმა ენთუზიზმის გასაღვივებლად მათ ლოზუნგიც კი მოუფიქრა: „მე პიროვნება ვარ, აქ მოვედი, როგორც პიროვნება და წავალ, როგორც ბევრად უკეთესი. მე ყოვლის-შემძლე ვარ, მე ვიმსახურებ იმ განათლებას, რომელსაც აქ მივიღებ. მე ბევრი რამ უნდა გავაკეთო და წარმატებას მივაღწიო“.

რა თქმა უნდა, სწავლის მოტივაციის ასამაღლებელი ეს ურვეულო ტაქტიკა და სტრატეგია მასწავლებლისგან შემოქმედებით უნარს მოითხოვდა, რის ნაკლებობასაც რიტა პირსონი ნამდვილად არ უჩიოდა. ცოტა ხანში მან კლასს საკონტროლო დააწერინა. ერთმა მოსწავლემ 20-კითხვიანი ტესტიდან 18-ს არასწორად უპასუხა. მასწავლებელმა +2 დაუწერა და თან ლიმილაკის ნიშანიც დაუმატა. მოსწავლეს გაუკვირდა და ჰკითხა: მასწავლებლო, ეს ორიანიო? დიახო. ამას ისევ კითხვა მოჰყვა: მაშ, რატომ მიახატეთ ლიმილაკიო? იმიტომ, რომ ილბიანი ხარო, – უთხრა მასწავლებელმა. შენ ორ კითხვას სწორად უპასუხე, ხომ შეიძლებოდა, არც ერთი



სწორი პასუხი არ გქონდაო. მერე შესთავაზა, ერთად გაეანალიზებინათ დაშვებული შეცდომები, დამაიმედებლადაც ჩაეკითხა: მომდევნო ტესტირებაზე ხომ საუკეთესო შედეგს აჩვენებო? მოსწავლემ მასწავლებლის თანაგრძნობა იგრძნო და გულლიად დაეთანხმა: – დიახ, აუცილებლადო.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის გააზრებულ ქცევას. მას რომ მოსწავლისთვის – 18 დაეწერა, ბავშვს უკეთესობისკენ სწრაფვის იმედი დაეკარგებოდა, +2-მა კი თვითშეფასება არ გაუქრო, პირიქით, იგრძნო, რომ ყველაფრის გამოსწორება იყო შესაძლებელი.

რიტა პირსონი ფიქრობს, რომ მასწავლებელს უდიდესი მოთმინება მართებს, რათა მოსწავლეთა ნდობა დაიმსახუროს. რა თქმა უნდა, მას ყველა მოსწავლე თანაბრად არ მოეწონება. ამიტომაც ასკვნის, რომ პედაგოგები დიდი მსახიობები არიან. მათ გაკვეთილზე თავი უნდა მოაჩვენონ, თითქოს კარგად არიან, თუნდაც დარდის ათასი მიზეზი ჰქონდეთ. მისი აზრით, მასწავლებელმა ყველა სირთულე უნდა გადალახოს და სამყარო უკეთესი გახადოს. მასწავლებლობა ადამიანისთვის მოწოდება თუ არ არის, ის სკოლაში არ უნდა დარჩეს, სხვა გზა უნდა ეძებოს.

ქრისტოფერ ედმინმა (განათლების საკითხების ექსპერტმა) თავის შთამაგონებელ გამოსვლაში (TED-ის პლატფორმაზე) ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება, მასწავლებელმა ისწავლოს ერთგვარი მაგიის, სასწაულის, ჯადოქრობის ხრიკები, რომლებსაც სწავლების პროცესში გამოიყენებს. მისი აზრით, თანამედროვე ახალგაზრდები, მასწავლებლობის მაძიებლები თეორიულ განათლებას იღებენ, კითხულობენ ნაშრომებს, უსმენენ დარგის პროფესორებს, ფიქრობენ, მომავალში თვითონაც როგორ შეცვლიან სხვათა ცხოვრებას, ამისთვის კი „მაგიის ნაპერწკლებია“ საჭირო. მართლაც, სკოლაში მისულ ახალგაზრდა პედაგოგს შესაძლოა თავგზა აებნეს, გაუჭირდეს გეგმებისა და სტანდარტების უღრანში გზის გაკვლევა, თეორიული პრინციპების პრაქტიკული განხორციელება. სამყაროში ერთდროულად არიან სხვადასხვა ცოდნის, ტემპერამენტის პედაგოგები, ზოგს შთამაგონებელი თხრობა აქვს, რომელიც ისე იტაცებს მოსწავლეებს, რომ ყველაფერს ავიწყებს, ზოგს ნაკლები უნარი აქვს იმისა, რომ მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრაციაში დაეხმაროს. ქრისტოფერ ედმინი მარცხების ფრაზას მოიხმობს, რომლის

მიხედვითაც, მოსწავლეს სწავლის პროცესში ზნეობაც ეცვლება და ის შეიძლება ადამიანიდან ანგელოზად გადაიქცეს. ეს მეტაფორა, რა თქმა უნდა, პედაგოგის პოტენციურ შესაძლებლობაზე მიანიშნებს, როგორც აკაკი წერეთელი ამბობს, იმის უნარზე, რომ ადამიანი „კაცად გაზარდოს“, პიროვნებად ჩამოაყალიბოს, რათა მისთვის მარადიული ღირებულებები იქცეს ცხოვრების მთავარი ორიენტირად.

ქრისტოფერ ედმინი ასეთ ორიგინალურ იდეასაც უზიარებს მსმენელს. მან თავისი სტუდენტები – მომავალი პედაგოგები – რეპერტა კონცერტზე გაგზავნა, რათა ენახათ, რა ამაყად მოძრაობდნენ ისინი სცენაზე, ლაპარაკობდნენ ჟესტების მოშველიებით, რა მდიდარი იყო მათი მეტყველება მეტაფორებითა და შედარებებით, როგორ ამახვილებდნენ ყურადღებას მცირე დეტალებზე. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ხანდახან, ვითარების შესაბამისად, ჟესტ-მიმიკის აქტიური თანხლებით, მეტყველების ინტონაციური მიმოხვრით, ხმის მაღალი და დაბალი ტონალობისა თუ რეგისტრის მოდულაციითა და მონაცვლეობით შესაძლებელია „მკვდარი კლასის“ გამოცოცხლება.

ასე რომ, სათაურად გამოტანილ კითხვას, ვინ ასწავლის მასწავლებელს, მრავალმნიშვნელოვნად უნდა ვუპასუხოთ. ნებისმიერი არგუმენტირებული პასუხი მისაღებია. სასურველია, ყველა პედაგოგმა ინდივიდუალურად დაუსვას საკუთარ თავს კითხვები: ვინ მასწავლის? მჭირდება თუ არა სწავლა? ვისგან შეიძლება ვისწავლო? ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ამიტომ ერთისთვის მისაღები მეორისთვის შესაძლოა მიუღებელი და უსარგებლო აღმოჩნდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა, ადამიანს თავიდან რაღაც არ მოსწონდეს, მაგრამ მერე გაიზაროს, სხვის გამოცდილებას ჩაუღრმავდეს და მიხვდეს, რომ მისთვისაც საჭიროა ის, რასაც თავდაპირველად უარყოფდა.

ცვლილებები სამყაროსა და ადამიანის განახლებას უწყობს ხელს. თანამედროვე ტერმინს თუ მოვიშველიებთ, ერთგვარი „გადატვირთვა“ აუცილებელია, რათა სწავლების ჩვეული, გაცვეთილი სისტემა მოდიფიცირდეს, ტრადიციული და ნოვატორული მეთოდების ახალი კომბინაციები შეიქმნას და გაკვეთილის ჩატარებაც და მასზე დასწრებაც ერთდროულად სასარგებლოც იყოს და სასიამოვნოც.





მანანა ბოქორიშვილი

სოლო ტაქსონომია ანუ სად ვარ მე?

სოლო ტაქსონომია არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა სწავლის პროცესში მარტივიდან რთულისკენ.

ბიგსმა და კოლინზმა (1982) შეიმუშავეს დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია – SOLO (Structure of Observed Learning Outcomes). ეს არის სისტემური გზა იმის აღსაწერად, უნარების განვითარებასთან ერთად როგორ უმჯობესდება მოსწავლის პერფორმანსი კომპლექსურობის კუთხით. დონეების დიაპაზონი იწყება უდაბლესი (პრესტრუქტურული) დონიდან და აღწევს უმაღლეს (გაფართოებული აბსტრაქციის) დონეს.

სოლო 1: პრესტრუქტურული დონე

ამ დონეზე მყოფი მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას, აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.

პრესტრუქტურულ დონეზე მყოფ მოსწავლეს ჯერ კიდევ არ აქვს ცოდნა შესასწავლი ან უკვე შესწავლილი მასალის შესახებ. ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მოსწავლეს სასწავლო მასალის შესახებ, არ არის ორგანიზებული, გააზრებული და მასალასთან დაკავშირებული. პრესტრუქტურული

დონე შეიძლება გამოიხატოს ფრაზით – „მე მჭირდება დახმარება ან მიმართულების მიცემა“.

სოლო 2: უნისტრუქტურული დონე

ამ დონეზე მყოფ მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების შესრულება; პარაფრაზირება, იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.

უნისტრუქტურულ დონეზე მოსწავლე სწორად განსაზღვრავს სასწავლო მასალის რომელიმე ასპექტს, თუმცა ეს განსაზღვრება იზოლირებულია და არ არის დაკავშირებული მასალის სხვა კომპონენტებთან. არ არსებობს ახსნა, რომელიც ეხება ფაქტების სხვა ფაქტებთან კავშირს. ამ ეტაპზე ცოდნა იზოლირებულია მთლიანი მასალიდან. შესაბამისად, მსმენელს შესაძლოა ახსოვდეს რომელიმე ფაქტი, მაგრამ ვერ ხვდებოდეს მის მნიშვნელობას.

სოლო 3: ბულტისტრუქტურული დონე

მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია: თვლა, აღწერა, კომბინირება, მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება, პროცედურების შესრულება და ა.შ. ამ დონეზე მყოფი მოსწავლე იგებს მთელი მასალის რამდენიმე რელევანტურ ასპექტს ან რამდენიმე იდეას, რომლებიც გარკვეული გზებით არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თუმცა მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ურთიერთმიმართებების კარგად გაგება. ამ ეტაპზე მოსწავლეებს შეუძლიათ დაამყარონ გარკვეული კავშირები და საკმაოდ კარგად ისწავლონ მთლიანი პროდუქტის რამდენიმე „მცირე ნაწილი“, მაგრამ მათ უჭირთ დავალების ჰოლისტურობის დანახვა.

სოლო 4: მიმართებითი დონე

მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე – როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმან-

ნეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და, ამგვარად, მოსწავლეს აქვს სათანადო კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით.

ამ დონეზე მოსწავლეებს შეუძლიათ იდეების ინტეგრაცია მთელში, ურთიერთკავშირის გაცნობიერება და იდეების ერთმანეთთან დაკავშირება. მათ შეუძლიათ გაიგონ, რა ხდება „სცენის მიღმა“, შეუძლიათ აღმოაჩინონ მიმართებები პრაქტიკასა და თეორიას შორის. ასევე, მათთვის ნათელია მასალის მნიშვნელობა, დანიშნულება და გამოყენების არეალი. ამ ეტაპზე შემსწავლელი მასალის რაოდენობრივი ათვისების პარალელურად იწყებს მასალის თვისებრივად გამიზნარსებას და გაგებას.

სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე

ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია არა მარტო გააბას კავშირები მოცემულ საგნობრივ ჭრილში, არამედ დაამყაროს კავშირი მის მიღმაც; შეუძლია განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები და კონცეფციები ახალ განსხვავებულ კონტექსტში, შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები; შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორეტიკება, ჰიპოთეზირება, შექმნა და ასახვა.

გაფართოებული აბსტრაქციის დონეზე მოსწავლე არა მხოლოდ ცნებათა შორის კავშირს ადგენს,

არამედ ახდენს განზოგადებას ახალ ან წარმოსახვით გამოცდილებებთან. ეს ეტაპი უფრო მრავლისმომცველია და თვისებრივ დონეზე გულისხმობს ნასწავლი მასალის საშუალებით ახლის აღმოჩენას ან შექმნას. გაფართოებული აბსტრაქციის დონეზე მოსწავლეებს შეუძლიათ მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრება და განსხვავებული გზით წარმოდგენა, არსებულის გამოყენება ახალი ცოდნის პროგნოზის, გენერალიზაციის, რეფლექსიისა და შექმნისთვის. მათ შესწევთ უნარი, დაინახონ და ისწავლონ მასალის მიღმა არსებული ძირითადი პრინციპები და სტრუქტურები, განიხილონ სხვადასხვა ვარაუდი მასალასთან მიმართებით.

ზემოთქმული რომ შევჯამოთ: აბსტრაქციის დონეზე იკვეთება ფრაზა – „მე ვიცი, რას ვაკეთებ და რატომ ვაკეთებ“.

გაფართოებული აბსტრაქციისას – „მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად“.

ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისობა სოლო ტაქსონომიასთან

ბლუმის ტაქსონომიისა და სოლო ტაქსონომიის შედარებითი ანალიზის შედეგად ვიღებთ შემდეგ მოცემულობას:


უნიტარუქტურულ დონეს შეესაბამება ცოდნა, გაგება;

მულტისტრუქტურულ დონეს – გამოყენება;

მიმართებით დონეს – ანალიზი;

გაფართოებული აბსტრაქციის დონეს – სინთეზი და შეფასება.

ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისობა სოლო ტაქსონომიასთან



ბლუმის და სოლო ტაქსონომიების შედარება

ბლუმის ტაქსონომია	სოლო ტაქსონომია
ბლუმის ტაქსონომიის დროს დასმული კითხვა და პასუხი ერთი დონის შესაბამისია	სოლო ტაქსონომიის შემთხვევაში კითხვა და პასუხი შესაძლოა სხვადასხვა დონეს შეესაბამებოდეს
ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, ცოდნა გამიჯნულია ინტელექტუალური პროცესისგან	სოლო ტაქსონომია დაფუძნებულია გაგების პროცესზე
ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, მოსწავლე თანდათან მიიწვევს პირამიდის მწვერვალისკენ	სოლო ტაქსონომიის შემთხვევაში მოსწავლე შეიძლება სხვა საფეხურზე გადავიდეს ქვედა საფეხურების გამოტოვებით
ბლუმის ტაქსონომია არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა მარტივიდან რთულისკენ, ემოციური, ფსიქომოტორული და შემეცნებითი მიმართულებით	სოლო ტაქსონომია არის სისტემური მეთოდი, რომელიც აღწერს, როგორ ვითარდება მოსწავლის წარმოდგენა სწავლის პროცესში მარტივიდან რთულისკენ
განვიხილოთ დავალება, რომელიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სხვადასხვა ფერისა და ფორმის გეომეტრიული ფიგურებისგან ააწყონ აპლიკაცია თემაზე „ადამიანის საცხოვრებელი“.	

ბიგსმა და კოლინზმა შეიმუშავეს დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია – SOLO. ეს არის სისტემური გზა იმის აღსაწერად, უნარების განვითარებასთან ერთად როგორ უმჯობესდება მოსწავლის პერფორმანსი კომპლექსურობის კუთხით.

პრესტრუქტურულ დონეზე – მოსწავლე ვერცერთ დეტალს ვერ იყენებს და ელოდება მასწავლებლის დახმარებას.

უნისტრუქტურულ დონეზე – მოსწავლე ფიგურებს აჯგუფებს ერთი ნიშნის (ფერის ან ფორმის) მიხედვით.

მულტისტრუქტურულ დონეზე – მოსწავლე აკავშირებს ერთმანეთთან საცხოვრებელ შენობას, კარს და ფანჯრებს.

მიმართებით დონეზე – მოსწავლე აწყობს სახლს.


გაფართოებულ დონეზე – მოსწავლე აწყობს ქალაქის ტიპის დასახლებას.

მულტისტრუქტურულზე – როდესაც შემიძლია აღწერა, გამოთვლა და ა.შ.

მიმართებითზე – როდესაც შემიძლია ახსნა, ანალიზი და ა.შ.

გაფართოებულ, აბსტრაქტულ დონეზე – როდესაც შემიძლია შექმნა, შეფასება და ა.შ.

სოლო ტაქსონომია მეხმარება გავარკვიო სად ვარ მე?



აპლიკაცია სხვადასხვა ფერისა და ფორმის გეომეტრიული ფიგურებით – თემაზე: ადამიანის საცხოვრებელი



სოლო ტაქსონომია მეხმარება მოსწავლეს იმის გარკვევაში, სად არის სასწავლო მიზნის მიღწევის გზაზე. და ეს მისი უფლებაა!



<https://www.youtube.com/watch?v=hqDZi5Bpfus>

სოლო ტაქსონომია მეხმარება, გავარკვიო, სად ვარ მე

პრესტრუქტურულზე – როდესაც არ შემიძლია დამოუკიდებლად და დახმარება მჭირდება.

უნისტრუქტურულზე – როდესაც შემიძლია მარტივი ინსტრუქციების შესრულება, დასათაურება, დასურათება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Collis, K. (1982). Evaluating the Quality of Learning: The SOLO Taxonomy. New York: Academic Press.
2. ვულფოლკი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.



მაია ფირჩაძე

„სწავლის პირამიდა“ და განათლების სისტემის თანამედროვე გამოწვევები

უძველესი დროიდან ცდილობს ადამიანი, დახვეწოს ცოდნის გადაცემისა და ათვისების, ანუ სწავლა-სწავლების ფორმები და დროის მოთხოვნებს შეუსაბამოს. ისტორიულ ახალ დროში ეს მოთხოვნები კიდევ უფრო აქტიური გახდა. ამ მხრივ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწიეს განმანათლებლებმა და ერთგვარად განსაზღვრეს კიდევ უახლოესი პერიოდის კონკრეტული ამოცანები. მაგრამ განმანათლებელთა ეპოქისთვის დამახასიათებელი ცოდნის გადაცემის ფორმები და მიღწევის გზები გლობალიზაციის ეპოქაში აქტიურად ჩაანაცვლა კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებულმა სასწავლო პროცესმა, და ესეც ისევ დროის მოთხოვნის გამო, რადგან XXI საუკუნის ადამიანს დასჭირდა არა უბრალოდ „ცოდნა“, არამედ „ცხოვრების უნარი“, ანუ ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, კომპეტენციების ჩამოყალიბება. ამან განაპირობა ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მახასიათებლად კომპეტენციების წინ წამოწევა – სტანდარტები აიგო არა „კვალიფი-

კაციის“ მიდგომის საფუძველზე (სპეციალისტების მომზადება), არამედ დაეფუძნა კომპეტენციებს, რაც გულისხმობს „მონაწილეობას“ (კომპეტენცია განიხილება როგორც „ცოდნა“, ხოლო კომპეტენტურობა – როგორც „უნარი“). შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი ტრანსფორმირდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: „**ცოდნის სწავლა**“ („სწავლის სწავლა“), „**სწავლა კეთებით**“, „**ერთად ცხოვრების სწავლა**“ და „**ცხოვრების სწავლა**“.

შედეგად სასკოლო განათლების სისტემაშიც აქტიურად გახდა კომპეტენციებზე მუშაობა. ამ მიმართულებით საქართველოს განათლების სისტემაში წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი კომპეტენციებით, რომელთა საჭიროებაც თანამედროვე ცხოვრებითაა განპირობებული.

რადგან სწავლება თეორიაცაა და პრაქტიკაც, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, როგორ

შევაფასოთ კომპეტენციების შეძენისკენ მიმართული დავალებების შედეგიანობა. ამისთვის მნიშვნელოვანია:

- 🍏 განვსაზღვროთ სასწავლო ამოცანის მიზანი;
- 🍏 დავალების შესაბამისობა განვითარების (აზროვნების) დონესთან (ბლუმის რ დონე);
- 🍏 მოსწავლე მიზნამდე უნდა მივიდეს აზროვნების პირველი-მესამე დონის ფარგლებში (დავალების ძირითადი ნაწილი);
- 🍏 თითოეული დონის დასაუფლებლად მოსწავლემ უნდა შეასრულოს, სულ მცირე, 3-5 სავარჯიშო;
- 🍏 აზროვნების მეოთხე-მეხუთე დონეზე მოსწავლემ უნდა დაინახოს (მისთვის ნათელი უნდა გახდეს), რა შესძინა დავალებების შესრულებამ;
- 🍏 მეექვსე დონეზე დავალება მეტასაგნობრივია და მოსწავლეს უყალიბდება ცხოვრებისეული გამოცდილება, ქცევის შესაბამისი უნარ-ჩვევები;
- 🍏 წარმატებაზე (წარუმატებლობაზეც), საზოგადოდ,

უძველესი დროიდან ცდილობს ადამიანი, დახვეწოს ცოდნის გადაცემისა და ათვისების, ანუ სწავლა-სწავლების ფორმები და დროის მოთხოვნებს შეუსაბამოს. ისტორიულ ახალ დროში ეს მოთხოვნები კიდევ უფრო აქტიური გახდა.

კომპეტენციებისკენ მიმართული მიდგომის გამოყენებისას მოსწავლე ადვილად აცნობიერებს ამოცანის არსს, აფასებს ახალ გამოცდილებას, რომელიც ამოცანის ამოხსნით, პრობლემის გადაჭრით მიიღო, ნათლად ხედავს საკუთარ ქმედებებსა და პროგრესს.

- კლასში განსაკუთრებული აქცენტი არ დაისმის;
- მასწავლებელი არ არის ძირითადი „მოსაუბრე“ გაკვეთილზე – ძირითადია მოსწავლე (მაგალითად, მასწავლებელი საგაკვეთილო დროის მხოლოდ 7-15 წუთს იტოვებს თავისთვის);
- მთელი საორგანიზაციო ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას;
- ეფექტური და წარმატებული სასწავლო პროცესის მისაღწევად გამოიყენება სააზროვნო პროცესების გააქტიურებისკენ მიმართული მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ზრდის მოსწავლის მოტივაციას და ხელს უწყობს ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენება-განვითარებას.

ეკონომიკურად დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კომპეტენციებისკენ მიმართული სწავლება, საზოგადოდ, ნაცადი პრაქტიკაა. მისი საფუძველია ბლუმის ტაქსონომია – სააზროვნო პროცესების კოგნიტიური იერარქია, რომლის დროსაც აზროვნების ყველა დონეზე თვალსაჩინოა, რას აკეთებს მოსწავლე კონკრეტული უნარ-ჩვევების სახით (და ბლუმის გამოყენებაც სწორედ ამიტომ დაიწყეს განათლების სისტემაში – ის ხელს უწყობდა ისეთი კომპეტენციის მქონე მოსწავლის აღზრდას, რომელიც სწრაფად დაძლედა საბაზრო ეკონომიკის უმარტივეს გამოწვევებს. მაგალითად, დაიმასოვრო მასალა და უპასუხო კითხვებს – ცოდნის დაგროვებისკენ მიმართული აქტივობაა,

ჩასვა ფორმულაში სათანადო მონაცემები – ცოდნის გამოყენება, ამოცნობა მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან შენი მიზნის შესაბამისი – უნარების გამოვლენა, გამოიყენო შენი ცოდნა და უნარი კლასგარეშე პრაქტიკულ სიტუაციებში – კომპეტენტურობის დადასტურება და ა.შ.). უფრო თვალსაჩინოდ ბლუმის დონეებსა და შესაბამის კომპეტენციებს აჩვენებს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი:

განვითარების დონე	კომპეტენციის დონე
ცოდნა / გაგება / გააზრება	შეუძლია იპოვოს და მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა ტექსტიდან
გაგება / გამოყენება	სხვადასხვა ტექსტიდან ამოღებულ ინფორმაციას იყენებს სხვადასხვა სახის პრობლემის გადასაჭრელად
ანალიზი / სინთეზი	აანალიზებს / აჯგუფებს ინფორმაციას, რომელიც მიიღო სხვადასხვა ხასიათის ტექსტიდან
შეფასება (რეფლექსია)	აფასებს ტექსტის შინაარსს და ფორმას საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში
შეფასება (რეფლექსია) საგანთშორისი ინტეგრაცია	აფასებს ტექსტის შინაარსს და ფორმას / შეუძლია ცოდნის ინტეგრაცია და ტრანსფერი
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური	აფასებს ნარატივის შინაარსს მორალის და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პოზიციიდან; ნარატიული მასალის მიმართ შეუძლია საკუთარი პოზიციის ფორმირება

მართალია, დღეისთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოლო-ტაქსონომიას, მაგრამ ძირითადი აქცენტები ისევ „იერარქიული“ და „პირამიდისებური“. მთავარი აქცენტი აქ დაისმის შედეგიანობაზე, კომპეტენციებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მაქსიმალურ ეფექტ-

ზე. სწავლის პირამიდა, ბლუმის მსგავსად, საფეხურების მიხედვით გვიჩვენებს:


- რომელ ეტაპზე რამდენად აქტიურია მოსწავლის სააზროვნო პროცესები, როგორია კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარების დონე და რა არის მისი მოსალოდნელი შედეგი.

სწავლის პირამიდა, იგივე „სწავლის კონუსი“ (სურ. 1),

სწავლის მოდელია, რომელიც თვალსაჩინოს ხდის სწავლის ზოგიერთი ფორმის (მეთოდის) ეფექტიანობას სხვა ფორმებთან (მეთოდებთან) შედარებით და მიუთითებს, რომ არსებობს სწავლის განსხვავებული მეთოდები, რომლებიც მიმართულია უფრო ღრმა და საფუძვლიანი

დასწავლისკენ. ზოგიერთი ხელს უწყობს მასალის დიდი ხნით დამახსოვრებას (მაგალითად, ლექციის მოსმენით ჩვენ ვიმას-სოვრებთ მასალის მხოლოდ 5%-ს, ხოლო როდესაც სხვას ვასწავლით – მასალის 90%-ს). ამიტომაცაა „პირამიდაზე“ კონკრეტული მინიშნება პასიურ და აქტიურ სწავლასა და შესატყვის ფორმებზე.

სწავლის პირამიდა – 2020




სურ. 1. სწავლის პირამიდა
(The learning pyramid (Learning Pyramid, 2020))

პასიური სწავლა – სწავლის ყველაზე გავრცელებული გზაა, ესაა მოსმენა, კითხვა, ყურება და დემონსტრირება, რომელთა საშუალო შედეგიანობა შესაბამეა 30%-ს. რაც შეეხება აქტიურ სწავლას – მას შედარებით იშვიათად მიმართავენ სასწავლო პროცესში (ჯგუფური დისკუსიები, პრაქტიკული სავარჯიშოები, ურთიერთსწავლება), თუმცა მისი შედეგიანობა სწავლის დროს დაახლოებით 70%-ზე მეტია. მოცემული მეთოდების გამოყენებისას მოსწავლეს აზროვნების გააქტიურების, სწავლის შეჯამების, ნებისმიერი ინფორმაციის მაქსიმალურად აღქმის რეალურ საშუალებას ვაძლევთ. ეს აქტიური სწავლის ეტაპია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის

გამოცდილებას. საგაკვეთილო საქმიანობისას მასწავლებელი ცალკეულ აქტივობებზე გარდაქმნის თითოეულ ამ ეტაპს და საინტერესო შედეგამდე მიიყვანს მოსწავლეს.

მოცემული პირამიდის ვარიანტული მიდგომა ე.წ. იუნესკოს სწავლის პირამიდაც (სურ. 3), სადაც მოსწავლის საქმიანობის თითოეული ეტაპი, შედეგიანობის მიხედვით, შეესაბამება 10-ბალიანი სკალის ცალკეულ დანაყოფს. შეიძლება, მასწავლებელმა ეს თავისი გაკვეთილის მორგანიზებელ სქემადაც კი წარმოიდგინოს:

სწავლის პირამიდა (იუნესკო)



(იხ.: Learning at the bottom of the pyramid: Science, measurement, and policy in low-income countries

<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000265581>)

ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლის მეთოდისა და კონკრეტული ნაბიჯების ეფექტიანობაზე (როგორც უნდა იყოს ისინი წარმოდგენილი სასწავლო პირამიდაში) გავლენას ახდენს მოსწავლის უნიკალური სწავლის სტილი: ზოგიერთი მოსწავლე ინფორმაციას ყველაზე უკეთ იმახსოვრებს და ითვისებს ვიზუალური (სივრცითი) სწავლის გზით, ზოგი კი – მოსმენით, ამიტომ მნიშვნელოვანია, დავებმართო

მოსწავლეს სწავლის სტილის პოვნაში. მთავარია, არჩეული გზა იყოს მრავალფეროვანი და მიმართული უკეთესი შედეგისკენ. მაგალითად, არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ლექცია/ მასალის ზეპირი გადმოცემა ინფორმაციის დამახსოვრების ყველაზე ნაკლებად ეფექტური სასწავლო მეთოდია. ლექციური მეთოდი ისევე საჭირო და მნიშვნელოვანია, როგორც სასწავლო პირამიდაში წარმოდგენილი ნებისმიერი სხვა. მაშინაც კი, თუ ვერ მოხერხდა ყველაფრის დამახსოვრება, რაც ლექციური მეთოდის გამოყენებით ისწავლება, შენიშვნები, რომლებსაც

იღებენ მოსწავლეები ასეთი შეხვედრების დროს, შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს შედეგის თვალსაზრისით.

მთავარია, რომ სწავლის პირამიდა მკაფიოდ აჩვენებს იმ გზებს, რომლებზეც უნდა დაისვას აქცენტი წარმატების მისაღწევად. ამიტომ არის, რომ სწავლის პირამიდა სწავლის შედეგების გაზომვისთვის, ელემენტარული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რაოდენობის განსაზღვრისთვის აქტიურად გამოიყენე-

კომპეტენციებისკენ მიმართული მიდგომის გამოყენებისას მოსწავლე ადვილად აცნობიერებს ამოცანის არსს, აფასებს ახალ გამოცდილებას, რომელიც ამოცანის ამოხსნით, პრობლემის გადაჭრით მიიღო, ნათლად ხედავს საკუთარ ქმედებებსა და პროგრესს.

ბა ე.წ. განვითარებად ქვეყნებში, სადაც დაბალი შემოსავლების გამო განათლების სისტემას აქტიური დახმარება სჭირდება (UNESDOC – Learning at the bottom of the pyramid: Science, measurement, and policy in low-income countries). ამ შედეგების გათვალისწინებით და სწავლის პირამიდის მოქნილი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას უწყობს ხელს, შესაძლებელია წარმატების მიღწევა და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი კომპეტენციების დაუფლება.

კომპეტენციებისკენ მიმართული მიდგომის გამოყენებისას

მოსწავლე ადვილად აცნობიერებს ამოცანის არსს, აფასებს ახალ გამოცდილებას, რომელიც ამოცანის ამოხსნით, პრობლემის გადაჭრით მიიღო, ნათლად ხედავს საკუთარ ქმედებებსა და პროგრესს. ეს მისთვის, მოტივაციის თვალსაზრისით, გადამწყვეტია და ის აგრძელებს წინსვლას ცოდნის დაუფლებისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზაზე.



განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებისგან



ნინო ლომიძე

თუ მოსწავლეებს დავუსვამთ „სწორ“ კითხვებს, თუ გამოვხატავთ გულწრფელ სურვილს, მოვისმინოთ მათი უკუკავშირი, თუ ნამდვილად გვინტერესებს, რას ფიქრობენ ისინი სწავლების ჩვენებულ მეთოდზე, სტილზე, პროფესიონალიზმზე, საგაკვეთილო პროცესსა და, საზოგადოდ, საგანზე, ბევრ საინტერესოსა და მნიშვნელოვანს შევიტყობთ, რაც განვითარებაში დაგვეხმარება.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებისგან – უჩვეულო სიტყვათწყობაა? შესაძლოა, მაგრამ ეს აქტივობა ძალიან საჭირო და სასარგებლოა.

რატომ?

რამდენიმე მიზეზის გამო:

1. მოსწავლეთა ჩართულობისა და შედეგების გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გვეცოდინება, რა ეხმარება მათ ამ შედეგების გაუმჯობესებაში და რა უწყობს ხელს მათი მოტივაციის ამაღლებას. რასაკვირველია, თითოეულ ჩვენგანს აქვს სწავლების საკუთარი სტილი, შეხედულებები, მიმართებები, მეთოდები, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი უკეთ მუშაობს ან სხვა სტრატეგიებზე მეტად მოსწონთ მოსწავლეებს, ღირს დაფიქრებად.

2. მოსწავლეთა გამოცდილების, განწყობა-დამოკიდებულებების კვლევა, მათი შეფასებები, ასევე იმის რწმენა, რომ მათ შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ სწავლების ხარისხის ამაღლებაში, გავლენას ახდენს დისციპლინისა და ორგანიზებულობის ხარისხზე.
3. შემაჯამებელი საშუაოები, ჩვენი განმსაზღვრელი შეფასებები და პროცენტებში გამოთვლილი შედეგები რეალურად არაფერს გვეუბნება მოსწავლეთა დამოკიდებულებებსა და შინაგან მოტივაციაზე. უმაღლესი შეფასება, ტესტებსა და შემაჯამებლებში ნაჩვენები კარგი ან საუკეთესო შედეგები არაფერს გვეუბნება ჩვენი მოსწავლეების შინაგან მიმართებებზე. შესაძლოა, მოზარდს ჰქონდეს კარგი ნიშნები, მაგრამ საგანი მისთვის არაფრის მომცემი და უინტერესო იყოს.
4. მოსწავლეების მოსმენა, მათი გულწრფელი შეფასებები საშუალებას მოგვცემს, ფართო სურათი დავინახოთ. გარდა საკუთრივ საგნის სწავლებისა, მათ ნაწერებში შეიძლება მნიშვნელოვანი სიგნალების ამოკითხვაც. მოზარდებს სჭირდებათ გრძნობების გაზიარება. ვინ იცის, რა წუხილი, რა ტკივილი, რა განცდა აქვთ გასაზიარებელი. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, ხმა მიაწვდინონ იმას, ვისაც ენდობიან. ეს მნიშვნელოვანია.
5. თვითგანვითარება – მასწავლებელს სჭირდება იმის ცოდნა, რა გამოსდის კარგად.

უძველესი დროიდან ცდილობს ადამიანი, დახვეწოს ცოდნის გადაცემისა და ათვისების, ანუ სწავლა-სწავლების ფორმები და დროის მოითხოვნებს შეუსაბამოს. ისტორიულ ახალ დროში ეს მოთხოვნები კიდევ უფრო აქტიური გახდა.

**თუ მოსწავლეებს
დავუსვამთ „სწორ“
კითხვებს, თუ
გამოვხატავთ
გულწრფელ სურვილს,
მოვისმინოთ
მათი უკუკავშირი,
თუ ნამდვილად
გვაინტერესებს, რას
ფიქრობენ ისინი
სწავლების ჩვენეულ
მეთოდზე, სტილზე,
პროფესიონალიზმზე,
საგაკვეთილო
პროცესსა და,
საზოგადოდ, საგანზე,
ბევრ საინტერესოსა
და მნიშვნელოვანს
შევიტყობთ, რაც
განვითარებაში
დაგვხმარება.**

სჭირდება აღიარება, სად არის მისი სუსტი
წერტილი, რა აქვს გასაუმჯობესებელი.
მოსწავლეებს შეუძლიათ, ფასდაუდებელი
დახმარება გაგვიწიონ ამ კუთხით.

სანამ მოსწავლეებს ვთხოვთ, დახმარება
გაგვიწიონ და შეგვაფასონ, უნდა შევემზადოთ.
უარყოფითი კომენტარი, კრიტიკული მოსაზრე-
ბა არ არის ადვილი გადასახარში. მზად უნდა
ვიყოთ იმისთვის, რომ შესაძლოა, უკუკავშირი
მტკიცეული მოგვეჩვენოს. მიეცით პირობა
საკუთარ თავს, რომ კრიტიკას განვითარებისთვის
გამოიყენებთ.

ჰკითხეთ საკუთარ თავს:


- 🍏 როგორ გრეაგირებ კრიტიკაზე?
- 🍏 რისი მოლოდინი შეიძლება მქონდეს, თუ
მოსწავლეებს ვთხოვ, განმავითარებელი
შეფასება დამიწერონ?
- 🍏 მოსწავლეების გულწრფელი კრიტიკის ან
უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში

მეყოფა პროფესიონალიზმი, პიროვნულად არ
მივიღო კრიტიკა? იქნება თუ არა ეს შესაძ-
ლებლობა, დავფიქრდე, რისი გამოსწორება
შემიძლია? თუ პირადი წყენა იმძლავრებს?

- 🍏 ბოლოს როდის მოვისმინე ჩემი მისამართით
გამოთქმული კრიტიკული მოსაზრება? რა
ვიგრძენი?
- 🍏 მზად ვარ კრიტიკისა და შეფასებისთვის
მოსწავლეების მხრიდან?

მომზადდეთ მოსწავლეებიც

- 🍏 აუხსენით, რას და რატომ აკეთებთ;
- 🍏 გულწრფელად გაუზიარეთ აქტივობის
მიზანი – თქვენ გასურთ ობიექტური შეფასების
მოსმენა. ეს დაგეხმარებათ განვითარებაში,
სწავლების ხარისხის ამაღლებაში;
- 🍏 სთხოვეთ, იყვნენ ობიექტურები. არ მოერი-
დონ კრიტიკულ შენიშვნებს;



- დაუტოვეთ არჩევანი – მათ შეუძლიათ, სახელისა და გვარის გაცხადების გარეშე ჩაგაბარონ შეფასება, მაგრამ თუ საკუთარ მოსაზრებებს არაანონიმურად გაგიზიარებენ, ეს უფრო მეტად დაგეხმარება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაში;
- კლასში უნდა იყოს სრული სიჩუმე და სამუშაო განწყობა. ამისთვის შეიძლება გაკვეთილის ბოლო 15 წუთის მოტოვება ან სულაც საგანგებო შეხვედრის მოწყობა;
- ეს აქტივობა ვერ იქნება სავალდებულო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეფასდეს მასწავლებლის მხრიდან. განხილვასა და საუბარს მასწავლებელი დროს მოგვიანებით დაუთმობს, მაგრამ სახელობითად, რომელიმე ნაწერის სხვებისთვის გაზიარება, შეფასება, სხვების თანდასწრებით განხილვა დაუშვებელია. მოსწავლეების კონფიდენციალურობა გარანტირებული უნდა იყოს. შეფასებებს არავინ წაიკითხავს თქვენ გარდა!

ინსტრუქცია:

დაარიგეთ ფურცლები.

სთხოვეთ მოსწავლეებს, წერილობით უპასუხოთ დასმულ კითხვებს. აცნობეთ, რომ შეუძლიათ, მიუთითონ ვინაობა. თუ ინკოგნიტოდ დარჩენა სურთ, ესეც მათი უფლებაა.

შეგიძლიათ, კითხვები წინასწარ ჩამოწეროთ დაფაზე ან დასარიგებელ ფურცლებზე.

კითხვები:

- სწავლის პროცესი შენთვის არის მარტივი, ძალიან მარტივი, რთული თუ ძალიან რთული?
- შეგიძლია თუ არა იმის თქმა, რომ პროცესი, შეფასება, გაკვეთილის მიმდინარეობა სამართლიანია?
- რამდენად გაქვს საშუალება, შენთვის საინტერესო კითხვები დამისვა?
- შეგიძლია თუ არა იმის თქმა, რომ გაკვეთილზე დროს არ კარგავ, იქნა რამე ახალს, მნიშვნელოვანს?
- რა მოგწონს ყველაზე მეტად ჩემს გაკვეთილებში?
- რა არ მოგწონს?

- შენი აზრით, რა უნდა ვიცოდეთ იმისთვის, რომ გაკვეთილები და, საზოგადოდ, სწავლების პროცესი გაგაუმჯობესო?
- ერთი რამის შეცვლა რომ შემიძლოს, აუცილებლად შევცვლიდი...
- რას მირჩევ?

შეფასებების მიღებისა და გაცნობის შემდეგ:

- ისაუბრეთ კლასში თქვენს სამომავლო გეგმებზე. როგორ დაგეხმარათ მიღებული ინფორმაცია? რა შეიტყვეთ მნიშვნელოვანი?
- დაუშვებელია საპასუხო კრიტიკა, „თავის მართლების“ მსგავსი კომენტარები („ჰო, მაგრამ მე ხომ ყოველთვის...“, „არ მეგონა, თუ...“, „არ ვეთანხმები იმას, რომ მე...“)
- დააკვირდით, მეორდება თუ არა სხვადასხვა მოსწავლის შეფასებებში რამე, იკვეთება თუ არა ე.წ. პატერნი – კომპლიმენტი ან კრიტიკა.
- შეიძლება დამაბნელებელი კითხვების დასმა – თუ შეფასებაში რამე ბუნდოვანია ან გაუგებარი, კითხვები დაგეხმარებათ, ნათლად და მკაფიოდ გაიგოთ გამოთქმული. ყურადღება! ეს არ უნდა გადაიზარდოს შეკამათებაში.

მხოლოდ პიროვნულად ძლიერ, გაბედულ ადამიანს შეუძლია, თამამად მოისმინოს კრიტიკა და ის თვითგანვითარებისთვის გამოიყენოს.

თუ გესურს, ჩვენი მოსწავლეები, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ თავისუფალი, გაბედული, თვითგანვითარებისა და პიროვნული ზრდის მოსურნე ადამიანები, მაგალითიც თავად უნდა მივცეთ.

P.S. თუნდაც არც ერთი კრიტიკული შენიშვნა არ მიიღოთ, ეს არ ნიშნავს, რომ „ყველაფერი გენიალურადაა“ და არაფერს სჭირდება გაუმჯობესება.

ასე არ ხდება.

ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეები არ გენდობიან, ისინი თავს იკავებენ შეფასებისგან, არ სურთ პოზიციის გაცხადება ან სათანადოდ არ აქვთ განვითარებული კრიტიკული აზროვნების უნარი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე საგულისხმო „შეფასებად“ სწორედ ეს უნდა მიიჩნიოთ.



მოსწავლეთა ჩართულობისა და შედეგების გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გვეცოდინება, რა ეხმარება მათ ამ შედეგების გაუმჯობესებაში და რა უწყობს ხელს მათი მოტივაციის ამაღლებას. რასაკვირველია, თითოეულ ჩვენგანს აქვს სწავლების საკუთარი სტილი, შეხედულებები, მიმართებები, მეთოდები, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი უკეთ მუშაობს ან სხვა სტრატეგიებზე მეტად მოსწონთ მოსწავლეებს, ღირს დაფიქრებად.



ქეთევან ოსიაშვილი

მოძრაობითი აქტივობის როლი ბავშვის განვითარებაში

რაც უფრო ადრე დაიწყება ბავშვთან მუშაობა მოტორული სფეროს განვითარებაზე, მით უფრო ნაკლები იქნება მის მოტორიკაში გადახრების გაჩენის ალბათობა და მით მეტ დადებით გავლენას მოახდენს მოძრაობითი აქტივობა მის ფსიქოფიზიკურ განვითარებაზე.

ბავშვის განვითარების ანალიზისა და შეფასების დროს, როგორც წესი, სამი ძირითადი: ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-ემოციური – მიმართულებით შემჩნეული ცვლილებები განიხილება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი განცალკევებული ერთმანეთისაგან. პირიქით, ერთი მიმართულებით მომხდარი ცვლილებები სერიოზულ გავლენას ახდენს სხვა მიმართულებით ბავშვის განვითარებაზე. ამიტომ ბავშვის განვითარება ერთ მთლიანობად მოიხსენიება და ფსიქოფიზიკური განვითარების ცნებით აღინიშნება. აქედან გამომდინარე, როცა ამ პროცესში მომხდარ ცალკეულ არასასურველ ცვლილებებზე ვსაუბრობთ და გამოძიებულ მიზეზებს ვეძებთ, კარგი იქნებოდა, გავვერკვია, ხომ არ არის ეს განპირობებული ამა თუ იმ მიმართულებით განვითარებისთვის არახელსაყრელი პირობების არსებობით.

ვფიქრობ, ბევრი დამეთანხმება იმაში, რომ ბოლო ათწლეულებში არასასურველი მდგომარეობაა შექმნილი ბავშვის ფიზიკური განვითარების მხრივ. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს დიდ ქალაქებში, სადაც ბავშვების თავშეყრისა და თამაშისთვის საჭირო ღია სივრცეების ნაკლებობასთან, ცალკეულ შემთხვევებში კი ფაქტობრივ არარსებობასთან გვაქვს საქმე. ალბათ დღეს ეს უკვე აღარავის აკვირვებს იქ, სადაც ხშირად ფეხით მოსიარულესაც კი უჭირს ქუჩაში თავისუფლად გადაადგილება. თუმცა ისიც საინტერესოა, მრავლად რომ გვექონოდა ისეთი ადგილები, სადაც ბავშვები თავისუფლად მოახერხებდნენ ღია ცის ქვეშ თამაშს, გვერდზე გადადებდნენ თუ არა თავიანთ სმარტფონებს, უარს იტყოდნენ თუ არა კომპიუტერულ თამაშებზე და მოძრაობა თამაშებით დაკავდებოდნენ. საეჭვოა,

ასე მოქცეულიყვნენ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მაშინაც კი, როცა თანატოლებთან ან შშობლებთან ერთად ქალაქგარეთ იმყოფებიან, ნაცვლად იმისა, რომ დატკბნენ ბუნების სილამაზით და მეტი მოძრაობა, თვალს ვერ სწყვეტენ სმარტფონის ეკრანს. შემთხვევითი არ არის, რომ დღევანდელი ბავშვებისთვის სრულიად უცხოა ის მოძრაობა თამაშები, რომლებიც წინა თაობის ადამიანებისთვის ბავშვობაში უსაყვარლეს გასართობ საშუალებად ითვლებოდა.

დღეს ბავშვების მოძრაობითი აქტივობის სერიოზულ დამაბრკოლებლად მიიჩნევა ასევე უზომო სასკოლო დატვირთვა. ხშირად ეს დატვირთვა ისეთ სახეს იღებს, რომ ბავშვს არა თუ მოძრაობა თამაშის, შესაძლოა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დროც კი აღარ დარჩეს. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის პირობებში, როდესაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ოთხ კედელშია გამოკეტილ და ონლაინგაკვეთილზე მყოფ ბავშვს თითქმის სრულიად მოაკლდა ელემენტარული მოძრაობითი აქტივობის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ნებისმიერი აღმზრდელისთვის – როგორც შშობლებისთვის, ისე პედაგოგებისთვისაც – საინტერესო იქნება ინფორმაცია იმის შესახებ, რა როლს ასრულებს მოძრაობითი აქტივობა ბავშვის ცხოვრებაში და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მისმა დეფიციტმა ბავშვის საერთო ფსიქოფიზიკურ განვითარებაზე.

მოძრაობა, მოძრაობითი აქტივობა ბავშვის როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური და ემოციურ-ნებელობითი სფეროს განვითარების

აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საკმაოდ ადრეული ასაკიდან პატარას სჭირდება სამყაროს შემეცნება, ამაში კი მას სწორედ მოძრაობითი აქტივობა უწევს დიდ დახმარებას. ბავშვი ჯერ კიდევ ჩვილ ასაკში მოძრაობის საშუალებით იწყებს გარე სამყაროს შეცნობას, ურთიერთობს მასთან, ემოციების საშუალებით გამოხატავს მის მიმართ დამოკიდებულებას. პირველი წარმოდგენები სამყაროს შესახებ ბავშვს სწორედ მოძრაობების საშუალებით უჩნდება. რაც უფრო მრავალფეროვანია ეს მოძრაობები, მით უფრო მეტი ინფორმაცია გადაეცემა ტვინს და მით უფრო ინტენსიურია

მოძრაობის მოთხოვნილება ბავშვში სიცოცხლის პირველივე დღეებიდან იჩენს თავს. მოძრაობის შეზღუდვა, საფენებში გახვევა ან ტანზე მჭიდროდ მომდგარი ტანსაცმლის ჩაცმა მოუსვენრობას, შფოთვისა და ტირილს იწვევს და პირიქით, საფენების ან მჭიდრო ტანსაცმლისგან გათავისუფლება და თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა აშშვიდებს პატარას. ცოტა უფრო მოზრდილ ბავშვთან თითოეული შესრულებული მოძრაობის (ხოხვა, სიარული, ხტუნვა) თანმხლებია მკაფიო ემოციური რეაქციები. როგორც დაცვირება გვიჩვენებს, ბავშვები, რომლებიც მოკლებულნი



ინტელექტუალური განვითარება. მზარდი ორგანიზმისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოძრაობით აქტივობას. ის დადებითად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე და განსაკუთრებით – ტვინის ფუნქციონირებაზე. მოძრაობითი აქტივობა ხელს უწყობს გონებრივი შრომისუნარიანობის ამაღლებას, მეტყველების განვითარებას, ნებელობითი მოძრაობების და მოქმედებების ფორმირებას, რომლებიც საფუძვლად უდევს მოტორულ ქცევას. მოტორული აქტივობა, თავის მხრივ, წარმოადგენს აუცილებელ და განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ბავშვის სრულფასოვან ფიზიკურ განვითარებას.

არიან თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას, ნაკლებად განვითარებულები, არაემოციურები არიან. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, ბავშვის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისთვის ადრეული ასაკიდანვე სასიცოცხლოდ აუცილებელია მოძრაობითი აქტივობა.

რამდენადაც მოძრაობითი აქტივობა ბავშვის ბიოლოგიურ მოთხოვნილებას და ნორმალური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძ-



დღეს ბავშვების მოძრაობითი აქტივობის სერიოზულ დამაბრკოლებლად მიიჩნევა ასევე უზომო სასკოლო დატვირთვა. ხშირად ეს დატვირთვა ისეთ სახეს იღებს, რომ ბავშვს არა თუ მოძრაობის, შესაძლოა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დროც კი აღარ დარჩეს. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის პირობებში, როდესაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ოთხ კედელშია გამოკეტილ და ონლაინგაკვეთილზე მყოფ ბავშვს თითქმის სრულიად მოაკლდა ელემენტარული მოძრაობითი აქტივობის შესაძლებლობა.

ლება მისი შეზღუდვა. მოძრაობის შეზღუდვის პირობებში მკვეთრად ნელდება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური განვითარება. მოძრაობითი აქტივობა, განსაკუთრებით – ხელის მოძრაობა და წვრილი მოტორიკის განვითარება, წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას მეტყველებისა და აზროვნების განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, დღეს ბავშვები ორჯერ ნაკლებ დროს ხარჯავენ მოძრაობით აქტივობაში, ვიდრე მათი ასაკობრივი ნორმებით არის გათვალისწინებული. ჰიპოდინამია – არასაკმარისი მოძრაობითი აქტივობა – საკმაოდ ხშირად შეინიშნება მოზარდებში. ჰიპოდინამია, უპირველეს ყოვლისა, აზიანებს კუნთოვან სისტემას – მუშაობის გარეშე კუნთები სუსტდება, მერე კი ატროფირდება, ქვეითდება კუნთოვანი ტონუსი, შრომისუნარიანობა, ამტანობა, გამძლეობა, მცირდება კუნთების მასა და მოცულობა, ირღვევა მოძრაობების კოორდინაცია, თავს იჩენს დეპრესია და ნერვული სისტემის სხვა დარღვევები. ჰიპოდინამიის დროს სერიოზული ცვლილებები შეინიშნება გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის მუშაობაში. რადგან არ მუშაობს კუნთები, რომლებიც სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას ეხმარება, თავის ტვინს საჭირო რაოდენობით ვეღარ მიეწოდება სისხლი, შედეგად ჩნდება თავის ტკივილი, დაღლილობა, სუნთქვის გაძნელება, გულისცემის აჩქარება. ვინაიდან სასკოლო ასაკში ჰიპოდინამია, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ბავშვის არარაციონალურ დღის განრიგთან, სასწავლო საქმიანობით მის გადატვირთვასთან, პროფილექ-

ტიკის საუკეთესო საშუალება იქნება ფიზიკური ვარჯიში, დღის რეჟიმის სწორად შედგენა, სპორტით დაკავება, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ფიზიკური შრომა, სრულფასოვანი კვება, ტელევიზორთან და კომპიუტერთან გატარებული დროის შეზღუდვა, დროულად დაძინება, რადგან ძილის დეფიციტი გამანადგურებელია ნებისმიერი ასაკის ადამიანის და, მით უმეტეს, ბავშვის ორგანიზმისთვის.

ყოველ შშობელს სურს, ხედავდეს შვილს ჯანმრთელს, მზიარულს, ფიზიკურად განვითარებულს. ამისათვის კი აუცილებელია ისეთი პირობების შექმნა, რომ მან შეძლოს ასაკის შესაბამისი მოძრაობების დაუფლება. მოძრაობა მრავალმხრივ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, ხოლო მზარდი და განვითარებადი ორგანიზმის შემთხვევაში ეს გავლენა განსაკუთრებით დიდია. მოძრაობითი აქტივობა ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური, ფსიქოფიზიკური განვითარების მთავარი ფაქტორი, ჯანმრთელობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა – მოძრაობის გარეშე ბავშვი ჯანმრთელი ვერ გაიზრდება. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო ადრე დაიწყება ბავშვთან მუშაობა მოტორული სფეროს განვითარებაზე, მით უფრო ნაკლები იქნება მის მოტორიკაში გადახრების გაჩენის ალბათობა და მით მეტ დადებით გავლენას მოახდენს მოძრაობითი აქტივობა მის ფსიქოფიზიკურ განვითარებაზე. მოტორულ განვითარებაში მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილება გაცილებით ადვილია, ვიდრე უკვე არსებული პრობლემების დაძლევა.



წერილობითი კომენტარის ძალა



ლელა კოტორაშვილი

შეფასება რთული პროცესია და ფაქიზი მიდგომა სჭირდება. განმსაზღვრელი შეფასება ჩემი აქილევსის ქუსლია. ვეთანხმები ანა გავალდას, რომელიც „35 კილო იმედში“ ქულების საჭიროებას ეჭვქვეშ აყენებს. პირადად მე არასდროს მიმიქცევია ქულებისთვის ყურადღება – ვსწავლობდი და პასუხად ვიღებდი იმას, რაც მეკუთვნოდა. მეორე მხრივ, სწორედ მათი წყალობით შევძელი სტუდენტობისას სტიპენდიის მოპოვება (და შემდეგ დაკარგვა), უფასო უმაღლესი განათლების მიღება, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების ბედიც ერთმა ქულამ გადაწყვიტა.

ქულები მოსწავლეების ცხოვრებასაც ართულებს. ქულებით შეფასება მეზუთე კლასის მეორე სემესტრიდან იწყება. ჩემმა გოგონამ მეზუთე კლასში გადასვლისას მთელი ზაფხული შფოთვაში გაატარა. ლამაზობით ძილიც კი უფროთხებოდა მოსალოდნელი ქულების შიშით. ქულებზე საუბრისას მასწავლებლებს დიდი დაფიქ-

რება გვმართებს. ქულა რთული ქცევის სამართავ ინსტრუმენტად არ უნდა გავიხადოთ. მშობლებიც ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როდესაც შვილებს მაღალ სტანდარტებს ვუწესებთ და ქულების მიხედვით ვმართავთ მათ ცხოვრებას. როგორ დაუწერო დაბალი შეფასება ბავშვს, რომელსაც ამის გამო შინ საყვედური და წყრომა მოეღოს?!

სამაგიეროდ, განმსაზღვრელ შეფასებას მოაქვს დიდი შედეგი. ცხადია, მოსწავლეს არასწორი თვითშეფასებისკენ არ უნდა ვუბიძგოთ, რადგან მომავალში ეს დათვურ სამსახურს გაუწევს. აბა, როგორ მოვიქცეთ? – ისმის კითხვა და პასუხის ძიებისას მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას ვეყრდნობით. ცხადია, განათლების სამინისტროს მოთხოვნების გათვალისწინებაც გვიწევს.

გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი კომპონენტის – წერილობითი კომენტარის შესახებ.

განმავითარებელი უკუკავშირის დროს ზეპირი და წერილობითი კომენტარები ხშირად ცვლიან ერთმანეთს. მათ საჭიროების მიხედვით ვიყენებ, გააჩნია დროს, საშინაო დავალების ფორმას, აქტივობის სახეობას.

ყველაზე მეტად მოსწავლეთა რვეულების შესწორება მიჭირდა, წერილობითმა კომენტარებმა კი ეს რუტინული, დამღლევი, შრომატევადი პროცესიც შემაყვარა.

ამჟამად ოთხ კლასს ვასწავლი. თითოეული კლასისთვის წერილობითი კომენტარის დასაწერად განსაზღვრული მაქვს ერთი დღე, თუმცა დაწყებით საფეხურზე შედარებით მეტი წერილობითი კომენტარის დაწერა თუ პიქტოგრამის გამოყენება მიწევს.

პუნქტობრივად შემოგთავაზებთ, რა დადებითი შედეგი მოაქვს წერილობით კომენტარებს:

1. ხელს უწყობს მოსწავლისა და მასწავლებლის ინდივი-

წერილობითი კომენტარები დაუვიწყარ ურთიერთობებს აბამს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ერთმა მოსწავლემ, რომელსაც ახლა აღარ ვასწავლი, მომწერა: ქართულის დავალების რვეულებს ვინახავ და როცა მენატრებით, თქვენს კომენტარებს ვკითხულობო.

ქულებზე საუბრისას
მასწავლებლებს
დიდი დაფიქრება
გვმართებს.
ქულა რთული
ქცევის სამართავ
ინსტრუმენტად არ
უნდა გავიხადოთ.
მშობლებიც ხშირად
ვუშვებთ შეცდომას,
როდესაც შვილებს
მაღალ სტანდარტებს
ვუწესებთ და ქულების
მიხედვით ვმართავთ
მათ ცხოვრებას.
როგორ დავუწერო
დაბალი შეფასება
ბავშვს, რომელსაც
ამის გამო შინ
საყვედური და წყრომა
მოეღობა?!

დღაღღაღა ურთიერთობას.
30-წუთიანი გაკვეთილე-
ბის, მოკლე შესვენებების,
მრავალრიცხოვანი კლა-
სებისა და ყოველდღიური
რუტინის გამო პირადი
ურთიერთობებისთვის დრო
არ გვრჩება. მოსწავლის
რვეულებთან განმარ-
ტოება, მათ ხელნაწერზე,
ფიქრებზე, დღის სათა-
ურებზე დაკვირვება ერთი
დიდი სიამოვნებაა. თითქოს
მათთან ზიხარ და ესაუბრე-
ბი. ფიქრები უკვლოდ არ
ქრება. ბავშვებიც ჩვენივე
მსგავსი გულისხმიერებით
მოეკიდებიან საგანს, გარე-
მოს, ერთმანეთს.

2. ზეპირი კომენტარები დრო-
სა და სივრცეში იფანტება.
ეს მათ უგულვებელყოფას

არ ნიშნავს, თუმცა ხშირად
ისიც მომხდარა, რომ
მოსწავლეს წაუკითხავს
საშინაო დავალება, მითქ-
ვამს ზეპირი კომენტარი და
რვეულში გულგრილად ვერ
ჩამივლია იმავე დავალე-
ბისთვის. წერილობითი
კომენტარი სამუდამოდ
რჩება ფურცელზე და
სწორედ ამის გამო საშინაო
დავალების რვეულიც
ძალიან ძვირფასი ხდება
მოსწავლისთვის.

3. მასწავლებელმა წერილო-
ბითი კომენტარები თვით-
შეფასებისა და თვითდაკ-
ვირვებისთვისაც შეიძლება
გამოიყენოს, მაგალითად,
თუკი რვეულის გადა-
ფურცლისას რამდენიმე
დავალება ჩემი კომენტა-
რის გარეშეა, მოქმედებას
ვიწყებ – ვუბრუნდები ძველ
დავალებებს და კომენტა-
რებს ვწერ. დავალებები
კომენტარების გარეშე
მიმანიშნებს, რომ სწავ-
ლების პროცესში რაღაც

მნიშვნელოვანი გამომრჩა
და ქმედებისკენ მიბიძგებს.

4. წერილობითი კომენტარები
სწავლის მოტივაციას ამაღ-
ლებს. მოსწავლე, როდესაც
უკუკავშირს იღებს, დიდი
ხალისით მუშაობს მომდევ-
ნო დავალებაზე.

5. მოსწავლესა და მასწავლე-
ბელს წერილობითი კომენ-
ტარები წერის ფერხულში
აბამს. ხშირად კომენტა-
რებში მოსწავლის ნაწერში
აღმოჩენილ სიტყვას სწორი
ფორმით ვწერ, მერე კი
ვთხოვ, მოძებნოს იგივე
სიტყვა და დააკვირდეს. სას-
ვენ ნიშნებზე სამუშაოდაც
არაჩვეულებრივი მეთოდი.
ამგვარად, წერილობითი
კომენტარებით შეცდომე-
ზე დაკვირვებაც შეგვიძლია
ვასწავლოთ და წერიტი
უნარების განვითარებაშიც
დავეხმაროთ.

წერილობითი კომენტარები
თვითშეფასებისა და ურ-
თიერთშეფასების ეფექტური
საშუალებაა. ზოგჯერ
მოსწავლეებს ვთხოვ, დააკვირ-
დნენ ჩემს ზეპირ კომენტარებს
და საკუთარ თავს დაუწერონ
წერილობითი კომენტარი –



გამოკვეთონ ღირსებები და მისცენ რჩევა. ამავე მოტივით, ერთმანეთისთვის განმავითარებელ კომენტარებსაც დიდი მონდომებით წერენ. თუ მსურს, თბრობისას ყურადღება არ გაეფანტოთ, ვთხოვ, თითოეულ მთხრობელს მოუსმინონ და რვეულში მისი სახელის გასწვრივ კომენტარები დაწერონ.

რას ვწერთ კომენტარში:

ზეპირი თუ წერილობითი განმავითარებელი შეფასებებისას, პირველ რიგში, როგორც წესი, მოსწავლის ნამუშევარში დადებით მხარეს გამოვკვეთთ, მერე კი რჩევებს ვაძლევთ. ამ პრინციპით ვმოქმედებ, ყურადღებას ვამახვილებ ნაწერის ღირსებებზე (გამართული აზრი, საინტერესო სიტყვები, სწორად გამოყენებული სასვენი ნიშნები, ინსტრუქციის ნაბიჯებად შესრულება, კალიგრაფია, ილუსტრაცია...), თუმცა მსგავსი შინაარსის კომენტარი მოსაწყენი რომ არ გახდეს, ხშირად იმას ვწერ, რასაც გული მიკარანახებს – შეიძლება მხოლოდ შევაცო ან ერთი წინადადებით გამოვთქვა სათქმელი.

მოსწავლის ნაშრომში ვეძებ მთავარ დეტალს, მაგალითად, მესამეკლასელებს უნდა მოეფიქრებინათ, ვისთვის დაამზადებდნენ სუნამოს, რომელ ყვავილებს გამოიყენებდნენ, რა ფერი ექნებოდა სითხეს და რას დაარქმევდნენ. ლიზიბი დავალება თიმში ატვირთა. სუნამოსთვის სახელად დაურქმევია „იყავი ბედნიერი, იყავი ლამაზი, იყავი ქალი“.

„ლიზი, სუნამოს სახელმა გული ამიჩქარა. წარმოვიდგინე, როგორ შევდივარ მაღაზიაში

და კონსულტანტს ვეუბნები: გამარჯობა, თუ შეიძლება, ლიზი ხვიჩიას სუნამო – „იყავი ბედნიერი, იყავი ლამაზი, იყავი ქალი“ – მომაწოდეთ-მეთქი. ფლავონიც რა ფერადი და ჰაეროვანია!“

ამ კომენტარის წერისას მეც დიდი სიამოვნება მივიღე. თავადაც გავიხარო წერისას – ეს არის გზავნილი საკუთარი თავისთვის, რათა რუტინული და ქანცგამწყვეტი შრომა შევიმსუბუქო.

წერილობითი კომენტარები დაუვიწყარ ურთიერთობებს აბამს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ერთმა მოსწავლემ, რომელსაც ახლა აღარ ვასწავლი, მომწერა: ქართულის დავალების რვეულებს ვინახავ და როცა მენატრებით, თქვენს კომენტარებს ვკითხულობო.

წერილობითი კომენტარები შეიძლება მოიცავდეს პიტოგრამებს, ნახატებს, დღის ჩანაწერებს. ზოგჯერ შინაარსობრივი სათქმელის დაწერის შემდეგ კითხვას ვუსვამ ბავშვებს. მაგალითად: ქარი თმას გიშრიალებს? ჩამოცვენილ ფოთლებში ვისეირნია? მზის ამოსვლა გახარებს?

რატომ გიყვარს სკოლა? – ჩემს კითხვაზე მესამეკლასელს პასუხად მიუწერია:

„განათლებას რომ ვიღებ“.

ხშირად რვეულებში კომენტარის პასუხებს ვპოულობ, მერე მე გუტოვებ მინაწერს და ისინი ისევ მწერენ. ამგვარად, ინდივიდუალური, მშენებრივი, სიღრმისეული ურთიერთობებიც იბმება, რვეულიდან გულში

ინაცვლებს და დილაობით ერთმანეთის სანახავად ნაბიჯს ვუჩქარებთ.

„რა კარგად გიმუშავია!“ – მესამეკლასელ ბიჭს მივწერე და რამდენიმე დღეში პასუხად მოუწერია: „მადლობა“.

„ოჰ, რაზე ოცნებობს 8 წლის ბიჭი!“ – აღფრთოვანებას ამგვარად შეხვდა – „სხვა ვერ მოგიფიქრე“.

„რა საოცარი წინადადებაა!“ – ვაქებ და მპასუხობს: „ძლივს მოგიფიქრე“.

„მგონია, რომ კიდეც ბევრი რამ მოხდებოდა შენს ცხოვრებაში. ეცადე, საინტერესო მთხრობელი გახდე“, – გულისხმიერი მუშაობისკენ ვუბიძგებ, ის კი ამგვარად იცავს თავს: „მას, მე მზარეული უნდა გამოვიდე!“.

„გაოცებული ვარ, ანდაზებს რომ იყენებ ხოლმე. ისე, შეგიძლია, თან წერო და თან საჭმელი აკეთო. რას იტყვი?“ – მწერლობისკენ ვუბიძგებ, ის კი თავის მტკიცე გადაწყვეტილებას მახსენებს: „მე მარტო მზარეული უნდა გამოვიდე“.

„რა საინტერესოდ აზროვნებ. მიყვარს შენი ფიქრები!“ – შემდეგი კომენტარის წერისას ვათვალისწინებ ძველ დავალებებს და პასუხს ვპოულობ: „მადლობა, მადლობა, მას“.

ეს ერთი მოსწავლის რვეულში დატოვებული მიმოწერაა. წერილობითმა კომენტარებმა მე და ჩემს მოსწავლეებს კიდეც რამდენი ამაღლებელი, გულწრფელი, სიყვარულით სავსე ამბავი გვაჩუქა.





მაია მენაბდე

აბიტურიენტთა ტვირთი და მისაღები გამოცდის დილემა

სკოლის პრესტიჟის ამაღლებად სხვაგვარად უნდა ვიზრუნოთ და კარგი იქნება, კომპლექსურ პრობლემებთან ერთად იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნულ გამოცდებზე წინასწარ გამზადებული, წლობით გამყარებული შაბლონები კი არ ხვდებოდეს აბიტურიენტს, არამედ ზუსტად იცოდეს, რა უნდა ისწავლოს სკოლაში, რა უნარები შეიძინოს, რათა ნებისმიერი ფორმატით ჩააბაროს კონკრეტული საგანი.

დიდი ხანია, ჩვენს ქვეყანაში აბიტურიენტობა მოზარდის ცხოვრების უმძიმეს პერიოდად იქცა. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

1. განცდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება და ყველა აბიტურიენტი სკოლის დამთავრებისთანავე სტუდენტი უნდა გახდეს. ზოგჯერ სულერთია, სად ჩააბარებს, რა სპეციალობით – მთავარია სტუდენტობა. ბიჭების შემთხვევაში ამ „გარდაუვალობას“ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შიშიც ამყარებს.
2. მოზარდების უმეტესობა ფიქრობს, რომ მე-12 კლასი – ეს ის ჯადოსნური წელია, როცა რეპეტიტორების დახმარებით საშუალო საფეხურზე შესასწავლ მთელ მასალას ერთდროულად შეისწავლის. აქამდე ჭრიჭინასავით უზრუნველი, ახლა იწვალეს, გადალახავს მისაღებ გამოცდებზე დაწესებულ ზღვრებს და საოცნებოში თუ არა, რომელიმე უნივერსიტეტში მაინც აღმოჩნდება.
3. ვინც წიგნებს თავს აკლავდა (ცოტა გაუგება-რია, წიგნს თავი რატომ უნდა დააკლა ან შეაკლა, წიგნი აქეთ უნდა დაგეხმაროს, გაგაძლიეროს, სასურველი ცოდნის მიღების დამხმარე მოწყობილობად იქცეს მოსწავლის ხელში), მათთვის ერთი და იმავე საკითხის, მისაღებ გამოცდებზე დამკვიდრებული შაბლონების კარგად გათავისება-შეისახლბორცების, მათზე საფუძვლიანად მორგების წელია. ისინი ჩასაფრებულები, დაძაბული გულისკანკალით ელოდებიან, რამე არ შეიცვალოს რომელიმე საგნის ასე დაშტამპულ ტესტში. თუ შეიცვალა, იწყება გლოვა, ახალი შაბლონების გასაღებების ძიება რეპეტიტორებთან ერთად,

თავიდან მორგება, უსასრულო იმიტირებული გამოცდის ჩაბარება, სანამ ნამდვილ, მტანჯველ მისაღებ გამოცდებზე გავლენ.

პანდემია განათლების სისტემაში არსებული პრობლემების ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა. საშუალო საფეხურზე თავჩენილი პრობლემების ჩამონათვალში ისიც შედის, რომ პანდემიის დროს ბევრმა მოსწავლემ დაკარგა ყოველგვარი მოტივაცია. ზოგიერთს სიზარმაცისთვის საუკეთესო მომენტი დაუდგა და დაიჯერა, რომ სკოლის გარეშეც შესაძლებელი ყოფილა არსებობა.

მუხტი, რომელსაც მასწავლებლები აგად თუ კარგად ჯგუფური მუშაობის, მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების დახმარებით ვინარჩუნებდით, მრავალი მიზეზის გამო ონლაინსწავლებამ საგრძნობლად შეასუსტა. არასტაბილური სიტუაციის, მუდმივად ცვალებადი ონლაინ-და ოფლაინრეჟიმის გამო ბევრმა მშობელმა არჩია, შვილები რეპეტიტორებთან მაინც დაეკავებინა იმ საგნებში, რომლებიც მისაღები გამოცდებისთვის დასჭირდებოდათ.

შედეგად მივიღეთ ის, რომ თუ მანამდე მე-12 კლასის უფუნქციობას ვუჩიოდით, ახლა შეგვიძლია, უფუნქციო მე-10-11-12 კლასებზეც ვივიწვიშოთ და საშველი ვეძებოთ. ანუ პრობლემა, რომელიც მანამდეც არსებობდა (უფუნქციო კარგული მე-12 კლასი), პანდემიამ საგრძნობლად გააღრმავა (სხვა კლასებზეც გაავრცელა).

მგონია, რომ ამ პრობლემის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) განმაპირობებელი პანდემიამდევ



და პანდემიის დროსაც არის მისაღები გამოცდების დაშტამპული ტესტები, რომლებიც წლების განმავლობაში არ იცვლება და თუ იცვლება, მოსწავლეების, მშობლების, ზოგჯერ მასწავლებლების სერიოზული ვნებათაღელვა მოჰყვება ხოლმე.

არადა, შაბლონური მისაღები გამოცდები არასწორი დამოკიდებულებებისკენ უბიძგებს მოსწავლეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მას ავტომატურად უჩნდება ფიქრი: თუ შესაძლებელია, ერთ წელიწადში „დავაშლამო“ ის საკითხები, რომლებიც მე-10-11 კლასებში ისწავლება, რატომღა დავაკლა წიგნებს თავი?! ჩემი მიზანი ხომ არა საბაზისო ცოდნის შეძენა, არამედ უნივერსიტეტში მოხვედრაა.

დავიწყებ იმით, რომ საშუალო საფეხურის მისაღები გამოცდებისთვის მოსამზადებელ ეტაპად მოაზრებაც თავისთავად არასწორი და მავნებელი მგონია მოსწავლეებისა და სკოლისთვის. საშუალო სკოლა მოსწავლეებს უმნიშვნელოვანეს საბაზისო უნარებს უნდა უფითარებდეს და მრავალმხრივ, ფუნდამენტურ ფაქტობრივ ცოდნას აძლევდეს ყველა საფეხურზე. ეს ცოდნა მას უნდა სჭირდებოდეს, განურჩევლად იმისა, უნივერსიტეტში გააგრძელებს თუ არა სწავლას. თუ არადა, სხვა მოდელზე უნდა გადავიდეთ, სისტემამ სერიოზულად უნდა იმუშაოს საბაზო საფეხურით სკოლის დამთავრებასა და პროფესიული სასწავლებლების პოპულარიზაციაზე. საშუალო საფეხურზე კი უნდა შემცირდეს საგნების რაოდენობა, მოსწავლეს უნდა მიეცეს არჩევანის შესაძლებლობა და სწავლება უნდა

დაიყოს მიმართულებებად. სანამ აქამდე არ მივალთ, საშუალო საფეხური ნამდვილად ვერ შეასრულებს მოსამზადებლის ფუნქციას, რადგან საგნის მასწავლებელს სხვა გზით უწევს სიარული, აბიტურიენტს სხვა სიღრმე სჭირდება. ჰოდა, რეპეტიტორებს სკოლის გარეთ ეძებენ.

ვინაიდან მე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, უმჯობესია, ამ საკითხზე ჩემი საგნის ჭრილიდან ვისაუბრო – ხშირად სკოლაც თავისდა უნებურად მისაღები გამოცდების შაბლონს ერგება: წინათ გამოცდებზე ითხოვდნენ წაკითხულის გააზრებას, გამალებით მუშაობდნენ მხოლოდ ამ კუთხით; მოსწავლეს უნდა შესძლებოდა არგუმენტირებული ესეს წერა. ბავშვებს მთელი წელი მხოლოდ ესეები უნდა ეწერათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაგონებაც აღარ სურდათ ფრაზისა: „საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ...“, მაინც თვითონვე ითხოვდნენ ამას, რადგან დაპროგრამებული იყვნენ, მისაღებზე ეს მოეთხოვებოდათ. წელს, დიდი ხნის შემდეგ, ნაწილობრივ შეიცვალა მისაღები გამოცდის ქართულის ტესტი და სასწავლო პროცესი ახლა ამ მიმართულებით მოზრუნდა.

როცა განსხვავებულ, არაშაბლონურ დავალებებს ვაძლევდი, ზოგიერთი ჩემი საშუალო საფეხურის მოსწავლეც არასერიოზულად ეკიდებოდა მას მხოლოდ იმიტომ, რომ „მისაღებ გამოცდებზე ასე არ ითხოვდნენ“, თუმცა არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ რომელიმე გამოცდისთვის კი არ უნდა მოეშადონ, ტექსტის სწორად აღქმა-გააზრება, მისდამი საკუთარი დამოკიდებულების ნებისმიერ ფორმატში გამოხატვა უნდა შეეძლოთ; სიტყვებ-

საშუალო სკოლა მოსწავლეებს უმნიშვნელოვანეს საბაზისო

უნარებს უნდა უვითარებდეს და მრავალმხრივ, ფუნდამენტურ

ფაქტობრივ ცოდნას აძლევდეს ყველა საფეხურზე. ეს ცოდნა მას უნდა

სჭირდებოდეს, განურჩევლად იმისა, უნივერსიტეტში გააგრძელებს თუ

არა სწავლას.

ზე, ფრაზებზე, მხატვრულ სახეებზე დაკვირვება და მათი ამოკითხვა უნდა ისწავლონ, თავიანთი ნაზრების გამართულად ჩამოყალიბება უნდა შეძლონ, რომ მერე ქართული ენისა და ლიტერატურის ნებისმიერი ფორმატის გამოცდა ჩააბარონ (აბიტურიენტმა, რასაკვირველია, წინასწარ უნდა იცოდეს გამოცდის ფორმა, მაგრამ ნებისმიერი ფორმატის გააზრება-დამუშავებისთვის მაქსიმუმ 2 თვე საკმარისია). ბევრი მაინც სკეპტიკურად ეკიდებოდა და ეკიდება ჩემს ამ მიდგომას, რადგან გარემოება, არსებული „ტენდენციები“ მოზარდებს სულ სხვა რამეს კარნახობს. გამოდის, რომ მათი შემოქმედებითობა, სილაღე, ლიტერატურასთან შეთანხმება-გაშინაურება მე-9 კლასში სრულდება. მათ ფანტაზიას ფრთები ნელ-ნელა უმოკლდება და ფრენითაც მხოლოდ ერთი მიმართულებით ფრენენ, მშობლების მხარდაჭერით უხილავი ექსპერტისა თუ მასწავლებლის მიერ გაბმულ თოვს მიჰყვებიან.

რა არის გამოსავალი?

დიდი ხანია, სპეციალისტები საუბრობენ იმაზე, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები უნდა გაუქმდეს, რომ თავად უნივერსიტეტები უნდა ადგენდნენ მიღების ფორმატს და თვითონვე ირჩევდნენ სასურველს. თუმცა ამ ეტაპამდე მისვლას, ჩემი აზრით, სხვაგვარი მენტალური მზაობა სჭირდება. ზემოთ განხილული დამოკიდებულებების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ არ ვართ მზად ამ რადიკალური ცვლილებისთვის. ეს კი ბევრ უკუეფექტს გამოიწვევს (ბევრი აღაშფოთა, ჩემი აზრით, მახინჯი, არაფრის მომცემი ე.წ. კატის, საატესტატო გამოცდების გაუქმებამ, თუმცა არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ამ პროტესტსაც ჰქონდა თავისი ლეგიტიმური საფუძვლები. ერთ-ერთი იყო ის, რომ ბავშვები საშუალო საფეხურზე საერთოდ აღარ ისწავლიდნენ ზოგიერთ საგანს, რაც მოხდა კიდევ).

ამიტომაც სკოლის პრესტიჟის ამაღლებაზე სხვაგვარად უნდა ვიზრუნოთ და კარგი იქნება, კომპლექსურ პრობლემებთან ერთად იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნულ გამოცდებზე წინასწარ გამზადებული, წლობით გამყარებული შაბლონები კი არ ხვდებოდეს აბიტურიენტს, არამედ ზუსტად იცოდეს, რა უნდა ისწავლოს სკოლაში, რა უნარები შეიძინოს, რათა ნებისმიერი ფორმატით ჩააბაროს კონკრეტული საგანი. ზემოთ ვთქვი და აქაც გავიმეორებ: რასაკვირველია, აბიტურიენტმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა ფორმით ჩააბარებს გამოცდას, მაგრამ ამ ფორმის გასაცნობად და დასამუშავებლად 2 თვე საკვებით საკმარისია.

პარადოქსული აზრი გამომივა, მაგრამ ფაქტია, რომ პანდემია, სტაგნაციასთან ერთად, დიდი გამოწვევებისა და, შესაბამისად, დიდი ცვლილებების დროა. ნებით თუ იძულებით, ავად თუ კარგად, გავიარეთ რაღაც ეტაპი დისტანციური სწავლების გზაზე. ყველაზე ცხადად ახლა დავინახეთ, რომ სრულიად განსხვავებულ ერაში ვცხოვრობთ და მომავლის ადამიანებს ვასწავლით.

სწორედ ასეთ გარდამტეხ მომენტშია საჭირო რადიკალური ცვლილებები საგნობრივ პროგრამებში, მოთხოვნებში, მიზნებში, მიდგომებსა და მეთოდებში, რადგან პანდემია ოდესმე დასრულდება, დრო უკან აღარ დაბრუნდება, სწავლებას ძველებურ ფორმატში ვერ გავაგრძელებთ და არც უნდა ვეცადოთ. პირიქით, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მიღებული გამოცდილება სწავლა-სწავლების ახალ რელსებზე გადასასვლელად, მომავლის ბავშვებს ავყვეთ და სწორად ფრენა ვასწავლოთ.





განათლება -

თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge



რისთვისაა ლიტერატურა?
რამდენჯერ დაგვისვამს ეს კითხვა და პასუხი ყოველთვის სხვადასხვაგვარია. გუშინ რომ გეკითხათ, იქნებ სხვა რამე მეპასუხა, დღეს კი დანამდვილებით გეტყვით: ლიტერატურა თანაგრძნობისთვისაა. იმ ადამიანთა გასამხნევებლად, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს, უპოვართა, დევნილთა, დავიწყებულთა და მარტოხუთთა. ჩვენს მეგობარ უკრაინაში ომია, რუსეთი, რომლის მკაცრი ჩეჩმა ჩვენს სამშობლოსაც არაერთხელ გამოუცდია, უკრაინაში ბავშვებს, მოხუცებს ხოცავს, სახლებს აფეთქებს. იქნებ რამე საშველი იყოს მეთქი, ვოცნებობ, სიტყვას ხომ დიდი ძალა აქვს. ჰოდა, ჩავიფიქრე და ზღაპრების წერა დავიწყე. ერთს თქვენც წაგიკითხავთ. ომის ზღაპრების სერიიდანაა და ბედნიერ დასასრულზე ოცნებითაა დაწერილი.

მავთულხლართი, რომელსაც გაახსენდა, რომ სვიარა ვარდი იყო

თვალეები დახუჭე, ან, არ ვიცი, არ დახუჭო. ხმას ხომ მაინც გაიგონებ. შენს პაწია თავს გულზე მივიკრავ და ყურებზე ხელებს აგაფარებ. მაინც გესმის? ჰო, გესმის, აფეთქების ხმა, კი, დამწვრის სუნია, ხანძარია, ნუ გეშინია, ჩააქრობენ მალე. ვიცი, პატარა, ვიცი, რომ გწყურია. სანამ ამ სარდაფიდან თავს დავალწევთ, ზღაპარს მოვიყვებო. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ეკლიანი მავთულხლართი. დაჟანგული, ბასრი, საშიში. ერთ ლამაზ ბაღს შემოავლეს, რომ იქ არავინ შესულიყო, არცერთი სულიერი, არც ფრინველი, არც ცხოველი... მავთულხლართი ძალიან ბასრი იყო, რადგან ასე ასწავლეს, უთხრეს, ბასრი თუ არ იქნები, ნაგავში

მოგისვრით, ჯვართში ჩაგაბარებთო. ნაგვის კი ძალიან ეშინოდა მავთულს, რადგან ზოგჯერ ქარს მოჰქონდა შორიდან ნაგავსაყრელის სუნი, მძაფრი და საზიზღარი, სულ არ უნდოდა, იქ აღმოჩენილიყო. ჰოდა, მოკლედ, ბასრი ხომ იყო, მაგრამ შიშმა უარესად გააბასრა, ხან ყინვის ხმაზე იღვსავდა კბილებს, ხან მზის სხივებზე, ხანაც წვიმა უპრიალებდა ეკლებს. ვერა-ვინ, ვერცერთი სულიერი, ჭიანჭველაც კი ვერ გადაიპარებოდა ბაღში, ჩიტიც ვერ გადაიფრენდა. ერთ დღით პატარა გოგონა მიადგა რკინის მავთულხლართს, მდევრებს გამოქცეული, ძლივს სუნთქავდა, მუხლი ეკვეთებოდა, სულ უკან იხედებოდა, შორს კი ძაღლების ყეფა ისმოდა და მდევრების ხმამალალი ლაპარაკი. — გადამიშვი, მიშველე, — სთხოვა გოგონა მავთულხლართს. მავთულხლართი კი ბასრი იყო, მხოლოდ სიბასრე იცოდა, მხოლოდ სიბასრეს ავალბდნენ, აბა, როგორ უნდა გადაეშვა. — არ გადაგიშვებ, წადი, საიდანაც მოხვედი. — გადამიშვი, თორემ მომკლავენ, — სთხოვა გოგონა. ძაღლების ხმა სულ უფრო ახლოვდებოდა, მადევრების გინებიდან კი უკვე სიტყვებს გაარჩევდი. — გადამიშვი, — სთხოვა გოგონა, — უკვე მადევრებიც გამოჩნდნენ. გოგონა აღარ დაუცადა მავთულხლართის ნებართვას, ხელი მაგრად ჩასჭიდა ეკლიან მავთულს და აცოცხლა დაიწყო. ხელისგულებიდან, მუხლებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ არაფრის ეშინოდა, მიცოცავდა, მიცოცავდა, ბოლოს და ბოლოს, ღობეზე აძვრა და ბაღში გადახტა. მადევრებმა მავთულხლართზე გადასვლა ვერ გახედეს და წავიდნენ. ხელფეხდასისხლიანებული გოგონა კი ბაღში, მოცხარის

ბუჩქებში იმალებოდა და თან ჭრილობებზე მრავალძარღვას ფოთლებს იფენდა. — რა ბასრი ხარ, რა არის, — უსაყვედურა მავთულხლართს, ცოტა იტირა, მერე კი დაღლილს და მისავათებულს მიეძინა. რაღაც უცნაური სჭირდა მავთულხლართს. გრძნობდა, როგორ ურბილდებოდა და უბლაგვდებოდა ბასრი ბოლოები,

ასე გრძელდებოდა, სანამ გოგონა ჭრილობები არ მოიშუშა და წასვლა არ გადაწყვიტა. მიადგა სვიარა ვარდს: — გადამიშვი, უნდა წავიდე. ვარდმა უარის ნიშნად გააქენია უკვე ფურცლებდაცვენილი, მაგრამ მაინც ულამაზესი თავი. — გადამიშვი. ვარდმა ისევ უარი უთხრა. გოგონა მაინც არ დაიშალა და



დიანა ავშიმადი

თანაგრძნობის გაკვეთილები

გოგონას სისხლის წვეთები კი ულამაზეს, სურნელოვან ვარდებზე ეშვებოდა. დილით, როცა გოგონამ გაიღვიძა, მავთულხლართის ნაცვლად ულამაზესი, სისხლისფერი ყვავილებით გადაბარდნილი სვიარა ვარდი დაინახა. ის დღე იყო და ის დღე, გოგონამ ბაღში დაიწყო ცხოვრება. ვარდისას არ ცდილობდა, რომ გოგონა გაეხარებინა. ჯერ მის ეკლებში გახლართული ქარის საბანი აჩუქა, რომ ცივ ღამეებში არ შესცივდებოდა, მერე, ერთ დღეს, როცა გოგონას ძალიან მოსწყურდა, ვარდმა ღამეს მიაბჯინა ეკლები, მიაბჯინა, მიაბჯინა, გახვრიტა და ჰერის კედლიდან კამკამა წყაროდ დაიწყო დენა. გოგონას ხელისგულები შეუშვრია წყლის ბრწყინვალე ნაკადს, თან წყალს სვამდა, თან ვარცვლავებს, თან იცინოდა.

ფრთხილად დაიწყო ვარდის ღობეზე აცოცხლა. ვარდმა რომ წარმოიდგინა, რომ გოგონას ისევ უნდა დაესერა ხელები და მუხლები, ყველა ეკალი ფოთლებში შემალა და გოგონა გაუშვა. გოგონა ღობეზე გადაძვრა, მობრუნდა, ერთ ნაგვიანე, ახლად გაშლილ ბუტკოში აკოცა ვარდს და თან ცრემლი მოიწმინდა. — მაღლობა, რომ გადამაჩრინე, მაღლობა... — უთხრა და გაიქცა. ნაწყენმა და მიტოვებულმა ვარდმა ერთი კი იფიქრა, ისევ მავთულხლართად ხომ არ გადავიქცეო, მაგრამ გადაიფიქრა. სულ ცოტაც, სულ რამდენიმე თვე უნდა დაეცადა და ისევ ულამაზესი, სისხლისფერი ვარდებით აყვავებულიყო, რომელიც თავისმა გოგონა დაუტოვა. მგონი, სამშვიდობოს გავედით, მოდი, მომივიდე ხელი.

რუსეთი ოკუპანტია! — ბოლო რამდენიმე საუკუნეს ამაზე ყვირილით ვიწყებთ.

1800-იანებში ხმა ზუსტად იქამდე მივაწვდინეთ, სადამდეც ჩვენმა სახმო იოგებმა მოგვცა საშუალება. შესაბამისად, ქომავიც არავინ გამოჩნდა.

1900-იანების დასაწყისში მოღალდოვების ანაბარა არ დავრჩენილვართ — უკვე ტელეგრაფი არსებობდა, მაგრამ ის ოხერი მავთული არ აღმოჩნდა საკმარისად გრძელი... ბევრი არავინ მოსულა ჩვენს ძახილზე; ვინც მოვიდა, იმათაც დაგვხედეს და უკანვე გაბრუნდნენ...

ლომობიერად ექცეოდნენ დაპყრობილ ერებს, ვიდრე ჩვენი ერთმორწმუნენი. ცნობილია, რომ ჩინგოზ ყანის ხელუხლებელს ტოვებდა დაპყრობილი ხალხისთვის ყველაზე წმინდას — რელიგიას. პირველი რუსული ოკუპაციის შემდეგ კი საქართველოში ყველა ეკლესია-მონასტერი გადაიღება, მეორე ოკუპაციის შემდეგ — გაპარტახდა და გაიძარცვა...

აი, ასეთია ამ დამპყრობელთა ხელწერა. მიტაცებულ მიწებს და ხარკს არასოდეს სჯერდებოდნენ — იპყრობდნენ ენას, ისტორიას, კულტურას... ვერც

საუკუნე-ნახევარზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცოდნაშიც, კანონის ფორმულირებამაც და მისი ჩაწერის ფორმამაც.

რა განსხვავებაა მენდელეევის ელემენტების პერიოდულობის ცხრილს შორის?

- მენდელეევის პერიოდულობის ცხრილი: ■ დაფუძნებულია ატომურ მასებზე;
- მოიცავს (მოიცავდა) 63 ელემენტს;
- არ ცნობს იზოტოპებს;
- მასში განთავსებულ ელემენტებს შორის იყო „თავისუფალი უჯრები“ — შეუძლებელი ადგილები;
- არ მოიცავდა კეთილშობილ აირებს (იმ დროისთვის ისინი არ იყო აღმოჩენილი);
- გარდამავალი ელემენტები განთავსებული იყო სხვა ელემენტებთან ერთად.

თანამედროვე პერიოდულობის ცხრილი: ■ ეფუძნება ატომურ ნომერს;

- ელემენტის ადგილს განაპირობებს ატომის ელექტრონული კონფიგურაცია;
- ელემენტების თვისებათა მსგავსება განსხვავება აიხსნება ელექტრონული კონფიგურაციით და ნაილად აჩვენებს თვისებების ცვლილებას გრძელი პერიოდის გასწვრივ;
- მოიცავს კეთილშობილ აირებს, რომლებსაც მთლიანად აქვს შევსებული ელექტრონული გარსი;

- „ალიარებს“ იზოტოპების არსებობას;
- ელემენტები თვალსაჩინოდ არის დაყოფილი s-, p-, d- და f- ბლოკებად;
- მკაფიოდ არის გამოკვეთილი სხვადასხვა ჯგუფის (ტუტე მეტალები, ტუტემიწა მეტალები, გარდამავალი მეტალები, არამეტალები, მეტალოიდები, კეთილშობილი გაზები, ლანთანიდები და აქტინიდები) ელემენტები;

■ ადვილია ელემენტების მდებარეობის დამახსოვრება.

პერიოდულობის ცხრილთან დაკავშირებული კიდევ ერთი და, ჩემი აზრით, ძალიან საყურადღებო დეტალი: მას მთელ მსოფლიოში, გარდა რუსული სკოლისა და მისი მიმდევრებისა, „ცხრილს“ უწოდებენ და არა „სისტემას“. უფრო მეტი: ვერსად შეხვდებით ჩვენთვის ლამის მშობლიურად ქცეულ ე.წ. მოკლეპერიოდული პერიოდულობის ცხრილს. მენდელეევიამდეც, მის დროსაც და მას შემდეგაც კიდევ არაერთმა მეცნიერმა სცადა ელემენტთა პერიოდულობის ცხრილის ალტერნატიული ვარიანტის შექმნა. მცდელობები დღემდე გრძელდება, რადგან არც თანამედროვე პერიოდულობის ცხრილია სრულყოფილი. ამ ვარიანტებს იოლად იპოვით ინტერნეტში. მაგრამ ვერსად ნახავთ „მოკლეპერიოდულობის“ ცხრილს, გარდა რუსული წყაროებისა.

გრძელპერიოდული პერიოდულობის ცხრილი ახალი არ არის. მისი უპირატესობა მე-19 საუკუნის დასაწყისშივე გამოიკვეთა. შესაბამისად, წითლად შეღებილი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მას უკვე დიდი ხანია იყენებდნენ. მოკლეპერიოდული ცხრილი მხოლოდ რუსული სკოლის მოდელში დარჩა. ამას მენდელეევისადმი პატივისცემით ნიღბავდნენ, სინამდვილეში კი პოლიტიკის ნაწილი უფრო იყო, რადგან მენდელეევის ორიგინალურ და გათანამედროვეებულ მოკლეპერიოდული ცხრილი რომაული ციფრებით სახელდება. ეს უკანასკნელი შედარებით მეტხანს შემორჩა საერთაშორისო მასშტაბით. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამერიკის კონტინენტზე გრძელპერიოდული ცხრი-

ლის ჯგუფების ნუმერაცია კარგა ხანს ისევ რომაული ციფრებით წარმოებდა. რატომ? ეს ალბათ მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამ ტექნოლოგიებში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა ტემპერატურას ისევ ფარენჰეიტებში ზომავს, ხოლო მოცულობას — გალონებში.

IUPAC-მა, რომელიც ქიმიკოსებისთვის უფრო გავლენიანი ორგანიზაციაა, ვიდრე გაერო — მსოფლიოს ქვეყნებისთვის, დაადგინა, რომ პერიოდულობის ცხრილი უნდა იყოს გრძელპერიოდული და ჯგუფები უნდა დაინომროს არაბული ციფრებით 1-დან 18-მდე. რატომ არის ეს საკითხი ასეთი არსებითი? მრავალი მიზეზის გამო, პრაგმატულით დაწყებული, პოლიტიკურით დამთავრებული.

წარმოიდგინეთ, რომ ერთოთახიანი „ბრუშოვოკიდან“, სადაც მრავალი წელი გაატარეთ, ევროსტანდარტის შესაბამის ბინაში გადახვედით საცხოვრებლად. პირველ დღეებში თავისუფლების განცდასთან ერთად გექნებათ დიდი უხერხულობა — ნივთების უმეტესობას ვერ მიაგნებთ. იგივე განცდა გვეუფლება მოკლეპერიოდული ცხრილიდან თანამედროვე გადსვლისას. და დროა უკვე, ეს „უხერხულობა“ დამთავრდეს. თაობას, რომელიც ახლა სწავლობს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხვალ სწავლა თანამედროვე გარემოში გააგრძელოს.

მავანი იტყვის, გახუნიებულ-გაყვითლებული, დაძინილ-დამცვერილი მოკლეპერიოდული „პერიოდული სისტემებითაც“, რომლებითაც ჯერ კიდევ საცხად ჩვენი აუდიტორიები და საკლასო ოთახები, ხომ შეიძლება ქიმის სწავლაო. დიახ, შეიძლება. ისევე, როგორც ერთოთახიან „ბრუშოვოკაში“ ცხოვრების გაგრძელება. ჩემთვის ასეთი პერიოდულობის ცხრილი დიდად არ განსხვავდება იმ რუსული T-72-საგან, რომელიც იქოქება, დახრიგინებს, ისვრის კიდევ, მაგრამ მისი ნასროლი მიზანს ვერ აღწევს.



2000-იანი წლების დასაწყისში ინტერნეტმა და ციფრული კომუნიკაციის საშუალებებმა გვეშველა. ისეთი „ელექტრონული“ ბუკი და ნალარა დავეცით, რომ უცებ მთელმა მსოფლიომ ჩვენკენ გამოიხედა. იყვნენ ისეთებიც, რუკაზე პირველად რომ შეგვაჩინეს... მაგრამ რად გინდა, ჩვენი ქომავი მხოლოდ ის აღმოჩნდა, ვინც ჩვენსავით პატარა იყო და დროდადრო ჩვენსავით უწევდა „რუსეთი ოკუპანტისა“ ძახილი. უფრო დიდები და ძლიერები აღმოვთდნენ, ბევრი იფიქრებდა, მომდურნი დაამწვინდეს, ჩვენ კი წავგვითაქეს — ახელა დათეს რომ აღვიძებდით, რა გევნათო...

მონღოლეთი — ყველა დროის ეს ყველაზე დიდი იმპერიაც კი არ ყოფილა ისეთი სასტიკი და მოხრეხელი, როგორიც რუსეთია. დიახ, მონღოლები სასტიკად უსწორდებოდნენ ურჩებს, მაგრამ იმპერიის საზღვრებში მოქცევის შემდეგ გაცილებით

ეროვნული მეცნიერება და განათლება გადარჩა.

ამის ერთ-ერთი მაგალითი მენდელეევის პერიოდული სისტემაა. მიხდა, ამთავითვე აღვნიშნო, რომ ელემენტთა პერიოდულობის კანონის მიგნებაში დიმიტრი მენდელეევის დამახსოვრება უდავოდ დიდია. ნებისმიერი ერის, მით უფრო — მრავალმილიონიანის, წიაღში ყოველთვის იბადებიან „საერთაშორისო“ ღონის ცალკეული მეცნიერები. ერთი მათგანია მენდელეევი. დიახ, მან ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ელემენტების პერიოდულობის კანონი და მისი ჩაწერის ყველაზე მოხერხებული ფორმა.

მსოფლიო საზოგადოებამ რამდენიმე წლის წინ ზარ-ზეიმით აღნიშნა ამ კანონის აღმოჩენა და პერიოდულობის ცხრილის შექმნაც, რითაც კიდევ ერთხელ მივაგეთ პატივი დიმიტრი მენდელეევის ღვაწლს. მაგრამ პერიოდულობის კანონის აღმოჩენიდან

დიდხანს ეძებდა მამაჩემი ბაბუაჩემის საფლავს, წერილს წერილზე წერდა და პასუხს მოთმინებით ელოდა. სწამდა, რომ რომელიმე არქივში სულ პატარა ცნობას მაინც მიაგნებდა, რომელიც კვალს აპოვნიებდა. იცოდა, რომ მკვდარი იყო – თმის დროს შეეტყობინებინათ ოჯახისთვის ქალაქის ნახევრე დაწერილი მოკლე სიტყვებით. ის ქალაქი კი მაშინვე გამქარაიო – მგლო-

ძიმო? ის ნაადრევად სწავლობს სიტყვებს, რომლებიც წლების შემდეგ უნდა გაჩენილიყო მის ლექსიკონში, ყურს აჩვევს გამოთქმებს, რომელთა ზუსტი მნიშვნელობის გასაგებადაც ცოდნა, გამოცდილება არ ჰყოფნის. უკიდურესი დაძაბულობის ნიშნები კი ყველგანაა – საყვარელი ადამიანების სახეებზეც და უცნობების გამოხედვაშიც. 24 თებერვლის შემდეგ რამ-

ლო და საკუთარი აზრების ბადეში არ გააბა ნელა მოძრავი პატარა სხეული. ალბათ ვერც მე შევძლებდი, შეილი რომ მყოლოდა.

■
ომი სიძულვილისაა. ომში სიძულვილის ძალა ისეთია, წარმოუდგენელს გაფიქრებინებს და გაგაცეთები-

გაწმენდის დრო სად არის... ზოგიერთი იქ ეწეოდა კიდეც, რაც ასევე საზიზღრობა იყო. ბავშვობიდან სულ სიგარეტის შხამიან ბოლში ვიყავი გახვეული. ყველას ფეხებში ვედებოდი, იმიტომ რომ ყველაზე პატარა ვიყავი საცხოვრებელში. და ასეთ საერთო საცხოვრებელში უფროსებს წესად აქვთ – ჯავრი ყველაზე პატარაზე უნდა იყარონ. ვინ აღარ მირტყამდა, ვისგან აღარ მესმოდა უხეში



ირმა ტაველიძე

ომის გრძელი ჩრდილი

ვიარეთა თითებში, გაუსაძლისად მძიმე ჰაერში. ჯოუტად ეძება და ბოლოს – 80-იანების შუაში – პასუხი მიიღო: კურსკთან ახლოს, საძმო საფლავში ჩაეწვინათ, რუსული სოფლის მიწად ექციათ. ჩვენს სახლში ომს ხშირად ახსენებდნენ – არა როგორც დიდი ხნის წინ მომხდარ კატასტროფას, არამედ რაღაც ისეთს, რისთვისაც გუშინდელი დღე მხოლოდ პირობითად დაერქმიათ – მისი უხილავი საცეცხები ერთიანად გვწვდებოდა უფროსებს თუ ბავშვებს. მახსოვს, როგორ დაწერა ჩემმა ძმამ თორმეტფურცლიანი რეგულის მწვანე ყდაზე: ომი ღორია ომი ღორია ომი ღორია წერა ახალი ნასწავლი ჰქონდა. ვგალობდა.

■
რა უნდა უთხრა ბავშვს ომზე? რა დროს უნდა გაჩუმდე, რომ პატარა ძმრებით სატარებელი ტვირთი მეტისმეტად არ დაუშ-

დენჯერ დაგუბრუნდი ამ კითხვას, რამდენჯერ ვიფიქრე, რომ ვერა, ვერ მოვახერხებდი ომის თავზარდამცემი აბსურდულობის ახსნას, ფრაზების გასაგებად დალაგებას. ჩემი მეგობრების შვილები – პირველკლასელები, მეორეკლასელები – უკრაინის დროშებს, უკრაინელ მეომრებს ხატავენ. ვხვდები, მათი თვალი ყველაფერს სწვდება, ყველაფერს იმახსოვრებს. რასაკვირველია, მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩებათ დანგრეული ქალაქები, გაუბედურებული ადამიანები, თავჩახრილი ტყვეები, ალმოღებული თვითმფრინავები, მიწისქვეშა თავშესაფრებში გაშლილი ლოგინები, ლტოლვილების უსამშველოდ გრძელი რიგები. ძნელია, ყოველთვის ზუსტად აწირო სათქმელი, არ დაივიწყო, რომ სიტყვები მათ ყურამდევ მიაღწევს, ვინც რთული, გაუგებარი მოვლენების ახსნას თავისებურად ცდილობს – ნანახს და გაგონილს ერთმანეთს აწებებს, ხან სწორად, ხან არასწორად, და პასუხის პოვნა წუთების საქმე ჰგონია. ძნელია, ცდუნებას გაუძ-

ნებს კიდეც. მაგრამ ბავშვები ამ განცდის თანამოზიარედ არ უნდა იქცნენ, ნერვებს, განადგურებას, სიკვდილს სიკეთედ არ უნდა აღიქვამდნენ. სწორედ 24 თებერვალს დავიწყე ამერიკაში ემიგრირებული რუსი მწერლის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის სვეტლანა ბოიშის ტექსტის თარგმნა, რომელიც პოსტკომუნისტურ ნოსტალგიას ეხება. ავტორის ყურადღების არეში მრავალ სხვასთან ერთად ვლადიმირ ჟირინოვსკიცაა მოქცეული – ის, ვისზეც ბოლო დღეებში ბევრს ხუმრობდნენ, ვის სიკვდილსაც შეფარულად თუ შეუფარავად ელოდნენ. მოულოდნელად კი პოლიტიკოსის ამ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერს გადავაწყდი: „ადილი არ იყო, სადაც ვითამაშებდი – არც ოთახში, არც დერეფანში. ტუალეტთან ყოველთვის რიგი იდგა და იქაურობა ყარდა, იმიტომ რომ ტუალეტში მუდამ სუნი დგება, თუ ჰაერი არ იწმინდება... მაგრამ ყოველ დილით რიგში ათი-თერთმეტი კაცი რომ გროვდება, ჰაერის

სიტყვა... და დამიცავდა ვინმე? არც მამა მყავდა, არც ძმა...“ სვეტლანა ბოიშის შეფასება, რომელიც ამ სიტყვებს მოჰყვება: „სტაგნაციის სრულყოფილი მეტაფორა. უსახლკაროების, მოუვლელი საცხოვრებლის დრამა მოულოდნელად ვითარდება – კომუნალური საცხოვრებელი ფსევდოსახლია, ნამდვილი სახლი კი დიდი რუსეთია. პირადი წყენა ეროვნულ დონეზე გათამაშდება და უბედური ოჯახის ისტორია ინდივიდუალური ბიოგრაფიის კონტექსტს მოსწყდება – ერის ისტორიაში ჩასაწერად“. ცხადია, ეს ყველაფერი იმის საჩვენებლად არ გადმომიწერია, რომ ძალადობა ძალადობის სურვილს წარმოშობს, ბავშვობისას განცდილმა დამცირებამ კი შეიძლება შემზარავი სახეცვლილება განიცადოს. როცა თუნდაც ყველაზე მიუღებელი პოლიტიკური ფიგურის სიკვდილის წარმოდგენა გვიხარია – სახიფათო ნიშანია. მერე რა, რომ ომის ლოგიკა ბევრ სხვა რამესაც ამართლებს. მერე რა, რომ ომის დამთავრებამდე მეთად არაფერი გვინდა.

1996 წლის 26 აგვისტოს გაეროს გენერალურმა მდივანმა გენერალურ ასამბლეას წარუდგინა კვლევა „შეიარაღებული კონფლიქტების გავლენა ბავშვებზე“, რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური წარმომადგენლის მანდატის შექმნას (Office of the Special Representative of the Secretary-General for Children and Armed Conflicts (OSRSG-CAAC)). საინტერესოა, რომ კვლევა მომზადებული იყო ყოფილი მასწავლებლისა და მოზამბიკის განათლების მინისტრის გრასა მაშელის მიერ¹.

აღნიშნული კვლევა წარმოაჩენდა, რამდენად ნეგატიური გავლენა აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებს ბავშვებზე და მათ ყველაზე დიდ მსხვერპლად მოიხსენიებდა². შესაბამისად, სპეციალური წარმომადგენლის მანდატის შექმნა მიზნად ისახავდა შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბავშვების უსაფრთხოების გაძლიერებას, ამ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და ბავშვთა უფლებების დაცვის განვითარებას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დიდი წინსვლა ნამდვილად არ არის...

სპეციალური წარმომადგენელი გენერალურ ასამბლეასა და ადამიანის უფლებათა საბჭოს არსებული ვითარების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბავშვთა უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევები ავღანეთში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სომალიში, სირიასა და იემენში აღირიცხა³.

წლების განმავლობაში დაკვირვებისა და ანგარიშების მიხედვით, გამოიკვეთა რ ყველაზე მძიმე დარღვევა ბავშვების მიმართ⁴:

- დაჭრა და მკვლელობა;
- ჯარისკაცებად რეკრუტირება და გამოყენება;
- სექსუალური ძალადობა;
- მოტაცება;
- განათლებისა და ჯანდაცვის უფლების ხელყოფა, რაც გამოიხატება სკოლებისა და ჰოსპიტლების დაზიანებითა თუ განადგურებით;
- ჰუმანიტარულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის აგრესიის შედეგად, ჩამოთვლილთაგან ყველა თუ არა, თითქმის ყველა

მიმართულებით ირღვევა უკრაინაში მცხოვრები 7.5 მილიონი ბავშვის უფლება. ვრცელდება ძალიან მძიმე ვიდეორგოლები დაღუპული, მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ; მშობლების შესახებ, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში მშვიდობიან შვილებს ქალების შესახებ, რომლებსაც საშინელ პირობებში უწევთ მშობიარობა; დაბოძილი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ და ა.შ. ბუნებრივია, ამ მოვლენებს არა მხოლოდ ფიზიკური, ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხითაც ძალიან ნეგატიური გავლენა აქვს ბავშვების განვითარებაზე⁵.

ისტორია, რომელიც მასწავლებელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ საუბრისას შეეკამათა, რის შემდეგაც თავი პოლიციაში ამოყო.

„მოსკოვში მე-8 კლასის მოსწავლემ ისტორიის გაკვეთილზე თავისი აზრი გამოთქვა უკრაინაში ომის შესახებ, რის შემდეგაც ის პოლიციაში გამოიძახეს“, – წერს „ნოვია გაზეტა“.

„12 წლის კირილის დედის თქმით, ისტორიის გაკვეთილზე მან მასწავლებელს უკრაინის ომზე დაუსვა კითხვები. ისტორიის მასწავლებელმა თქვა, რომ ბრალდებები რუსეთის ჯარის

უზრუნავს ანა პოლიტკოვსკაია მუშაობდა. პოლიტკოვსკაია, რომელიც აშუუქებდა ჩერნობოლ რუსეთის აგრესიას, არაერთი მცდელობის შემდეგ პუტინის დაბადების დღეზე მოკლეს.

ასევე კარგად ჩანს, რა მძიმე შედეგები მოაქვს განათლებაში ვიწრო პარტიული პოლიტიკის შეტანას და ამ მიზნებით ხელმძღვანელობას. ამ კუთხით ჩვენც ბევრი გამოწვევა გვაქვს, მაგრამ ამჟამად სხვა დროს იყოს.

საბოლოოდ, ამ სტატიის მთავარი სათქმელი ისევ უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობაა და რა სასიამოვნოა, რომ ჩვენი



არ დარჩენილა ორგანიზაცია, რომელიც არ მოუწოდებს რუსეთს, გაითვალისწინოს და დაიცვას ბავშვთა უფლებები. მეორე მხრივ, რომელ ბავშვთა უფლებებზეა საუბარი, როდესაც თავიანთ ქვეყანაში უმძიმეს დანაშაულებს სჩადიან. პირველი, რაც რუსეთმა საგანმანათლებლო სისტემაში განახორციელა, იყო პროპაგანდის კიდევ უფრო გააქტიურება⁶. კერძოდ, მასწავლებლებს მიეწოდათ ზუსტი ინსტრუქციები, როგორ ისაუბრონ ომის შესახებ, რა მასალები გამოიყენონ⁷. გარდა ამისა, ჩაშენულია კრიტიკული აზრი, რომლის გამოთქმაც მოსწავლეებსაც კი ეკრძალებათ⁸, მაგ., ვირუსულად გავრცელდა ინფორმაცია რუსეთში საპროტესტო აქციებზე დაკავებული ბავშვების შესახებ. ასევე კარგად არის ცნობილი, როგორ ცდილობენ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტვინი გამოურეცხონ ბავშვებს. საოცარია 12 წლის კირილის

უკრაინაში შეჭრისა და მიტინგებზე ომის მოწინააღმდეგეების ცემის შესახებ არის „ფეიკი“ და ამოგვონილი უკრაინელი და ამერიკელი „სპეციალისტების“ მიერ, მან უკრაინელებს „ნაცისტები“ უწოდა.

მეექვსეკლასელი კირილი არ დაეთანხმა მასწავლებელს, გაკვეთილის შემდეგ კი დაიყვირა: „დიდება უკრაინას!“

ამ ინფორმაციას ის „ნოვია გაზეტა“ ავრცელებს, რომელშიც

მასწავლებლების სოლიდარობის გამოხატვლი ვიდეოები მათაც გააზიარეს და დიდი მადლობა გადაუხადეს ჩვენს მასწავლებლებს.

რა თქმა უნდა, ომი დასრულდება, დასრულდება უკრაინის გამარჯვებით და როგორც ახლა, მერეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მასწავლებლებისა და საზოგადოების სოლიდარობა და მხარდაჭერა.

#StandWithUkraine

#СлаваУкраїні #СлаваГероїв

¹ ბევრ მიღწევასთან ერთად, გრასა მაშელი იმითაც არის ცნობილი, რომ ერთდღერთი ქალი, რომელიც ორი სხვადასხვა ქვეყნის პირველი ლედი იყო: ჯერ – მოზამბიკის პრეზიდენტის სამორა მამულის (1979-1986), ხოლო შემდგომ – სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის ნელსონ მანდელას მეუღლე (1998-2013).

² https://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/51/306&Lang=E&Area=UNDOC

³ https://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=S/2021/437&Lang=E&Area=UNDOC

⁴ <https://childrendarmedconflict.un.org/six-grave-violations/>


⁵ <https://abcnews.go.com/International/mental-health-effects-ukraine-war-zone-children/story?id=83203801>

⁶ Tyan, A. The Kremlin forces schools and theaters to uphold Putin's invasion propaganda. Coda Story. 01.03.2022 <https://www.codastory.com/disinformation/kremlin-schools-propaganda/>

⁷ გინდაძე, ს. „პარტიტვინის გაკვეთილები“ – რას უყვებინა რუსეთში მოსწავლეებს პუტინის ომზე? რადიო თავისუფლება. 04.03.2022 https://www.radiotavisupleba.ge/a/31736436.html?fbclid=IwAR34x-C3dCk2eFmCNVn-NbPXVqH_ZaOUHxMhWNIiMNoM2lqzhlq4-BC-k

⁸ ლუკინოვა, ი. Диссидент из 6-го «А» На уроке истории московский школьник высказал свою позицию по поводу «спецоперации». После этого к нему домой пришла полиция и отключила электричество. Novaya Gazeta. 09.03.2022. <https://novayagazeta.ru/articles/2022/03/07/dissident-iz-6-go-a>

„ზრდასრული ბავშვები“ და მათი მშობლები



ქეთევან კობალაძე

მოგესალმებით, მშობლებო. ძირითად საკითხზე გადასვლამდე მინდა, ერთი ფსიქოლოგის მოსაზრება გაგიზიაროთ, რომელიც თანაგრძნობით და ცოტა ირონიულადაც ამბობდა, რომ ძალიან ეცოდება თანამედროვე მშობლები. მართლაც, უამრავი პასუხისმგებლობა აკისრია მშობელს, ის კი, სავარაუდოდ, ძალიან დაბნეული და შეშინებულია, რადგან ფსიქოლოგები, მედიცინის მუშაკები, მასწავლებლები და უამრავი სხვა პროფესიის ადამიანი ითხოვს მისგან სწორ, უმეტესად გადაწყვეტილებებს და ადანაშაულებს, როდესაც მისი შვილი უმართებულო ნაბიჯს დგამს. ამერიკელი კლინიკური ფსიქოლოგის, ფილოსოფიის დოქტორის მარკ მაკკონვილის წიგნს ასეთი სათაური აქვს: „როგორ დავცემართ ზრდასრულ ბავშვს, დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო“. ავტორი მკითხველს უზიარებს მოსაზრებებს, რომლებიც ზრდასრულობის მეტად რთულ და საინტერესო ეტაპზე გადასვლას ეხება. მარკ მაკკონვილი ოჰაიოს შტატის ქალაქ ბიჩუდში ცხოვრობს. მრავალწლიანი ფსიქოთერაპიული პრაქტიკა აქვს და სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობა-

საც ეწევა. წერს საინტერესოდ, საუბრობს საკუთარი თერაპიული პრაქტიკიდან მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, რატომ უჭირთ ზრდასრულ ადამიანებს საკუთარი ასაკის გაცნობიერება, მიღება. მარკ მაკკონვილი სწორედ ის ავტორია, რომელიც არ ადანაშაულებს მშობლებს – ცდილობს, თანაგრძნობით მოეკიდოს უფროსების განცდებს და დაეხმაროს მათ თავიანთ „ზრდასრულ ბავშვებთან“ ურთიერთობის აწყობაში.

„მოზარდი ასაკიდან ზრდასრულობაში გადასვლა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კრიზისია, კრიზისი კი თავისი არსით ყოველთვის გულისხმობს საფრთხეებსა და შესაძლებლობებს, – განმარტავს ამერიკელი ავტორი და განაგრძობს: – ზრდასრულობას მიღწეული მოზარდების უმრავლესობისთვის წამყვანი მაინც შესაძლებლობებია და ეს შესაძლებლობები ერთგვარი შუქურის როლს ასრულებს ამ გზაზე. მაგრამ იმ მოზარდებისთვის, რომლებმაც ცუდი „სტარტი აიღეს“, ეს საფრთხეს წარმოადგენს. ზრდასთან ერთად ადამიანები უარს ამბობენ ჩვევად ქცეულ სასიცოცხ-

ლო ორიენტაციებზე და სწორედ ეს იქცევა შფოთვის მიზეზად. ამავე დროს, მოზარდი წუხს მომავალზე, ხვალინდელ დღეზე. მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლის შუალედის პერიოდია, როცა ადამიანი სწრაფად განვითარებას ცდილობს, იცვლება, ახალ-ახალ სირთულეებს აწყდება, რაც აიძულებს, ახალი უნარ-ჩვევები განვითაროს. ამ პერიოდში მოზარდი განსაკუთრებით მოწყვლადი და საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებელია, რაც იმის შედეგია, რომ ჯერ არ აქვს სრულად, საბოლოოდ და მტკიცედ ჩამოყალიბებული ახალი უნარ-ჩვევები“.

მაინც როდის ხდება მოზარდი ზრდასრული? როდესაც რამე ძალიან სერიოზულს აკეთებს? იქნებ მაშინ, როდესაც პირველად აწერს ხელს ხელშეკრულებას? ან იქნებ მაშინ, როდესაც გასაუბრებაზე მიდის? თუ მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად იწყებს გადასახადების გადახდას? ეს ყველაფერი უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებობს დამოუკიდებლობის ე.წ. არათვალსაზრისო ქცევითი გამოვლინებებიც. ამ გამოვლინებებს ზრდასრულები ზოგჯერ ვერც კი ამჩნევენ.

მაინც როდის ხდება მოზარდი ზრდასრული? როდესაც რამე ძალიან სერიოზულს აკეთებს? იქნებ მაშინ, როდესაც პირველად აწერს ხელს ხელშეკრულებას? ან იქნებ მაშინ, როდესაც გასაუბრებაზე მიდის? თუ მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად იწყებს გადასახადების გადახდას?

ადამიანები ბავშვობასა და
მოზარდობაში უნებურად შე-
იზუშვებენ წარმოდგენას იმაზე,
რას ნიშნავს, იყო ზრდასრული.
მოზარდები ზრდასრულობის
ჭეშმარიტ ნიშნებს კი არ ამჩ-



ნევენ, არამედ მათთვის ადგილი
შესამჩნევი ხდება უფროსების
მხრივ გამოხატული გარეგნული
ნიშნები. შშობლებმა/აღმზ-
რდებლებმა უნდა იცოდნენ,
რომ მოზარდები თავდაპირვე-
ლად გაუცხოებულები არიან
„უფროსების ტერიტორიის“
მიმართ. მათ ჰგონიათ, რომ
ამ ტერიტორიაზე ძალიან გა-
უჭირდებათ მოხვედრა, მაგრამ
მაინც ცდილობენ, რადგან
მიაჩნიათ, რომ ზრდასრულთა
სამყარო პრივილეგირებულია.
ამერიკელი ფსიქოლოგი მსგავს

განცდებს საკუთრი ცხოვრე-
ბიდანაც იხსენებს და პაციენ-
ტების მაგალითებსაც ჰყვება.
„ოცდაერთი წლის ახალგაზრდა,
რომელიც კონსულტაციაზე მო-
ვიდა, – წერს ავტორი, – ზუსტად
იმავეს განიცდიდა ზრდასრუ-
ლობაში გარდამავალ ასაკში.
„რამდენიმე დღის წინ მე და
მამაჩემი აეროპორტის ბარში
ჩვენს რეისს ველოდებოდით,
– ჰყვება მაიკლი, – მე, ალბათ,
ათასჯერ მაინც ვიყავი ნამყოფი
იმ აეროპორტში, მაგრამ ბარში
პირველად მოვხვედი. იქ ხომ

მხოლოდ უფროსები სხდებიან.
ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ
ახლა მოვიდოდა მომსახურე
პერსონალი და მეტყოდა: „აქ
ბავშვების ადგილი არ არის“.
ამ, ერთი შეხედვით, სასაცილო
ისტორიას იმიტომ მოვყევი, რომ
შშობლებმა/აღმზრდებლებმა
ნათლად დაინახონ, რა განც-
დებში არიან ზრდასრულობას
შეჭიდებული მათი შვილები,
ვიდრე ჩამოუყალიბდებათ
მტკიცე და ურყევი შეგრძნება,
რომ უკვე ზრდასრულები გახდ-
ნენ“.

**უშეცდომო და
ღირებული
დახმარების
აღმოჩენას მშობელი
შეძლებს მაშინ,
როდესაც შეეცდება
და მოახერხებს
გაიგოს, რა აშფოთებს
და რის დამალვას
ცდილობს მისი
შვილი. მოზარდები
ეგზისტენციალური
კრიზისის ეტაპზე
არიან, პირველად
უნევთ საკუთარი
განცდების
გაცნობიერება
იმის თაობაზე, რა
ადგილს დაიკავებენ
ახალ ცხოვრებაში,
და ბუნებრივია, ეს
აშინებთ.**

მოდი, ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ იმ მოზარდებს, რომლებსაც ზრდასრულობაში გადასვლა გაუჭირდათ. „როდესაც ჩემთან მსგავსი სირთულეების მექონე ახალგაზრდები მოდიან, – უზიარებს მკითხველს საკუთარ გამოცდილებას მარკ მაკკონვილი, – მე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ვამახვილებ მათ შინაგან განსჯებზე. ძალიან ხშირია, როდესაც ისინი საერთოდ არ ფიქრობენ ზრდასრულის ცხოვრებაზე და, შესაბამისად, არც მზაობა აქვთ და არც წარმოდგენა, რა უნდა აკეთონ მომავალში“. რა გეგმები გაქვს, მაინც როგორ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება ხუთი, ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ? – მსგავსი კითხვები უპასუხოდ რჩება. მშობლებმა/აღმზრდელებმა უნდა იცოდნენ: იმისთვის, რომ მოზარდმა გულგრილი დამოკიდებულება შეინარჩუნოს საკუთარი მომავლის მიმართ, ის შეუპოვარი სიჯიუტით ცდილობს, თვალი არ გაუსწოროს რეალობას. ამით მოზარდი სინამდვილეში შიშსა და შფოთვას ებრძვის.

„რთულ სიტუაციაში მოხვედრილი მოზარდების კონსულტაცია გულისხმობს, დავეხმაროთ მათ, შეწყვიტონ საკუთარ თავთან ბრძოლა და შეურიგდნენ იმ რეალობას, რომ სულ მალე ზრდასრულები გახდებიან. შეხვედრების მიზანია მოზარდისთვის ზრდასრულობასა და ზრდასრულებზე მართებული შეხედულების ჩამოყალიბება. კონსულტაციის დასასრულს მოზარდს ვურჩევ, ჰკითხოს მშობლებს, აღმზრდელებს, უფროს მეგობრებს, მასწავლებლებს, ნებისმიერ

ზრდასრულს, რომლებსაც, მისი აზრით, თავიანთი ცხოვრება მოსწონთ, კმაყოფილები არიან პროფესიით, სამსახურით – როგორ მიმდინარეობდა მათი მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლის პროცესი? მოისმინე მათი პასუხი და მიხვდები, რომ ყველა ადამიანს თავისი სირთულეები ჰქონდა წარსულში, როდესაც ამ გზას გადიოდა. შენს ასაკში შენი მშობლები და სხვა უფროსები ზუსტად ისეთივე სირთულეებს აწყდებოდნენ, როგორსაც ახლა შენ ეჯახები. ზრდასრულების უმრავლესობამ არ იცოდა, რა ელოდათ მომავალში. და სულაც არ არის გასაკვირი, არც შენ იცოდე, როგორ წარიმართება შენი მომავალი ცხოვრება. ამჟამად შენ უნდა აირჩიო მხოლოდ მიმართულება. ამისთვის უნდა უპასუხო ორ კითხვას: რისი კეთება მოგწონს? რა არის ის, რაც ყველაზე კარგად გამოგდის? თუ ახლა მოახერხებ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, მაშინ მომავალშიც მოახერხებ საკუთარი თავის პოვნას, რომელიც ისეთივე ბედნიერი ზრდასრული იქნება, როგორც თუნდაც შენი მშობლები ან სხვა უფროსები“.

სტატიის დასასრულს მინდა, გამოვეყო მარკ მაკკონვილის შემდეგი მოსაზრება: „თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს, დავეხმაროთ იმ მოზარდებს, რომლებსაც გაუჭირდათ ზრდასრულობაში გადასვლა, აუცილებელია, ამ პროცესში ჩავართოთ მისი მშობლები. მათ უნდა ჰქონდეთ წესებისა და მითითებების გარკვეული ნაკრები, რომლებსაც დაეყრდნობიან შვილებთან ურთიერთობისას; მაგალითად: როგორ და როდის არის შესაძ-

ლებელი, დაეხმარონ ან თავი შეიკავონ მითითებებისგან; როდის უნდა ჩაერიონ მოზარდების საქმეში და როდის ჯობია, გვერდზე გადგნენ“. ამ კითხვების პირისპირ ისე ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე მშობლები/აღმზრდელები, რომ უმეტესად იღლებიან და ქაოსურად იწყებენ მოქმედებას. ზოგჯერ მკაცრ და უსარგებლო აკრძალვებს აწესებენ, ზოგჯერ კი პრაქტიკულად თვითდინებზე უშვებენ სიტუაციას. ამდენად, უშეცდომო და ღირებული დახმარების აღმოჩენას მშობელი შეძლებს მაშინ, როდესაც შეეცდება და მოახერხებს გაიგოს, რა აშფოთებს და რის დამალვას ცდილობს მისი შვილი. მოზარდები ეგზისტენციალური კრიზისის ეტაპზე არიან, პირველად უწევთ საკუთარი განცდების გაცნობიერება იმის თაობაზე, რა ელოდებათ მომავალში, და ბუნებრივია, ეს აშინებთ.





თეონა ბეპიშვილი

ვფიქრობ, ამ თემებზე დისკუსია დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია ქართულ სკოლაში. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ეროვნული ღირსების ისე გაღვივება, რომ მტრის სიძულვილმა ადამიანის დანახვის საშუალება არ დაუკარგოს მომავალ თაობებს.

ამ წერილს რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ვწერ. უკრაინაში, ირპენში, მოკლეს „ნიუ-ორკ ტაიმის“ ჟურნალისტი, ზურგიდან ესროლეს რუსმა სამხედროებმა, როდესაც კოლეგებთან ერთად გაქცევას ცდილობდა.

არ არსებობს ომზე დიდი ბოროტება და ყველა, ვინც ომს რამენაირად ამართლებს, ბოროტების მხარეს დგას.

როცა მოძმე ქვეყანაში ომია, როცა ბავშვებსა და ქალებსაც კი ხოცავენ, როცა მილიონობით ადამიანმა დაკარგა ახლობელი, სახლი, ქონება, აქ, საქართველოში, წერა და ლაპარაკი იმაზე, როგორ განვიცდით, როგორ ველით თითოეულ სიახლეს, უხერხულიც კია. თუმცა ომს ჩვენთან ერთად განიცდიან ჩვენი ბავშვები, ჩვენი მოზარდები, ჩვენი მოსწავლეები. მასწავლებლების უმეტესობას გვიწევს მათთან ამ საკითხებზე საუბარი. მნიშვნელოვანია, დისკუსიები ომის შესახებ სწორად წარიმართოს.

ერთი მხრივ, უკრაინელმა ხალხმა გამოავლინა მხედრული, იდეალისტური სული ევროპაში, რომ უნდა დაიცვა სამშობლო, რომ რამეს თუ აქვს აზრი დედამიწაზე, ეს სწორედ „განწირული სულისკვეთებაა“. გამოავლინა ევროპა და ჩვენი მოსწავლეებიც უფრო გრძნობენ სამომავლო პასუხისმგებლობას, უყვარდეთ და დაიცვან სამშობლო, თუ საჭირო გახდა, შეებრძოლონ ურჩხულს, შეებრძოლონ გოლიათს, რადგან თუ შენცენაა რწმენა და სიმართლე, საბოლოოდ ბოროტება ყოველთვის მარცხდება.

მეორე მხრივ, საშინლად მძაფრდება მტრის ხატი. ბოლო დღეებმა აჩვენა, რომ ვაჟა-ფშაველა, ქართველების ვაჟკაცობისა და ადამიანობის

უპირველესი მასწავლებელი, მოსახლეობის დიდ ნაწილს მცდარად აქვს გაგებული. თავისთავად ცხადია, მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სტუმარმასპინძლობა, მტრის შესაფერისი დახვედრა, ადამიანის, პიროვნების როლი და მნიშვნელობა.

მოზარდებისთვის განსაკუთრებით საფრთხილოა, არ მიმართონ თავიანთი აგრესია რუსი ეროვნების ადამიანებისადმი, რომელთა სიმრავლე თვალში საცემია. თავისთავად ცხადია, რუსეთის მოქალაქეობა არ ნიშნავს, რომ ვინმეზე ნაკლები ადამიანი ხარ. ახლაც, 13 მარტს, მოსკოვის მოედნიდან ვრცელდება კადრები, როგორ აპატიმრებენ საშუალო ასაკის მამაკაცს, რომელიც ომონის მანქანაში ჩატენამდე განწირულად, ხმის ჩახლეჩამდე მღერის უკრაინის ჰიმნს. ეს მამაკაცი ნამდვილი ადამიანია, ის ისეთივე გმირია, როგორიც უკრაინელები. მას რუსულ ციხეში ცემა და წამება ელის და მაინც მღერის. ასევე ყველამ ვნახეთ რუსი ბებიის დაპატიმრების სცენაც, ორი ტრანსპარანტი ხელში რომ იდგა, თუმცა ისიც ვიცით, რომ რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი პროპაგანდით ტვინგამორეცხილია და პუტინის აგრესიას მხარს უჭერს.

თავისთავად ცხადია, ვინ როგორი მოქალაქე და ადამიანია, ამას დღეს ჩვენ ვერ გავარჩევთ. ამის გარჩევის პასუხისმგებლობა, კარგი იქნებოდა, აეღო ჩვენს მთავრობას და შერჩევით შემოეშვა რუსეთის მოქალაქეები (რა თქმა უნდა, აქცენტი დაესვა მათზე, ვისაც იქ რეალური საფრთხე ემუქრება).

მეთერთმეტე კლასში ჩვენს სკოლებში „ბახტ-რიონს“ სწავლობენ. ვაჟასთვის უპირველესი გმირი, ლუხუმი, მტერს თან ხოცავს და თან არას-



**ომს ჩვენთან ერთად
განიცდიან ჩვენი
ბავშვები, ჩვენი
მოზარდები, ჩვენი
მოსწავლეები.
მასწავლებლების
უმეტესობას
გვინევს მათთან ამ
საკითხებზე საუბარი.
მნიშვნელოვანია,
დისკუსიები ომის
შესახებ სწორად
წარმართოს.**

დროს უზუბუნდება სული, ცრემლი სდის ყოველი
მოკლულის გამო.

„შენ შეგებრალა ურჯულო,
მოგიწყლიანდა თვალები,
უთუოდ, საით ენახე,
შეგაფურთხებდნენ ქალები“,

– ეუბნება მას ძმობილი ზეზვა გაფრინდაული.
ზეზვა გმირია, დიდი გმირიც, მაგრამ მისი ფილო-
სოფია სხვაა:

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შავიბრალოთ რისადა,
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა“.

თავისთავად ცხადია, ჩვენთან შემოსული რუსე-
თის მოქალაქეები იარაღით არ მოდიან, მაგრამ
ისინი მტრული სახელმწიფოს შვილები არიან.
ვფიქრობ, მათ ამ ქვეყანაში უნდა იგრძნონ გარკ-
ვეული დისკომფორტი თავიანთი სახელმწიფოს
გამო. ვინც ანტიუტინისტური განწყობისაა, სწო-
რად გაიგებს და თავადაც იგივე ფიქრი ექნება,
ვინც არა, დაე, იგრძნოს თავი უხერხულად.

ამის გაკეთება, ვფიქრობ, ძალადობისა და
უპატივცემულობის გარეშე შესაძლებელია.
მაგალითად, ყველას გვექონდეს რაღაც ატრი-
ბუტი, რომელიც მათ ჩვენთვის წარმემულ 20
პროცენტს ან უკრაინის ომს გაახსენებს. მაგრამ
ამგვარი გამოხატვის დროსაც არ უნდა დაგვა-
ვიწყდეს ლუზუმის ცრემლები, ტკბობაში არ უნდა
გადავცვივდეთ, თავადაც უნდა გვაწუხებდეს,
რომ სხვას ვარცხვენთ, ვახსენებთ, რომ ოკუპანტი
ქვეყნის შვილია, რომ ის სხვა, შეიძლება, ჩვენზე
ნაკლები ადამიანი არაა:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“.

ჩვენი თვითგამოხატვა ეროვნული ღირსების
დაცვა უნდა იყოს და არა სხვისი სიძულვილი.

ვფიქრობ, ამ თემებზე დისკუსია დღეს, როგორც
არასდროს, აქტუალურია ქართულ სკოლაში.
მასწავლებელმა უნდა შეძლოს ეროვნული ღირ-
სების ისე გალვივება, რომ მტრის სიძულვილმა
ადამიანის დანახვის საშუალება არ დაუკარგოს
მომავალ თაობებს.

P.S. რაკი „ბახტრიონს“ შევხეხე, აქვე კვირიასაც
გავიხსენებ, ყველაზე ღატაკ გმირს. მას
არაფერი აბადია, არც მიწა, არც ცოლი, არც
შვილი, არც მშობლები. მისი ბრძოლა და
თავგანწირვა ყველაზე უანგაროა. ლელაც კი,
რომელიც მასთან ერთად უეჭველ სიკვდილზე
მიდის, პირადი შურისძიების გრძნობითაცაა
სავსე. ამ დღეებში გავრცელდა ფოტოები,
როგორ აგროვებენ უკრაინელი მაწანწალები
ბოთლებს და აკეთებენ მოლოტოვის კოქტე-
ილებს. მათაც ალბათ საშობლოს იდეის იქით
არაფერი აბადიათ, ისინიც ჩვენი კვირიასავით
ყველაზე უანგაროდ ირჯებიან. არ მინდა,
ომის რომანტიზაცია გამომივიდეს, მაგრამ რა
მაგარია, როცა ნაგვისგან შეგიძლია შექმნა
შენი საშობლოს დასაცავი იარაღი, ჩვეულებ-
რივს ჯადოსნური ძალა მიანიჭო, როგორც
ზღაპრებშია.

დიდი იმედი მაქვს, ზღაპრის გმირებით,
უკრაინელები აუცილებლად გაიმარჯვებენ.





თამთა კობახიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გერმანულენოვან სივრცეში

**ქვეყნის მასშტაბით
ჩატარებულმა
კვლევამ აჩვენა,
რომ, გარდა ჰესენის
ფედერალური მიწისა,
ყველა ტერიტორიულ
ერთეულს
სკოლებისთვის
ჰქონდა ონლაინ,
შიდასასკოლო
შეფასების მზა
ინსტრუმენტები.
რაც შეეხება
რეკომენდაციებსა
და კონსულტაციებს,
მათი მიღება სკოლას
ყველა ფედერალურ
მიწაზე შეუძლია.**

სტატიაში აღვწერთ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას გერმანიაში. მოგეხსენებათ, გერმანია ფედერალური სახელმწიფოა, შესაბამისად, ზოგადი განათლების პოლიტიკის აღსრულება და პრინციპები დელეგირებულია ფედერალური მიწების დონეზე. მსგავს ზოგად საკანონმდებლო საკითხებზე შეთანხმება ფედერალური მიწების წარმომადგენელთა საერთო შეკრებაზე ხდება, ხოლო განხორციელება უკვე სათანადო ორგანოების პროგატივითაა ლოკალურ დონეზე. ზოგადი რეგულაციების თანახმად, სკოლის გარე და შიდა შეფასება სავალდებულოა. გარე შეფასებას ძირითადად განმავითარებელი ხასიათი აქვს, თუმცა შეიძლება, უფრო მკაცრი რეაგირებაც მოჰყვეს, ვიდრე ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ.

2017 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ, გარდა ჰესენის ფედერალური მიწისა, ყველა ტერიტორიულ ერთეულს სკოლებისთვის ჰქონდა ონლაინ, შიდასასკოლო შეფასების მზა ინსტრუმენტები. რაც შეეხება რეკომენდაციებსა და კონსულ-

ტაციებს, მათი მიღება სკოლას ყველა ფედერალურ მიწაზე შეუძლია. ინსტრუმენტების განვითარების თვალსაზრისით, სკოლების აქტიურ პარტნიორობად მიჩნეული არიან უნივერსიტეტები, რომლებიც განათლების მიმართულებით კვლევებს აწარმოებენ. ამ სტატიაში მიმოვიხილავთ რამდენიმე მაგალითს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიული ოლქების მიხედვით. როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი პრინციპები საერთო შეთანხმების დონეზე გაწერილია, ხოლო მათი იმპლემენტაცია ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციას წარმოადგენს.

ბავარია – გარე შეფასებისთვის სკოლების არჩევა სამგვარად ხდება: თავად სკოლის მოთხოვნით, შემთხვევითი შერჩევით, მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილებით. შემფასებლების ჯგუფი შედგება სამი სკოლის დირექტორისა და გარე ექსპერტისგან, რომელიც შეიძლება იყოს როგორც შშმბელთა გაერთიანების, ისე ბიზნესექტორის წარმომადგენელი. წლის განმავლობაში შემფასებლების ჯგუფი დაახლოებით 10 სკო-

ლას აფასებს და თითოეულში 30 საკონტაქტო საათს მაინც ატარებს. ისინი აფასებენ წინასწარ მომზადებულ სასკოლო პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს სკოლის თვითშეფასებას და სხვა დოკუმენტაციას, რაც დამკვირვებლებს წარმოდგენას უქმნის სკოლაში ხარისხის განვითარების შესახებ. წინასწარ მომზადებული შემფასებლები ვიზიტის დროს ატარებენ ინტერვიუებს და ესწრებიან გაკვეთილებს. დეტალურადაა გაწერილი, რა უნდა გაკეთდეს: წლის დასაწყისში შერჩეულ სკოლებთან ვიზიტამდე თორმეტი კვირით ადრე ტარდება გასაუბრება, მათ ეძლევათ ექვსი კვირის ვადა მონაცემების წარდგენისთვის; ვიზიტამდე ორი კვირით ადრე თანხმდება ორგანიზაციული დეტალები. სამი დღის განმავლობაში ექსპერტები იმყოფებიან სკოლაში, ხოლო ვიზიტის შემდეგ ორ დღეში ამზადებენ ანგარიშს. შეფასებისას ითვალისწინებენ 4 დონეს: სკოლის მაღალი დონის საჭიროებებს, ზოგად საჭიროებებს, სკოლის ძლიერ მხარეებს და მკვეთრად გამოხატულ, ძლიერ მახასიათებლებს. სკოლის შეფასების შემდეგ მაკონტროლებელი გაცემს

რეკომენდაციებს ინსტიტუციის განვითარებისთვის. დასკვნები კონფიდენციალურია და სკოლის თანხმობის გარეშე არ ქვეყნდება.

ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალია


– როგორც სხვა ფედერალური მიწებისთვის, რაინ-ვესტფალიის სკოლებისთვისაც სავალდებულოა თვითშეფასების წარმოება. როგორც სკოლები, ისე სკოლის მაკონტროლებელი ორგანოებიც ვალდებული

ორიენტირებულია ცალკეული სკოლების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებზე. ხარისხის განვითარების გაანალიზება სკოლებში დაკავშირებულია გაკვეთილის განვითარების პროცესთან.

ბრანდენბურგი – 2005-2006 წლიდან გარე შეფასება ბრანდენბურგის ფედერალურ მიწაზე სკოლებისთვის ნორმატიულ დონეზე დაკანონდა. გარე შეფასების მიზნებია: დამოუკიდებ-

ცენტრალური ინსტრუმენტებია. შეფასების დროს მოწმდება სწავლა-სწავლების პროცესი, მართვა და სკოლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სასწავლო შედეგები და მათი გავლენა. ინსპექტირებისა და გარე შეფასების საკითხები (როგორც სხვა ფედერალურ მიწებზე) ევალუება სკოლების სამეთვალყურეო ორგანოს, რომელიც სამინისტროსგან

ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი (რომელთა კვალი-ფიკაცია და გამოცდილება დოკუმენტურად დასტურდება და აქვთ საზოგადოების მხრივ მაღალი სანდოობა) აანალიზებს სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციას და ახორციელებს ვიზიტებს წინასწარ შერჩეულ დაწესებულებებში. როგორც ბავარიის, ამ ფედერალურ ოლქშიც აუცილებელია, ექსპერტთა ჯგუფის წევრს ჰქონდეს როგორც სწავლების,



არიან, იზრუნონ განათლების ხარისხისა და ორგანიზაციული ხარისხის განვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის განვითარება და ინოვაცია თვითშეფასების პროცესის მთავარი საყრდენია. ამ თემების გააქტიურება დაიწყო 2006 წლიდან, როდესაც სკოლები ვალდებული გახდნენ, უკვე ფორმალურადაც აესახათ სკოლის განვითარება ხარისხის სისტემაში. 2013-2014 წელს ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პროცესი ძირითადად

ლი ექსპერტების მიერ სკოლის მუშაობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების ემპირიული ანალიზით სკოლებისთვის ბიძგის მიცემა გაკვეთილისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებისკენ, სკოლასთან ერთობლივი მუშაობა, მონაცემების შეგროვება ფედერალურ მიწაზე ზოგად განათლებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. დოკუმენტური მონაცემების ანალიზი, ინტერვიუ და დაკვირვება მონაცემების შეგროვების

დამოუკიდებელი იურიდიული პირია. ანალოგიური სისტემაა ბერლინის ფედერალურ ოლქშიც.

ბადენ-ვიურტემბერგი – ამ ფედერალურ მიწაზე სკოლის ხარისხის განვითარებაზე ერთდროულად რამდენიმე სამსახური მუშაობს: სკოლის ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა განათლების ცენტრი, განათლების კვლევების ცენტრი და სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო.

ასევე მართვის გამოცდილება. შერჩეული ექსპერტები გადიან, სულ ცოტა, ერთწლიანი მომზადების ციკლს, რომელიც დაკავშირებულია მონაცემების დამუშავებასთან, ანალიზთან, შეფასებასა და ორგანიზაციულ საკითხებთან. შეფასება ძირითადად ორიენტირებულია ხარისხის განვითარებასა და საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებაზე. როგორც წინა შემთხვევებში, მატერიალური ბაზის შემოწმება ექსპერტთა მოვალეობებში არ შედის.



მანანა სეხნიაშვილი

ინტერდისციპლინური სწავლების მნიშვნელობა

**ინტერდისციპლინური
კავშირების
გამოყენება ძალიან
მნიშვნელოვანი და
პროდუქტიულია
სასწავლო გეგმის
ფარგლებში სასწავლო
დროის დაზოგვის,
მოსწავლეთა
გადაღლის თავიდან
აცილების, სამყაროს
ერთიანი სურათის
ჩამოყალიბებისა
და თეორიული
ცოდნის პრაქტიკულ
ცხოვრებასთან
დაახლოების
თვალსაზრისით.**

თანამედროვე მეცნიერების ყველა დარგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, შესაბამისად, არ შეიძლება, სასკოლო საგნები ერთმანეთისგან იზოლირებული იყოს. მათი კავშირი წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერების ინტეგრაციას, რომელთაგან თითოეული თავის სფეროში ცალკეულ მატერიალურ სამყაროს სწავლობს. სასკოლო დისციპლინებს შორის ურთიერთობა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა და მოიცავს მრავალმხრივი კონტაქტების უზრუნველყოფას, რათა მოსწავლეთა აზროვნება ჰარმონიულად განვითარდეს.

ინტერდისციპლინური კავშირები ბუნებრივ მოვლენებზე მოსწავლეთა ჰოლისტური ხედვის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, მათ ცოდნას უფრო ღრმას და ფეფქტიანს ხდის. ინტერდისციპლინური კავშირების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი და პროდუქტიულია სასწავლო გეგმის ფარგლებში სასწავლო დროის დაზოგვის, მოსწავლეთა გადაღლის თავიდან აცილების, სამყაროს ერთიანი სურათის ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაახლოების თვალსაზრისით.

მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება მოსწავლეებში გეოგრაფიის ყველა კურსის შესწავლისას ხდება, ისტორიასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, მეტყველების განვითარებასთან, მათემატიკასთან, ხელით შრომასა და სხვა საგნებთან კავშირების გამოყენება კი ხელს უწყობს მოსწავლეების გონებაში მეცნიერებათა ერთიანობის შესახებ იდეების განმტკიცებას. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეები დიალექტიკური მატერიალიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებებს შესწავლილი კონკრეტული ფენომენებით აღიქვამენ. ამასთან, გეოგრაფიის

მასწავლებელი მთავარ როლს ასრულებს სხვა საგნების შესწავლისას გეოგრაფიული ცოდნისა და უნარების კომპლექტური გამოყენების უზრუნველყოფაში.

ეს ყველაფერი გეოგრაფიის მასწავლებელს სასკოლო ინტერდისციპლინურ თანამშრომლობაში ობიექტურად აყენებს ერთ-ერთ წამყვან ადგილზე.

აშკარაა ინტერდისციპლინური კავშირების აქტუალობა სასკოლო განათლებაში. მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე განაპირობებს ისტორიის, სოციალური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ცოდნის ინტეგრაციას. სამეცნიერო ცოდნის ინტეგრაცია, თავის მხრივ, სპეციალისტებს ახალ მოთხოვნებს უყენებს. იზრდება ადამიანური ცოდნის როლი მეცნიერებათა სფეროში და მათი ყოვლისმომცველი გამოყენების უნარი პრობლემების გადაჭრაში.

სასკოლო კურსში ინტერდისციპლინური კავშირების დამყარება ხელს უწყობს ცოდნის უფრო სრულყოფილ ათვისებას, მეცნიერული ცნებებისა და კანონების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და მის ოპტიმალურ ორგანიზაციას, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ბუნებაში ფენომენთა ურთიერთობის გააზრებას, რასაც დიდი საგანმანათლებლო ღირებულება აქვს. გარდა ამისა, ეს მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლებას, ლოგიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს.

საგნის სწავლებისას ჩვენ მოსწავლეებში ცნობიერ დამოკიდებულებას ვაყალიბებთ ამ საგნის

მიმართ, რაზეც დიდწილად დამოკიდებულია მისი ათვისების ხარისხი. როგორც წესი, მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას საგნის მიმართ მკაფიოდ და ლაკონურად: „საინტერესოა“ – „არ მაინტერესებს“. ეს მასწავლებელს ეხმარება როგორც მისი მუშაობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

საგანმანათლებლო მასალაში მნიშვნელოვანია იმ საკითხების გამოკვეთა, რომელთა შესწავლა მოითხოვს (სხვა საგნებიდან) ადრე ნასწავლ ცოდნაზე დაყრდნობას.

ალური და ჰუმანიტარული საგნების ურთიერთმიმართების პრინციპის პრაქტიკაში დანერგვისას.

ბევრი გეოგრაფიული ცნების გაგება და ათვისება შეუძლებელია მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების ელემენტარული ცოდნის გარეშე. მაგალითად, ადგილის გრძედებიდან გამომდინარე, დღისა და ღამის ხანგრძლივობის დადგენა, რუკაზე გაზომვა, სხვადასხვა ობიექტის ფართობის განსაზღვრა და რელიეფის გეგმის წაკითხვა მათემატიკური გამოთვლების გარეშე შეუძლებელია; გათბობისა და გამოსხივების



გეოგრაფიის საგნის მიმართ შემეცნებითი ინტერესის ფორმირება მრავალი ფაქტორის გავლენით ხდება, მაგრამ ჩვენ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა გამოვყოთ.

ინტერდისციპლინური კავშირები თანამედროვე სკოლაში სწავლების უმნიშვნელოვანესი პრინციპია. როგორც წესი, ჩვენ, მასწავლებლები, სირთულეებს ვეჯახებით საბუნებისმეტყველო, სოცი-

პროცესები, აორთქლება და კონდენსაცია, ნალექების წარმოქმნა, წონის, სიმკვრივის, ჰაერის წნევის ცნება ფიზიკის ცოდნას მოითხოვს; ბუნებრივ არეალში ნიადაგის საფარის, მცენარეულობისა და ველური ბუნების ფორმირება და მათი ურთიერთობა ცხადი ხდება მხოლოდ ბიოლოგიის ცოდნით. ინტერდისციპლინური კავშირების როლს სასწავლო პროცესში დიდწილად საგნის საპეციფიკო განსაზღვრავს. მათემატიკის ცოდნა

**მასწავლებლის
ამოცანაა,
მოსწავლეების
ფსიქოლოგიურ
მახასიათებლებზე
დაყრდნობით
თანმიმდევრულად
ჩამოაყალიბოს
მათი სისტემატური
აზროვნება,
შემეცნებითი
ინტერესი, დაეხმაროს
მათ არა მხოლოდ
ცოდნის შეძენაში,
არამედ იმაშიც,
რომ ისწავლონ
გადანწყვეტილების
მიღება,
დამოუკიდებლად
აზროვნება და
საკუთარი თავისა და
შესაძლებლობების
ნდობა.**

ობიექტების ფართობის შესახებ უფრო კონკრეტული იდეების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ფიზიკის ცოდნა ფიზიკური და გეოგრაფიული ფენომენების არსს ხსნის. ბიოლოგიის ცოდნის გამოყენება ხელს უწყობს ბუნების კომპონენტებს შორის ურთიერთობის გამოვლენას.

მაგალითები:

- გაკვეთილი მე-7 კლასში თემაზე: „სამხრეთი ამერიკის ნოტიო ტროპიკული ტყეები“ (გეოგრაფია – ბიოლოგია). ამ გაკვეთილზე მოსწავლეებს შემდეგი კითხვები დაუსვით:
 - რით განსხვავდება ტროპიკული ტყის მცენარეები სხვა ბუნებრივ ზონებში არსებული ხეებისგან?
 - რომელი მცენარე იზრდება ხეების ქერქზე, რომლის ფესვები კი დია ჰაერში?
 - რომელ მცენარეს აქვს ყველაზე დიდი ფოთლები და სად იზრდება?

გაკვეთილი მე-7 კლასში თემაზე: „ცოცხალი ორგანიზმები ანტარქტიდის პირობებში“. ამ გაკვეთილზე მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ ამბავი:

– უზარმაზარ დაბლობზე ვიყავი და თავი მტკიოდა, ცხვირიდან სისხლი მდიოდა, თითქოს მალლა, მთაზე ავედი. რატომ მოხდა ეს? (ანტარქტიდის საშუალო ყინულის სიმაღლე 2 კმ-ია, რის გამოც მას „ღრუბლების ზემოთ მიწასაც“ უწოდებენ)

– ირგვლივ თოვლი იდო, მე კი მზის სათვალეს ვიკეთებდი და გავიროუჯე, როგორც ტროპიკებში.

კითხვა: რატომ?

– ვნახე ჩიტები, რომელთა კვერცხები ბუდეებში კი არ აწყვია, არამედ მათ ჩანთაშია.

კითხვა: რომელი ჩიტია?

– ორი მცენარეული ორგანიზმი ცხოვრობდა, როგორც ერთი.

კითხვა: რა ვნახე?

– ზღვის ცხოველები წყლიდან მშრალი გამოდიან.

კითხვა: შესაძლებელია?

– ვნახე წყალში მცხოვრები საპილო, ლომი და ლეოპარდი.

კითხვა: როგორ შეიძლება?

მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს მათი სისტემატური აზროვნება, შემეცნებითი ინტერესი, დაეხმაროს მათ არა მხოლოდ ცოდნის შეძენაში, არამედ იმაშიც, რომ ისწავლონ გადაწყვეტილებების მიღება, დამოუკიდებლად აზროვნება და საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ნდობა.

ინტერდისციპლინური კავშირები შეიძლება ერთგვარი ფრაგმენტი, გაკვეთილის ცალკეული ეტაპი იყოს, რომელზეც გარკვეული შემეცნებითი ამოცანა გადაწყდება – ამოცანა, რომელიც მოითხოვს სხვა საგნებიდან ცოდნის გამოყენებას. სხვა საგნებიდან ინფორმაცია საგულდაგულოდ უნდა იყოს შერჩეული, რათა დამატებითმა ინფორმაციამ არ გადატვირთოს გაკვეთილი და არ დაჩრდილოს გეოგრაფიაში სასწავლო მასალის შინაარსი.

- სასკოლო განათლებაში მეცნიერებათა ინტეგრაციის გამოყენებით შესაძლებელია შემდეგი შედეგების მიღწევა:
 - ცოდნა იძენს სისტემის თვისებებს;
 - უნარები განზოგადდება, რაც ხელს უწყობს ცოდნის კომპლექსურ გამოყენებას, სინთეზს, იდეებისა და მეთოდების გადაცემას ერთი მეცნიერებიდან მეორეზე, რაც მეცნიერულ საქმიანობაში შემოქმედებით მიდგომას უდევს საფუძვლად;
 - გაძლიერებულია მოსწავლეების შემეცნებითი ინტერესების მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია;
 - მათი თავდაჯერება უფრო ეფექტიანად ყალიბდება და მიიღწევა პიროვნების განვითარება; ხელს უწყობს საგანმანათლებლო და პედაგოგიური საქმიანობის ოპტიმიზაციას, გააქტიურებას.

ძნელია დაასახელო სხვა საგანი, რომელსაც ისეთი ფართო ინტერდისციპლინური კავშირები ექნება, როგორც გეოგრაფიას.



მშვიდობის ერთი გაკვეთილი

მათემატიკის გაკვეთილის გეგმა
„მოქალაქეობის“ მოტივებზე



თამარ მურუსიძე

დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომი, ყველას სატკივარია. ვფიქრობ, შეუძლებელია, საკლასო სივრცეში ამ თემაზე ყურადღება არ გამახვილდეს. მაშ, როგორ დავუკავშიროთ ის მათემატიკის გაკვეთილს? „დროშები ჩქარა“ გამახსენდა და მათემატიკის საკითხები, რომლებიც სწორედ ახლა ისწავლება მე-7 კლასში, საშუალებას მაძლევს, ჩემი მოსწავლეები სოლიდარობის აქციას შევეურთო. მით უმეტეს, მათი გულები გაუღენთილია თანადგომითა და თანაგანცდით.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, „მათემატიკურ ენაზე“ დამეგვამა „მშვიდობის ერთი გაკვეთილი“, რომელსაც გაგიზიარებთ.

სამიზნე ცნება: ანალიზური გეომეტრია, გარდაქმნები

საკითხები:

- საკოორდინატო სისტემა;
- პარალელური გადატანა;
- სიმეტრია.

მკვიდრი წარმოდგენები:

- სისტემისა თუ სივრცეში გეომეტრიულ ობიექტებს

სხვადასხვა ურთიერთმდებარეობა აქვს. ანალიზური გეომეტრია გვეხმარება ადგილმდებარეობის განსაზღვრაში, ასევე – გეომეტრიულ ობიექტებსა და ელემენტებს შორის კავშირის აღწერაში.

- გარდაქმნებისა და სიმეტრიის შესწავლა გვეხმარება ფიზიკური ცვლილების გააზრებაში.

**ესგ-ის მიხედვით
მისაღწევი შედეგი:**

მათ VII.1.1: მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული გარდაქმნების განხორციელება და მათი გამოყენება ფიგურათა თვისებების დასადგენად.

- გარემოცველ ობიექტებს შორის მოიძიებს სიმეტრიულ ობიექტებს;
- ხაზავს ბრტყელი ფიგურის (ტეხილი, მრავალკუთხედი) სიმეტრიულ ფიგურას მითითებული ღერძების მიმართ. ახდენს ბრტყელი ფიგურის (ტეხილი, მრავალკუთხედი) პარალელურ გადატანას;
- უთითებს ბრტყელი ფი-

გურის სიმეტრიის ღერძს/ღერძებს; ახდენს სიმეტრიულობის დემონსტრირებას.

მათ VII.1.2. მოსწავლეს შეუძლია კოორდინატთა მეთოდის გამოყენება.

- ორიენტირებს რუკაზე ან საკოორდინატო სისტემაზე კოორდინატების გამოყენებით;
- ასახელებს საკოორდინატო ღერძების მიმართ მოცემული წერტილის ღერძულად სიმეტრიული წერტილის კოორდინატებს;
- პოულობს პარალელური გადატანით მიღებული ფიგურის ნებისმიერი წერტილის კოორდინატებს მისი წინასახის კოორდინატებისა და მიმართული პარალელური გადატანის მეშვეობით.

კლასი: VII

გაკვეთილის ტიპი: შემაჯამებელი

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ სისტემაზე ორიენტირებას და გეომეტრიული ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღ-

დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომი, ყველას სატკივარია. ვფიქრობ, შეუძლებელია, საკლასო სივრცეში ამ თემაზე ყურადღება არ გამახვილდეს. მაშ, როგორ დავუკავშიროთ ის მათემატიკის გაკვეთილს?

მოსწავლეები შეძლებენ სიბრტყეზე ორიენტირებას და გეომეტრიული ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრას; გეომეტრიული ობიექტების გარდაქმნებით მიღებული ფიზიკური ცვლილებების გააზრებას; აუმაღლდებთ მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და განუვითარდებთ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი.


ვრას; გეომეტრიული ობიექტების გარდაქმნებით მიღებული ფიზიკური ცვლილებების გააზრებას; აუმაღლდებთ მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და განუვითარდებთ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. „დროშები ჩქარა“

მოსწავლეები დაგაწყვილე და ვუთხარი, რომ თემის შეჯამებას ვაპირებდით. „თქვენ დაგირიგდებთ ბარათები ამოცანის პირობით. საკოორდინატო სიბრტყეზე უნდა გამოსახოთ გეომეტრიული ობიექტები, შეასრულოთ პარალელური გადატანა და სიმეტრიული ასახვები. ამ სამუშაოს შესრულების შედეგად კი ნაშრომზე უკრაინისა და საქართველოს დროშები გამოისახება. თქვენს ნამუშევარს, როგორც ყოველთვის, საკლასო ოთახში გავაკრავთ, დავათვალიერებთ და შევაფასებთ“. შევამჩნიე, რომ მოსწავლეებს სინარულით აენთოთ თვალები. ეს მუხტი გაკვეთილის ბოლომდე შენარჩუნდა. მუშაობის დროს ვგრძნობდი, რომ მოსწავლეები უდიდეს მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავდნენ უკრაინელი ხალხის მიმართ.

თავდაპირველად ბადე ფურცლები დავურიგე:



შემდეგ სხვადასხვა წყვილს თითო ბარათი მივეცი (სულ 5 ბარათი მოვამზადე). დავალე-ბის პირობები სხვადასხვა დონისაა – ადვილი, საშუალო და ძნელი, ამიტომ მოსწავლეებს ბარათები მათი მზაობის შესაბამისად გადავეცი.


ბარათი #1. ამოცანის პირობა

მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე ააგე უკრაინის დროშა.

დროშა (მართკუთხედის ფორმა): $(-5; 1)$, $(-5; 7)$, $(6; 7)$, $(6; 1)$, $(-5; 1)$

გამყოფი ხაზი: შეასრულე პარალელური გადატანა დროშის ზედა საზღვრის, (ჰორიზონტალური ხაზი) შემდეგი წესით $(x; y)$ $(x; y-3)$

მოსწავლეთა ერთ-ერთი წყვილის ნამუშევარი



დროშის ტარი: $(-5; -6)$, $(-6; -6)$, $(-6; 8)$, $(-5; 8)$, $(-5; 6)$,

ბარათი #2. ამოცანის პირობა

მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე ააგე უკრაინისა და საქართველოს დროშები. ჯერ ააგე უკრაინის დროშა, შემდეგ მის სიმეტრიულად – საქართველოს დროშა.

უკრაინის დროშა: დროშის ტარი: $(7; 14)$, $(0; 0)$, $(-7; -14)$.

დროშა, მართკუთხედის ფორმის: $(7; 14)$, $(19; 8)$, $(15; 0)$, $(3; 6)$

გამყოფი ხაზი: შეასრულე პარალელური გადატანა დროშის ქვედა საზღვრის, (მონაკვეთის) შემდეგი წესით $(x; y)$ $(x+2; y+4)$

საქართველოს დროშა: ააგე უკრაინის დროშის სიმეტრიული გადატანით

მოსწავლეთა ერთ-ერთი წყვილის ნამუშევარი



OY ღერძის მიმართ (საქართველოს დროშის გამყოფი „ჯვრის ხაზები“ მართკუთხედის სიმეტრიის ღერძებია).

ჯვრის კოორდინატები: $(-8; 6)$, $(-6; 7)$, $(-6; 5)$, $(5, 5)$, $(-7, 5)$, $(7, 5)$ ასახე სიმეტრიულად მართკუთხედის სიმეტრიის ღერძების (ცენტრალური ჯვრის) მიმართ, ჯერ ვერტიკალურად, შემდეგ ჰორიზონტალურად.

ბარათი #3. ამოცანის პირობა

მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე ააგე უკრაინის დროშა.

დროშის ტარი: $(-11; 19)$, $(-10; 19)$ $(-10; -15)$ $(-11; -15)$ (გააფერადე)

ფრიალა დროშა:

(მრავალკუთხედი)
 $(-9; 6)$, $(-9; 17)$, $(-7; 18)$,
 $(-5; 18)$, $(-3; 17)$, $(0; 16)$,
 $(4; 17)$, $(5; 17)$, $(8; 15)$,
 $(8; 4)$, $(5; 6)$, $(4; 6)$, $(1; 5)$,
 $(0; 5)$, $(-3; 6)$, $(-5; 7)$
 $(-7; 7)$ $(-9; 6)$

მოსწავლეთა ერთ-ერთი ნაშრომის ნამუშევარი



ფერის გამყოფი ხაზი:

შეასრულე პარალელური გადატანა დროშის ქვედა საზღვრის, (ტეხილის) შემდეგ წესით $(x; y) \rightarrow (x; y+5,5)$

თოკი I: $(-10; 5)$, $(-9; 6)$

თოკი II: $(-10; 18)$, $(-9; 17)$

ზოგიერთმა მოსწავლემ დახაზა დროშა და შექმნა ამოცანის პირობა.

აქტივობა: მშვიდობა მსოფლიოს

მოსწავლეებს ვთხოვე, მოეფიქრებინათ სლოგანები, რომლებიც მსოფლიოს მშვიდობისკენ მოუწოდებდა და დროშებზე დაეწერათ.

ემოციები, რომლებიც ბავშვებმა დროშებზე გადაიტანეს, საკლასო ოთახში ვერ დაეტიო

და დერეფანში, ჩვენი საკლასო ოთახის კარზე გამოვფინეთ როგორც უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეს გაკვეთილი შეგიძლიათ საბაზო საფეხურის სამივე კლასში დაგვემოთ და ჩაატაროთ, კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით და კურიკულუმის მცირედი ცვლილებით.

მშვიდობა მსოფლიოს!


ბარათი #4. ამოცანის პირობა

მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე ააგე საქართველოს ხუთჯვარიანი დროშა:

დროშა (მართკუთხედის ფორმა): ააგე $(-16; 12)$ წერტილი. ააგე ამ წერტილის სიმეტრიული წერტილები Ox , Oy და O სათავის მიმართ. მათი შეერთებით მიიღებ მართკუთხედს.

ცენტრალური ჯვარი: წითელი ვერტიკალური ზოლი (მართკუთხედის): $(-1; -12)$, $(-1; 12)$, $(1; 12)$, $(1; -12)$.

წითელი ჰორიზონტალური ზოლი (მართკუთხედის):



$(-16; -1)$ $(-16; 1)$, $(16; 1)$ $(16; -1)$

ჯვარი „მეოთხედში“ $(8; 3)$, $(8; 6)$, $(5; 6)$, $(5; 7)$, $(8; 7)$, $(8; 10)$, $(9; 10)$, $(9; 7)$, $(12; 7)$, $(12; 6)$, $(9; 6)$, $(9; 3)$, $(8; 3)$

ასახე სიმეტრიულად „ცენტრალური ჯვრის“ ჯერ ვერტიკალური ხაზის, ხოლო შემდეგ ჰორიზონტალური ხაზის მიმართ.

მოსწავლეთა ერთ-ერთი ნაშრომის ნამუშევარი



ბარათი #5. ამოცანის პირობა

მართკუთხა საკოორდინატო სიბრტყეზე ააგე უკრაინის დროშა.

დროშა (მართკუთხედის ფორმა): $(-8; 2)$, $(-8; 16)$, $(14; 2)$, $(14; 16)$

გამყოფი ხაზი: გაავლე სიმეტრიის ღერძი (მართკუთხედში) ჰორიზონტალურად.



დროშის ტარი: $(-9; -15)$, $(-9; 17)$, $(-10; 18)$, $(-10; 19)$, $(-9; 20)$, $(-8; 20)$, $(-7; 19)$, $(-7; 18)$, $(-8; 17)$, $(-8; -15)$

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა <http://ncp.ge/ge/curriculum/mat-vii11/348>
2. მათემატიკის გზამკვლევი. მე-7 კლასი. შედგენილი ქეთი ცერცვაძის მიერ, ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. <https://math.ge/meshvide-klasi/>



ოთარ ჭირკვალიშვილი

თამაშის აკოლოგია

ბავშვობა, ლიტერატურა, ჟანრაჟი

სწორედ იმით, რომ ბავშვი თამაშობს, თამაშობს გულწრფელად და ზოგჯერ გულწრფელობითაც თამაშობს. ბავშვი თამაშით სრულყოფილად ახორციელებს საკუთარ თავისუფლებას. თამაში და თავისუფლება განუყოფელი ცნებებია, ისინი ერთმანეთისგან გამომდინარეობს. სახარებაშიც გვხვდება ასეთი გამონათქვამი: „იყავით ბავშვებივით“.

მეტისმეტე სერიოზულობა დამღლელია. სწორედ ამიტომ მიმართავს ადამიანი თამაშის ხელოვნებას. ის კი არა, ზოგი მოაზროვნის აზრით, ადამიანის ყოფის ეგზისტენციალური არსი თამაშია. შეგახსენებთ ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილ მეტაფორას ადამიანის განვითარების ეტაპების შესახებ. იგი საუბრობს სამ საფეხურზე: აქლემზე, ლომსა და ბავშვზე. აღსანიშნავია, რომ ბავშვი (ბავშვობა, ბავშვურობა) ნიცშესთან უმაღლესი საფეხურია. დარით უპირატესობს იგი დანარჩენებზე? სწორედ იმით, რომ ბავშვი თამაშობს, თამაშობს გულწრფელად და ზოგჯერ გულწრფელობითაც თამაშობს. ბავშვი თამაშით სრულყოფილად ახორციელებს საკუთარ თავისუფლებას. თამაში და თავისუფლება განუყოფელი ცნებებია, ისინი ერთმანეთისგან გამომდინარეობს. სახარებაშიც გვხვდება ასეთი გამონათქვამი: „იყავით ბავშვებივით“.

ყველა დიდი ლიტერატურული ნაწარმოები, გარკვეული აზრით, თამაშია. ხშირად საუბრობენ პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში თამაშის მნიშვნელობის შესახებ, რაც სამყაროს უგრძნობლობითაა გამოწვეული. პოსტმოდერნისტი ავტორი თამაშით თითქოს სამყაროს გამოფხიზლებას ცდილობს. ცდილობს, ადამიანის ტანჯვა-წამებას სერიოზულობა დაუკარგოს და ფარსად აქციოს. ესეც ერთგვარი პროტესტია. ონტოლოგიურ კითხვებზე პასუხი გნებავთ? – ირონიულად კითხულობს პოსტმოდერნისტი მწერალი, – დაივიწყეთ მსგავსი კითხვები, ისინი უბრალოდ არ არსებობენ. ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე ადამიანი აცნობიერებს, რომ სამყარო არც ისეთი ჰარმონიული და მოწესრიგებულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მწერლები ამას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან. ამის გამო ჩვენი დროის ბევრი მწერალი გამოირჩევა პოსტმოდერნისტული მგრძნობელობით. სამყაროს უგრძნობლობამ

მწერალი მეტისმეტად მგრძნობიარე გახდა და მან თამაშის ხელოვნებას მიმართა. აქ იბადება უცნაური პარადოქსი: ადამიანური ყოფის ტრაგიკულობა ტრაგედიის არარსებობაა. ამის დამტკიცებას ცდილობს თანამედროვე ავტორი.

თამაში ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმის მონაპოვარი სულაც არ გახლავთ, იგი ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა. ძველი ბერძენი დრამატურგები საშინელ ტრაგედიებსაც სცენაზე თამაშის ხელოვნებად აქცევდნენ. რატომ ჰქონდა ძველ ბერძენს თამაშისკენ ასეთი ძლიერი მიდრეკილება? იმდროინდელი ეგვიპტელისთვის ეს ხომ სრული გაუგებრობაა. რატომ ეჯიბრებით, რა საჭიროა? – კითხულობს გაკვირვებული ეგვიპტელი, რომელმაც ეს-ეს არის, უდიდესი ძველი დაუდგა სტატიკურობას – პირამიდა! ბერძენი კი ოლიმპიურ თამაშებს აჩვენებს... იქნებ მთელი ეს ბერძნული სამყარო, თავისი ესქილეებით, სოფოკლეებით, ევრიპიდეებითა და არისტოფანეებით, ელინთა ოინზაზი ღვთაების ჰერმეს ფსიქოპომპოსის თამაშის ხელოვნების უმაღლესი გამოვლინებაა და მეტი არაფერი? ბოლოს და ბოლოს, უილიამ შექსპირს ეს სამყარო თეატრად წარმოედგინა, სადაც თითოეულ ჩვენგანს გარკვეული როლი აკისრია.

არისტოფანე შემთხვევით არ მიხსენებია. არის კი არსებითი განსხვავება ტრაგედიასა და კომედიას შორის? იქნებ ისინი ერთმანეთში გადადიან და ამიტომ გვიჭირს სასაცილოსა და სატირალის გამიჯვნა (გამონათქვამი: სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს)? ხშირად ვართ მდგომარეობაში, როცა თან ვიცინით და თან ვტირით. ამ მდგომარეობას ენამ გამოსავალი მოუძებნა და ტრაგიკომიკური უწოდა. ის კი არა, ბერძნული ფილოსოფიაც თამაშის ხელოვნებიდან ამოიზარდა. თალესის მიერ სამყაროს პირველსაწყისად გა-

**როგორ მიედინება
დრო მოჭადრაკისტის?
ამის გააზრებასა და
მხატვრულ
ხორცშესხმას
„ცნობიერების
ნაკადის“ დიდოსტატი
ჯეიმს ჯოისი თუ
შეძლებდა), სხვა
სპორტის
ნარმომადგენლების-
გან განსხვავებით,
მხოლოდ პარტიაზე
არ ფიქრობს, რადგან
ჭადრაკის პარტია
მხოლოდ ჭადრაკის
პარტია არ არის და
არც ჭადრაკია
მხოლოდ სპორტი, ის
სპორტზე ბევრად
მეტია. ჭადრაკი
ცხოვრების დიდი
მეტაფორაა!**

მოცხადებული წყალი, ანაქსიმანდრეს აპეირონი, ანაქსიმენეს ჰაერი, ჰერაკლიტეს თეორია ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლის შეუძლებლობისა და მარადიული ცეცხლის ანთებისა და ჩაქრობის შესახებ შეიძლება მეტაფიზიკურ-დი-ალექტიკური თამაშის აპოლოგიად მივიჩნიოთ. „მარადისობა კენჭებით მოთამაშე ბავშვია, ბავშვს ეკუთვნის მეუფება ამა ქვეყნისა“, – წერდა ეს ეფესელი მოაზროვნე. შეგახსენებთ პლატონის ცინიკური იუმორით სავსე დიალოგებსაც, სადაც ავტორი განაქიქებს ჰომეროსის პოეზიას, ბოლოს კი თავისი დიალოგის (მიგელ დე უნამუნო მის დიალოგებს რომანებს, უფრო სწორად, რიმანებს უწოდებდა) პერსონაჟს, ვთქვათ, გლავკონს, რომელსაც სოკრატემ ჰომეროსის პოემების აბსურდულობა დაუსაბუთა, ათქმევინებს: ყველაფერში გეთანხმები, სოკრატე, მაგრამ მე მაინც ვგვიყვები ჰომეროსის პოეზიაზეო. ამ ერთი წინადადებით პლატონმა თითქმის თვითონვე გააცამტვერა თავისი დიალოგის მთავარი აზრი, მთელი მსჯელობა წყალში ჩაყარა და მაინც ირაციონალურ საწყისს მიანიჭა უპირატესობა, როგორც რალაც შეუცნობელ ძირითად პოეტურ ინსტინქტსა თუ სტიქიონს. ამის შემდეგ მე-20 საუკუნემდე იყო არაერთი ასეთი ტიპის ნაწარმოები, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მე-20 საუკუნეში კი ზემოთ ნახსენებ ფრიდრიხ ნიცშეს გამოუჩნდა მიმდევარი – იოჰან ჰაიზინგა, რომელმაც მთელი საკაცობრიო კულტურის არსი თამაშის ხელოვნების გამოვლინებად ჩათვალა. დაგვიწერა კიდევ ცნობილი ნაშრომი „Homo Ludens“ („ადამიანი მოთამაშე“). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამაში კულტურაზე ძველია, მაგრამ ის ქმნის კულტურას.

ლიტერატურაში როგორ გამოვლინდა თამაშის არსი? ზოგ წიგნში ავტორმა სათაურშივე ახსენა ის, ზოგმა ირიბად მიგვანიშნა მასზე. ჰაიზინგამდე იყო ფიოდორ

დოსტოევსკი, ნიცშეს თანამედროვე, რომელიც აზარტული თამაშების მეშვეობით საზიფათოდ ეთამაშებოდა ცხოვრებას, რის გამოც კინაღამ დაიღუპა. ამას მოუძღვნა მან ცნობილი ნაწარმოები „მოთამაშე“. შემდეგ იყო ჰერმან ჰესეს „რიოში მარგალიტებით თამაში“ (უმაღლესი კლასის მოთამაშის, მისტეკოსისა და მეტაფიზიკოსის Ludi magister იოზეფ კნენტის სულიერი თავგადასავალი). ამერიკელმა ჯერომ სელინჯერმაც გააჩაღებინა თავისი თინეიჯერ პერსონაჟებს თამაში უფსკრულის პირას, ჭვავის ყანაში. მგონი, პოლდენ კოლფილდს ფეხი დაუცდა და გადაიჩეხა კიდეც... სამწუხაროა. ასე ხდება, როცა თამაშის წესების დარღვევას ვცდილობთ. ეშმაკი გვამამაშებს, როდესაც ზუსტად არ ვაზროვნებთო, თქვა მერაბ მამარდაშვილმა. თამაშში დისციპლინისა და ზუსტად აზროვნების აუცილებლობის უგულებელყოფა მარცხით მთავრდება.

ამდენი რატომ ვილაპარაკე თამაშზე? მინდა, თამაშთა შორის ყველაზე ღრმასა და მნიშვნელოვანზე – ჭადრაკზე და მასზე დაწერილ რამდენიმე წიგნზე ვთქვა ორიოდ სიტყვა.

ჭადრაკის, ხელოვნებისა და ცხოვრების გამაერთიანებელი ღერძი თამაშია. ჭადრაკზე დაწერილი ნებისმიერი ნაწარმოების (მიგელ დე უნამუნოს „დონ სანდალიო, მოჭადრაკე“; სტეფან ცვაიგის „საჭადრაკო ნოველა“; ვლადიმერ ნაბოკოვის „ლუჟინის დაცვა“; ფრიდრიხ დიურენმა-



ტის „მოჭადრაკე“; უოლტერ ტევისის „ლაზიერის გამბიტი“) მთავარი იდეა ის არის, რომ ჭადრაკი ცხოვრების ალეგორიაა, მისი მეტაფორა. რომელიმე პოსტმოდერნისტი ავტორი არ დაგვეთანხმებოდა და იტყოდა, რომ, პირიქით, ცხოვრებაა ჭადრაკის მეტაფორა. ზოგს ჰგონია, რომ ჭადრაკში მთავარი გათვლაა და ამის გამო მას მათემატიკას ადარებენ. ეს შეხედულება გარკვეულწილად მართებულია, რადგან ამ თამაშშიც აუცილებელია აბსტრაქტული და ანალიტიკური აზროვნება, მაგრამ ჭადრაკი მშრალ რიცხვებამდე არ დაიყვანება. მათემატიკასაც აქვს საერთო მუსიკასა და პოეზიასთან... სინამდვილეში ჭადრაკში მთავარი გათვლა არ არის. იგებს არა ის, ვინც კარგად ითვლის, არამედ ის, ვინც პოზიციას კარგად გრძნობს. როგორც ხელოვნებაში, ჭადრაკშიც არსებობს სტილი, რიტმი, ინტუიცია, შეგრძნება. როდესაც ჩემი ჭადრაკის მასწავლებელი ალექს ბოკუჩავა ამის ახსნას ცდილობდა, ლამაზ საჭადრაკო კომპოზიციას დალაგებდა დაფაზე, შემოგვხედავდა, მარჯვენა ხელს აღმართავდა, სამ თითს: ცერას, საჩვენებელსა და შუას – შეაერთებდა და იტყოდა: ადამიანი რომ „ხმელ წიფელს“ წაიცოთხავს და ვერ შეიგრძნობს (ამ დროს განსაკუთრებული მღელვარებით გაუსვამდა ხოლმე თითის ბალიშებს ერთმანეთს), იმისგან ძლიერი მოჭადრაკე ვერ დადგებაო. ცდილობდა, პოზიციის შეგრძნება ესწავლებინა და ასე ამოგვეხსნა რთული ეტიუდები და ამოცანები. რა არის ეს, თუ არა უმაღლესი კლასის ესთეტიზმი? ჭადრაკში უმნიშვნელო სვლები, ასე ვთქვათ, უმნიშვნელო დეტალები ან მეორეხარისხოვანი წვრილმანები არ არსებობს. ამ გაგებით ის ცხოვრებაზე აზრიანია, რადგან ამ თამაშში არსებობს ჩამოყალიბებული, მკაცრად განსაზღვრული მიზანი და წესები, რომლებსაც მოთამაშე ნებაყოფლობით ემორჩილება, ნებისმიერ სვლაში და, შესაბამისად, პოზიციაში საზრისის შეტანა მკაცრად განსაზღვრული მიზნის განხორციელებისკენ სწრაფვის გამოხატულებაა. ამ აზრით ეს თამაში ტელეოლოგიურია. ნაბოკოვის ზემოხსენებულ რომანში მთავარი პერსონაჟისთვის ცხოვრება გაჭიანურებული საჭადრაკო პარტიაა (ცხოვრება მოსაწყენი თამაშია), მასში მუდმივად არის შენარჩუნებული ძლიერი დაძაბულობის ველი, რადგან ნებისმიერ ადამიანს ჰყავს იდუმალი მოწინააღმდეგე. ადამიანს, უნდა თუ არა, ყოველთვის უწევს სვლის გაკეთება, რაც მისი ბედისწერაა. სვლის გაკეთებისგან თავის შეკავება შეუძლებელია, რადგან არჩევანზე უარის თქმაც არჩევანია, ამიტომ მოთამაშე ნებისმიერ

შეცდომასა თუ სწორ გადაწყვეტილებაზე თავად არის პასუხისმგებელი და შედეგსაც შესაბამისს იმკის. ამ რომანში ჭადრაკი დაკავშირებულია ბავშვისთვის დამახასიათებელ სპონტანურობასთან, მარადიული ბავშვობის იდეასთან. ლუჟინი ბავშვობაში ჩარჩენილი ინტროვერტია. ეს მოტივი მეორდება უოლტერ ტევისის რომანშიც, მისი მთავარი პერსონაჟი ბეტ ჰარმონი ბავშვობიდან ვერ გამოდის. საერთოდ, ჭადრაკი ინტროვერტების თამაშია. ყველა დიდი მოჭადრაკე, გარკვეული აზრით, აუტიზმისკენ არის მიდრეკილი.

არის რაღაც საერთო მწერლებსა და მოჭადრაკეებს შორის: მწერალი ინტროვერტია – მას ლაპარაკზე უკეთ წერა გამოდის; მოჭადრაკეც ინტროვერტია – მას ლაპარაკზე უკეთ თამაში ეხერხება. მწერალი აკვირდება მოჭადრაკეს და წერს მასზე, აკვირდება იმას, ვინც თავადაც აკვირდება. ამ თამაშის მთავარი ატრიბუტებია თვითრეფლექსია, აზროვნება, დეტალების შემწევის არანორმალურად განვითარებული უნარი. მოჭადრაკე კონცენტრირებულია შინაგან სამყაროზე, ჩაკეტილია. ამიტომ როდესაც მოჭადრაკეზე (ჭადრაკზე) იწერება გენიალური წიგნი (ჩემი აზრით, მოჭადრაკეზე ცუდ წიგნს ვერ დაწერ – ან კარგი გამოდის, ან არაფერი), ის აუცილებლად მარტოობაზეა და თან ღრმად ფსიქოლოგიურია. მოჭადრაკე მარტოა, ის მარტო იღებს გადაწყვეტილებებს. ჭადრაკი არ არის კოლექტიური თამაში, ეს ინდივიდების თამაშია. ყველა ირაციონალური საწყისი, რაზეც ეგზისტენციალისტები და აბსურდისტები (ჰაიდეგერი, სარტრი, კამიუ, ბეკეტი, იონესკო და ა. შ.) მიგვითითებენ: შიში, ძრწოლა, იმედგაცრუება, თუნდაც სამყაროში გადაგდებულობა და ა. შ. – თავს იყრის მოჭადრაკეში, რომელიც დუმს. ჭადრაკი დუმილია, ონტოლოგიური დუმილი, რომელშიც აზრები, განცდები, იდეები და საგნები იბადება. როდესაც მოჭადრაკე პარტიის მსვლელობის დროს ფიქრობს (აქ შემოდის დროის კატეგორია, რომელიც ღრმა ფილოსოფიურ გააზრებას მოითხოვს. როგორ მიედინება დრო მოჭადრაკისთვის? ამის გააზრებასა და მხატვრულ ხორცშესხმას „ცნობიერების ნაკადის“ დიდოსტატი ჯეიმს ჯოისი თუ შეძლება), სხვა სპორტის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მხოლოდ პარტიაზე არ ფიქრობს, რადგან ჭადრაკის პარტია მხოლოდ ჭადრაკის პარტია არ არის და არც ჭადრაკია მხოლოდ სპორტი, ის სპორტზე ბევრად მეტია. ჭადრაკი ცხოვრების დიდი მეტაფორაა!



უმოქმედაბითობა როგორც ოპერაციული სისტემა

კენ რობინსონის სამი მეტაფორა განათლებაზე



კირა ბარბაქაძე

კენ რობინსონს კარგად იცნობენ როგორც თანამედროვე განათლების ექსპერტს. მისი გამოსვლები მართლაც რევოლუციურია და შემოქმედებითი და კრეატიული განათლების აუცილებლობის წარმოჩენისკენაა მიმართული. ხანდახან ვფიქრობ, რომ ასეთი განათლება შესაძლოა ყველასთვის არ იყოს, რადგან ყველა ვერ გრძნობს მის საჭიროებას, მაგრამ თუ ადამიანი ღვთის, შემოქმედის „სახე და ხატია“, მაშინ ყველაშია შემოქმედებითობის მარცვალი, რომელიც შესაძლოა არასდროს აღმოცენდეს, თუ შესაბამისი კლიმატური პირობები არ შეექმნა.

TED-ვიდეოებში კენ რობინსონი გვიყვება, როგორ დავაღწიოთ თავი განათლებაში „სიკვდილის ხეობას“ და როგორ ვიზრუნოთ მომავალ თაობებზე შესაძლებლობების კლიმატის შექმნით.

ჩემი ყურადღება პირველად სწორედ ამ მეტაფორებზე მიექცია: განათლების „სიკვდილის ხეობა“ და „კლიმატკონტროლი“.

მხოლოდ ამ ორი მეტაფორის გააზრებაც საკმარისია, რომ დაინახო თანამედროვე განათლების მდგომარეობა და მომავლის საუკეთესო პერსპექტივაც. რეალობიდან აღებული ნიშნებით რობინსონი ისე შემოქმედებითად ოპერირებს ჩვენი ცნობიერითა თუ არაცნობიერით, გვეჩვენება, რომ რეალობის მთელი მასალა (ფაქტები და მოვლენები) მხოლოდ ცნობიერების ტრანსლაციაა – ის გვიჩვენებს და აღწერს ადამიანის ცნობიერების მდგომარეობას და მისი შეცვლის გზებსაც გვთავაზობს. მთავარია, ზუსტად მიგვანთოთ იმ მეტაფორას, რომელსაც მოვლენის აღწერისთვის გამოვიყენებთ.

ჰობსის გაგებით, თეორიულად ცნობიერება არის ოპერირება ნიშნით. მან ჩამოაყალიბა ნიშანთა ტიპოლოგია, გაყო ნიშანთა მნიშვნელობა და ნიშანთა მასალა. განსხვავება ისაა, რომ ერთს მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მეორეს კი – სხვისთვის.

ვფიქრობ, რობინსონმა ზუსტი მეტაფორა შეარჩია. დიახ,

მართლაც არსებობდა ასეთი ხეობა, რომელსაც „სიკვდილის ხეობას“ უწოდებდნენ, რადგან წვიმა იქ არასდროს მოდიოდა და ყველაფერი ჩამკვდარი იყო (ამის შესახებ სხვა სტატიებშიც დავწერე). მაგრამ ერთხელ ნალექის მოსვლამ სრულიად შეცვალა, ააყვავილა ეს ხეობა. ამ მოვლენას თუ გავიზრებთ როგორც ცნობიერების მეტაფორას, ადვილად დავინახავთ, რა და რატომ სჭირდება თანამედროვე განათლებას.

რას გულისხმობს მეორე მეტაფორა – „კლიმატკონტროლი“? ერთხელ შექმნილი კლიმატი არაფრის მაქნისია, თუ ის არ ვაკონტროლეთ და სათანადო ტემპერატურა არ შევინარჩუნეთ. განათლების სისტემასაც ასევე სჭირდება იმ მეთოდების შერჩევა, რომლებიც ბავშვების მრავალფეროვან შესაძლებლობათა განვითარებისკენ იქნება მიმართული. რასაკვირველია, ეს ერთჯერადი პროცესი კი არ უნდა იყოს, არამედ განმეორებადი და თანამიმდევრული.

კენ რობინსონის მეტაფორებზე დაკვირვება დაგვანახებს, როგორ ჰგავს ზიარჭურჭელს ადამიანის შინაგანი და გარეგანი. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ გარეგანი მოვლენები ცნობიერების ტრანსფორმაციით ან, პირიქით, გარეგანი მოვლენებზე დაკვირვებამ შინაგანი ტრანსფორმაცია განგვაცდევინოს.

ყველა ჩვენგანს დროდადრო მოსდის კარგი იდეა. საქმე ის არის, როგორ გავწაფოთ ადამიანები, რომ მათ ბევრი კარგი იდეა მოუვიდეთ, რა სახის უნარებიც ამისთვის საჭირო. ვფიქრობ, პირველი ამოცანაა კრეატიულობისა და გონების კვლავ ერთმანეთთან დაკავშირება, რადგან ფაქტია, რომ ვერ იქნები შემოქმედებითი, თუ მაღალი ხარისხის გონებრივი უნარები არ გაქვს.

კიდევ ერთი მეტაფორით გამოხატული განათლების სისტემის „დიაგნოზი“: „**ბუნებრივი რესურსების კრიზისი**“.

რობინსონის მიხედვით, „**კლიმატის კრიზისი კომპასივით განათლებაში მომუშავე ადამიანებისთვისაა და, რა თქმა უნდა, კავშირშია ბუნებრივი რესურსების კრიზისთან. ეს გახლავთ არა მარტო ბუნებრივი რესურსების, არამედ ადამიანური რესურსებისა და ტალანტების არასწორი გამოყენებაც - იმ რესურსებისა, რომლებთან ერთადაც ჩვენ, ადამიანები, გავჩნდით ამ ქვეყანაზე. ჩვენმა საზოგადოებამ გამოიწვია ის, რომ ბუნებრივი რესურსების არასწორი და აქცენტირებული გამოყენე-**

ბით თაობების განმავლობაში არასწორად მოხდა ადამიანის ტალანტისა და ნიჭის გამოყენებაც.

შედეგი კი ის გახლავთ, რომ დღეს საქმე გვაქვს მასობრივ სოციალურ განხეთქილებასთან, მასობრივ სოციალურ უთანაბრობასთან და, შესაბამისად, სოციალურ თუ ინდივიდუალურ მღელვარებასთან“ (თარგმნა ლევან ალფაიძემ).

რა ზუსტი ანალოგიაა: ბუნებრივი რესურსების კრიზისი და ადამიანური რესურსების კრიზისი. თითქოს ის, რაც ბუნებაში ხდება, კარგავს ჩვენი ცნობიერებისგან გამყოფ ზღვარს ან, პირიქით, ჩვენი ცნობიერება პირდაპირ ვრცელდება ბუნე-

ბაში. ბუნებაც ხომ მეტაფორაა და ერთდროულად ნიშნავს შინაგანს და გარეგანს.

კენ რობინსონის მეტაფორებზე დავკვირვება დაგვანახებს, როგორ ჰგავს ზიარჭურჭელს ადამიანის შინაგანი და გარეგანი. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ გარეგანი მოვლენები ცნობიერების ტრანსფორმაციით ან, პირიქით, გარეგან მოვლენებზე დავკვირვებაშ შინაგანი ტრანსფორმაცია განგვაცდევინოს. მნიშვნელოვანი აქ ის კი არ არის, რომ უზრალოდ მივყავართ რობინსონის სიტყვებს და მეტაფორებს, არამედ ის, რომ მისი მემშვეობით გავაცნობიეროთ შინაგანი და გარეგანი და მათი ერთიანობა და განუყოფლობა და, რაც მთავარია, ცვლილებების აუცილებლობა იმისთვის, რომ ადამიანი უფრო შემოქმედებითი, რეალიზებული და ბედნიერი გახდეს და ჰარმონიაში მოვიდეს გარე სამყაროსთან, რადგან სხვაგვარად არც ბედნიერება არსებობს!

როგორც ჩანს, გარე და შინა სამყაროების მოდელირება ერთნაირად მიმდინარეობს. ამის დამტკიცება შედარებით იოლად შემიძლია პოეზიის ენაში, მაგრამ ეს მხოლოდ პოეზიას კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ საზოგადოდ ენასა და მეტყველებასაც. აი, რას წერს სამეცნიერო მეტყველებაში მეტაფორების გამოყენების შესახებ მეცნიერი სულხან ცაგარელი წიგნში „ცნობიერება“: „**სამყაროში მიმდინარე პროცესების**



შესაცნობად მეცნიერება ემყარება მოდელირების სხვადასხვა ფორმებს. მოდელირება კი თბოლობს შედარებას, პერსონიფიკაციასა და ანალოგიას. მეცნიერულ ენაში მეტაფორის მომრავლებას ხელი შეუწყობს ბუნებრივ და სოციალურ პროცესთა მათემატიკურმა მოდელირებამ. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავის ტვინში მიმდინარე ნეიროდინამიკური პროცესების ფიზიკურ და მათემატიკურ მოდელირებას“.

კენ რობინსონის მთავარი იდეაა, შემოქმედებითობა იქცეს ისეთ ოპერაციულ სისტემად, როგორიც წერა-კითხვის შესწავლაა. კრეატიულობა და შემოქმედებითობა უნდა დაუკავშირდეს სწავლებას, მისი ნაწილი გახდეს. მაგალითად, ჩვენ ვიცით, როგორ ვასწავლოთ წერა-კითხვა, მაგრამ საკითხი დგას ასე: როგორ ვასწავლოთ წერა-კითხვა შემოქმედებითად? სწავლების მეთოდი იმდენადიერი შეიძლება

იყოს, რამდენი მასწავლებელიცაა ამჟვეყნად, რადგან იდეები განუწყვეტლივ იბადება ჩვენს ცნობიერებაში. მთავარია, შევიძინოთ და ჩამოვტვირთოთ ცნობიერებაში ის ოპერაციული სისტემა, სოფტი, რომელიც კრეატიულობას სწავლებასთან დაკავშირებს და მერე უკვე ბუნებრივად განვითარდება ყველაფერი.

არსებობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ახლა კი დროა, „შემოქმედებითი აზროვნების გამავრცელებელი საზოგადოება“ შეიქმნას და მერე ორივე დაუკავშირდეს ერთმანეთს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ნამდვილი ცვლილება განათლებაში!

„ჩვენ შეგვეძლება კრეატიულობის ჩართვა და მისი დაკავშირება წერა-კითხვასთან, მათემატიკასთან, მეცნიერებებსა და სასწავლო პროგრამის სხვა ნაწილებთან. თუ ვაპირებთ, შემოქმედება, ინოვაცია და წარმოსახვა განათლების

ცენტრალურ წერტილებად ვაქციოთ, არ შეიძლება, ისინი გაფანტულ ოცნებებად დავტოვოთ. ყველა ჩვენგანს დროდართ მოსდის კარგი იდეა. საქმე ის არის, როგორ გავწაფოთ ადამიანები, რომ მათ ბევრი კარგი იდეა მოუვიდეთ, რა სახის უნარებია ამისთვის საჭირო. ვფიქრობ, პირველი ამოცანაა კრეატიულობისა და გონების კვლავ ერთმანეთთან დაკავშირება, რადგან ფაქტია, რომ ვერ იქნები შემოქმედებითი, თუ მაღალი ხარისხის გონებრივი უნარები არ გაქვს. ხოლო გონების უმაღლესი ფორმა სწორედ შემოქმედებაა“ (კენ რობინსონი, თარგმნა ლევან ალფაიძემ).



გამოყენებული წყაროები:

1. <https://www.english-video.net/v/ka/1738>
2. <http://www.edutopia.org/sir-ken-robinson-creativity-part-one-video>



თემურ სუყაშვილი

კომპასი და სხვა რესურსი ადამიანის უფლებების სწავლებისთვის

**სამოქალაქო
განათლების/
მოქალაქეობის
სწავლებისას
რესურსებს დიდი
მნიშვნელობა
აქვს. თეორიულ
საკითხებთან კარგად
დაკავშირებული
პრაქტიკული
სავარჯიშოები
მთლიანად ცვლის
სასწავლო პროცესს.
კომპლექსურ
დავალებებზე
მუშაობის დროს,
სკოლაში სრულდება
აქტივობები, რომლის
მიზანია გააქტიუროს
შეფასების
კრიტერიუმები.**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. მოსწავლეები კონკრეტული თემით გათვალისწინებული საკითხების შესწავლის პარალელურად ასრულებენ კომპლექსურ დავალებებს, რომელზეც მუშაობა აძლევთ საკუთარი ცოდნის წარმოჩენის საშუალებას შესასწავლ საკითხთან მიმართებით.

სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის სწავლებისას რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს. თეორიულ საკითხებთან კარგად დაკავშირებული პრაქტიკული სავარჯიშოები მთლიანად ცვლის სასწავლო პროცესს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, სკოლაში სრულდება აქტივობები, რომლის მიზანია გააქტიუროს შეფასების კრიტერიუმები.

საგან მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების ფარგლებში, საკითხი ადამიანის უფლებები ისწავლება IX-X კლასში. თუმცა, ეს ვრცელი თემა ლაიტმოტივად გასდევს სასწავლო დისციპლინას. VII კლასიდანვე უკვე ისწავლება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კულტურული მრავალფეროვნება და ტოლერანტობა, დისკრიმინაცია და მისი სახეები და სხვა.

საგაკვეთილო პროცესში კეთებით სწავლას, სიმულაციასა და მოდელირებას განსაკუთრებული ეფექტი აქვს. სწორედ ამ დროს ამართლებს კონფუციუს სიტყვები: „მითხარი და დამავიწყდება,

მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და ვისწავლი“.

ამ წერილით მინდა გაგაცნოთ ევროსაბჭოს ეგიდით შექმნილი რამდენიმე სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოები წარმატებით შეიძლება გამოიყენონ როგორც ფორმალური, ასევე სამოქალაქო კლუბების ფორმატში, ადამიანის უფლებების პრობლემებზე მომუშავე განმანათლებლებმა.

ბუქმარკსი

სახელმძღვანელო „ბუქმარკსი“ შექმნილია ევროპის საბჭოს კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ფარგლებში და ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე. მისი მიზანია, მხარი დაუჭიროს „მოძრაობას სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ – ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ კამპანიას, რომელიც ებრძვის სიძულვილის ენას ინტერნეტსივრცეში.

სახელმძღვანელოში თავმოყრილია სიძულვილის ენასთან ბრძოლის 24 (სავარჯიშოები, როლური თამაშები, სიმულაცია) აქტივობა, რომელსაც მოჰყვება ჩატარების დეტალური ინსტრუქცია, როლური ბარათები და დასარიგებელი მასალები. აქტივობები ფარავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სიძულვილის ენა, გამოხატვის თავისუფლება, რასიზმი და დისკრიმინაცია, პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება, დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა და ა.შ.

დომინო

„დომინო“ არის ევროპის საბჭოს ეგიდით გამოცემული კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება/ინსტრუმენტი.

ჩვენ შეგვიძლია

სახელმძღვანელო – „ჩვენ შეგვიძლია“ – მიმართულია სიძულვილის ენის წინააღმდეგ და გვთავაზობს მასთან შეწინააღმდეგებას საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შემუშავებით.

ხოლო კომპასიტო 12-14 წლის მოზარდებთან გამოიყენონ.

ერთი აქტივობა კომპასიდან (ადაპტირებული ვერსია)

ადამიანის უფლებების განვითარება ხანგრძლივი პროცესის შედეგია. აღნიშნული დაკავშირებულია თარიღებთან, მოვლენებთან, პიროვნებებთან და ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებთან. მათ შესახებ მსჯელობა მოსწავლეებისთვის ხშირად მოსაწყენ პროცესად იქცევა. კომპასში მოცემული ერთი საინტერესო და სახალისო აქტივობით შეგვიძლია მოსწავლეებს ვაჩვენოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ადამიანის უფლებები კაცობრიობის



კომპასი და კომპასიტო

არაფორმალური განათლების მიმდევრებში კომპასი და კომპასიტო ძალიან ცნობილი რესურსებია. კომპასში მოცემული სავარჯიშოები მასწავლებლებს შეუძლიათ დაენერგონ 15 წლიდან,

განვითარებისა და საუკუნეების მსვლელობათა პარალელურად.

საკლასო ოთახის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე გავავლოთ თოკი, რომელიც ერთგვარი დროის ხაზის ფუნქციას შეასრულებს. თოკზე

ამ წერილით
მინდა გაგაცნოთ
ევროსაბჭოს ეგიდით
შექმნილი რამდენიმე
სახელმძღვანელო.
სახელმძღვანელოები
წარმატებით შეიძლება
გამოიყენონ, როგორც
ფორმალური,
ასევე სამოქალაქო
კლუბების ფორმატში,
ადამიანის უფლებების
პრობლემაზე მომუშავე
განმანათლებლებმა.



მცირედი დაშორებებით გამოვყოთ ათასწლეულები, საუკუნეები, XIX-XX საუკუნეებში მოკლე პერიოდები. წინასწარ მოგამზადოთ თეორიული ინფორმაცია, რომელშიც თავმოყრილი იქნება ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის მაგალითები და ადამიანის უფლებების განვითარების კუთხით მიღებული ძირითადი დოკუმენტების თარიღები და მათი დასახელებები უძველესი დროიდან (ჰამურაბის კანონებიდან თუ კიროს II დიდის დეკლარაციიდან) დღემდე. ამოზეჭდილი თეორიული მასალები, დავყოთ ნაწილებად, განვათავსოთ საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეში.

განვუმარტოთ მონაწილეებს, რომ მათ შეუძლიათ ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ ან გაიხსენონ სხვა დოკუმენტები, მოვლენები თუ პიროვნებები რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ჭრილში.

მოსწავლეებს ვთხოვთ იმოძრაონ კლასში ამოირჩიონ თარიღები, მოვლენები ან ისტორიული პერსონები, დაწერონ ისინი ბარათებზე და ჩამოკიდონ შესაბამის საუკუნესთან თუ ეპოქასთან ახლოს. მივცეთ ამისათვის 10-15 წუთი.

განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ვთხოვთ მოსწავლეებს გაეცნონ თანაკლასელების მიერ დაწერილ და თოვზე განთავსებულ ინფორმაციას.

აქტივობის შეჯამებისთვის დავსვათ კითხვები:

- რა აღმოაჩინეთ?
- რამ შთაგავონათ?
- რატომ იზრდება კაცობრიობის განვითარების კვლადკვალ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მიღებული დოკუმენტების რაოდენობა?

რატომ ვირჩევ თანასწორობას?

პუბლიკაციაში „რატომ ვირჩევ თანასწორობას?“ თავმოყრილია თანასწორობის საკითხზე დაწერილი 10 მოსწავლის ესე. საინტერესო იქნება მათი განხილვა მოსწავლეებთან ერთად, რადგან ისინი ძირითად ეხება საქართველოში ტოლერანტობის, თანასწორობის, კულტურული მრავალფეროვნების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებს.

ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებში მოცემული სავარჯიშოების, როლური თამაშების, აქტივობებისა თუ სცენარების ადაპტირება შესაძლებელია სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის გაკვეთილებზე და სამოქალაქო კლუბებისა და დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში.



გამოყენებული წყაროები:

1. <https://rm.coe.int/-/1680a35dbc> ბუქმარკსი
2. <https://rm.coe.int/168008db3e> დომინო
3. <https://rm.coe.int/wecan-georgian-nov-2018-2018/16808ec5f9> ჩვენ შეგვიძლია
4. <https://rm.coe.int/compasito-geo/16809816cf> კომპასიტო
5. <https://rm.coe.int/compass-geo/16809816d0> - კომპასი
6. <https://rm.coe.int/ichooseequality/16809e8ed9> რატომ ვირჩევ თანასწორობას?

სტიგმატიზირებული დიაგნოზი სკოლაში



მეგი კავთუაშვილი

სკოლაში ხშირად მოისმენთ ფრაზებს – „მშობელი შვილის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას არ აღიარებს“; „მშობელმა უარი თქვა, ბავშვი მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს“; „მშობელს არ უნდა თავისი შვილის მდგომარეობის მიღება“; „მშობელს შვილი ფსიქოლოგთან არ მიჰყავს“; „მშობელი საქმის კურსში არ გვაყენებს, რა დიაგნოზი აქვს მის შვილს“ და ა.შ.

მშობელი, მშობელმა, მშობელს, მშობლის... მშობელი – ეს სიტყვა ყველა ბრუნვაში ისმის...

უმეტესად, ასეთი მოსაზრებები სკოლის თანამშრომლებს ეკუთვნით, რათა ხაზი გაუსვან, როგორ არ ეხმარებიან მშობლები პედაგოგებს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. ამ ყველაფრის მიღმა კი ერთადერთი კონტექსტი იკითხება – „მშობელი არ ეხმარება თავის შვილს და ჩვენ, სკოლამ, მასწავლებლებმა, რა ვენათ?!“

შესაძლოა გაუცნობიერებლად, მაგრამ თითოეული ასეთი ფრაზა მშობლის ირიბი დადანაშაულება და კრიზისიდან მშრალად გამოსვლის მცდელობას ჰგავს. მაშინაც კი, როცა ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებები უსაფუძვლო არ არის.

სკოლაში ნაკლებად ფიქრობენ, რატომ აკეთებენ ამას მშობლები? არ ეხმარებიან თუ ვერ ეხმარებიან შვილებს? რა უდევს საფუძვლად მშობლის ასეთ ქცევას? ამ საკითხებზე სპეციალისტების გარდა არავინ საუბრობს. მათი მოსმენა კი ცოტას თუ გვიყვარს.

შევთანხმდეთ, რომ ბავშვისთვის ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, განსაკუთრებულ საჭიროებაზე ეჭვის შემთხვევაში მშობელს შვილი სპეციალისტთან წაეყვანა; გაეკეთებინა შეფასება; შემდეგ სკოლაში მიეტანა ფურცელზე ამობეჭდილი, ბეჭედდარტყმული დიაგნოზი ან საუკეთესო შემთხვევაში სპეციალისტის მიერ

პედაგოგებისთვის გაცემული რეკომენდაციები, რომლითაც მასწავლებლები იმოქმედებდნენ; პარალელურად შვილი ეტარებინა ყველა ტიპის თერაპიაზე, რაც მას სჭირდება. ასეც ხდება, როცა მშობელი თავის თავში პოულობს ძალას, ეს ყველაფერი გააკეთოს. მაგრამ თუ ეს ძალა ვერ იპოვა...

❖ თუ შევშინდა, რომ მის სტატუსთან შვილს სკოლაში დასცინებენ...

❖ თუ შევშინდა, რომ მის შვილს განსხვავებულის სახელი დაერქმევა;

❖ მასაც ისევე დაუძახებენ „ინკლუზიურ ბავშვს“, „აუტისტს“, „დაუნს“, „ბნედიანს“, „ფსიხსა და შემოწმებულს“, როგორც ეს სხვამ მოუხმენია;

❖ თუ შევშინდა, რომ მისი საყვარელი შვილი საზოგადოებისთვის მოსიარულე დიაგნოზად გადაიქცევა, რის შემდეგაც ბავშვის ყველა თვისებას და ხასიათის თავისებურებას დიაგნოზი

ჩვენი სინამდვილე ასეთია – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სტიგმა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთა შორის მშობლებიც არიან, აღარ შესწევთ ძალა, გაუმკლავდნენ ზემოთ ჩამოთვლილ სტრესორებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოებაში იბადება, ვითარდება, თავს ესხმის და უკან სწევს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებს.

დაჩრდილავს. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი კი აღარ იქნება ამ ბავშვში მთავარი, არამედ დიაგნოზი;

● თუ შეეშინდა, რომ არავის მოუწოდებდა სტუმრად მივიდეს მასთან და დაპატიჟოს მისი შვილი, იმიტომ რომ სხვანაირია;

● თუ შერცხვება მისი შვილის გამო, იმიტომ რომ სიბრაღეებით ან ბრაზით მიაჩერდებიან;

● თუ შეეშინდება, რომ მის შვილს განსხვავებულობის გამო გარიყავენ;

● თუ საზოგადოება განსხვავებული შვილის გამო თავს უბედურ ადამიანად აგრძნობინებს;

● თუ საზოგადოება მისგან მსხვერპლის ან გმირის შექმ-

ნას შეეცდება და მიზეზების ძიებას დაიწყებს, რატომ მოუვლინა განგებამ განსაცდელის თუ საჩუქრის სახით ეს ბავშვი;

● თუ შეეშინდა, რომ ამ დიაგნოზის დადგენის და გასაჯაროების შემდეგ მისი შვილი „ჩვეულებრივი ბავშვი“ აღარ იქნება და მისი ცხოვრება უარესობისკენ შეიცვლება, რა თქმა უნდა, **ის ყოველთვის შეეცდება, რომ ბავშვის უცნაური საქციელი მის ხასიათს ან გარემო პირობებს დააბრალოს და არ აღიაროს, რომ ბავშვს სპეციალური საჭიროება აქვს.**

ჩვენი სინამდვილე ასეთია – სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სტიგმა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთა შორის მშობლებიც არიან, აღარ შესწევთ ძალა, გაუმკლავდნენ ზემოთ ჩამოთვლილ სტრესორებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოებაში იბადება, ვითარდება, თავს ესმის და უკან სწევს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებს. ჩვენ ასე გვჯერა, რომ „**ღმერთი ყველას იმხელა განსაცდელს გვიგზავნის, რისი ზიდვაც შეგვიძლია**“, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „**მშობელმა ყველაფერი უნდა შეძლოს, რაც მის შვილს სჭირდება, იმაზე მეტიც უნდა შეძლოს, ვიდრე შეუძლია, ვიდრე რესურსი**



აქვს“. ვამბობთ სიტყვას „უნდა“, მაგრამ არ ვფიქრობთ, შეუძლია კი? ყველას შეუძლია? ყველას ერთნაირად შეუძლია?

და ჩვენ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ მშობელ-მა შვილის დახმარება შეძლოს? მე, როგორც ერთი ადამიანი:

ესწავლობ სწორი ტერმინებით საუბარს, თუ ჯერ კიდევ „ინკლუზივს“ ვეძახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს?

მაქვს ადეკვატური მოლოდინები ამ ბავშვის მიმართ, თუ მგონია, სტატუსიანი ბავშვი მაინც ვერაფერს მიაღწევს?

მინდა ჩემი შვილის მეგობრად, ქმრად, ცოლად ისეთი ადამიანი, ვისაც განსხვავებულის იარაღი აქვს?

როგორ ვიქცევი, როცა სკოლაში, ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში თუ სხვაგან ბავშვს ტანტრუმი აქვს? ყურადღებას არ ვამახვილებ, მშობელს თანადგომას ვუცხადებ, თუ ამრებით ვუყურებ და მივუთითებ, რომ ცუდი მშობელია, შვილი ვერ გაუზრდია, მგზავრებს აწუხებს, ტრანსპორტიდან უნდა ჩავიდეს...

ჩვეულებრივ ამბად ვიღებ, როცა ჩემთან სტუმრად სპეციალური საჭიროების ბავშვი მოდის, თუ მირჩევნია სახლში დატოვონ მშობლებმა?

ვაცნობიერებ, რომ კანონის წინაშე ეს ბავშვი სხვათა თანასწორია, თუ მენანება ჩემი დრო, რომელიც მას უხვად უნდა დავახარჯო და სხვებს მოვაკლო?

ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ სსსმ მოსწავლეები ინკლუზიურად, ჩვეულებრივ სკოლაში უნდა იღებდნენ განათლებას, თუ გულის სიღრმეში მიმაჩნია, რომ „მათთვისვე იქნება უკეთესი, თუ ცალკე იწავლიან“.

ვეხმარები მშობელს, გვერდით დაუდგეს შვილს? თუ მთელ ძალას იმაზე ვხარჯავ, რომ ის დავანახო და დავუმტკიცო, რასაც მე ვხედავ, ის კი არ აღიარებს?

ჩემდაუნებურად, მე თვითონ ხომ არ ვეძინი სკოლაში მასტიგმატიზებელ გარემოს?

თუ ჩვენ ამ და მსგავს შეკითხვებს გულწრფელად ვუპასუხებთ, მივხვდებით, რატომ უჭირთ მშობლებს შვილის სპეციალური საჭიროებების აღიარება. იმასაც მივხვდებით, რა უნდა გავაკეთოთ, რომ აღარ გაუჭირდეს და იმასაც, რომ სინამდვილეში ჩემი მიზანი ბავშვის დახმარება კი არა, მშობლისთვის იმის დამტკიცებაა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ვიყავი მართალი.

თუ სკოლის თანამშრომლებს ბავშვის დახმარება სურთ, ემპათიაა საჭირო. მშობლის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების გარეშე სკოლა ვერ გახდება მშობლის პარტნიორი და არც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ოჯახს მოუხდება სკოლასთან თანამშრომლობა.

შესაძლოა, ბევრ პედაგოგს გულწრფელად სურდეს ბავშვისთვის საუკეთესო და ამაში მშობლის როლსაც მკაფიოდ

ხედავდეს, მაგრამ ის უნდა შეეგუოს მოცემულობას, რომ ყველა მშობელს ერთნაირი რესურსი არ აქვს.

სპეციალისტების რეკომენდაციით, სიტუაციიდან გამოსავალი ასეთია: სკოლა და პედაგოგები მშობლის მაგივრად მის პასუხისმგებლობას ვერ აიღებენ. მათ უნდა გააგრძელონ მშობლებთან მუშაობა, შექმნან უსაფრთხო კლიმატი, დაამყარონ სწორი კომუნიკაცია, აგრძნობინონ მშობლებს, რომ ეს თანამშრომლობა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ წარიმართება. თუ მშობელს ეცოდინება, რომ სკოლა ყველა ზომას მიიღებს, მისი შვილი სტატუსის გამო დაცინვის სუბიექტი და თითოთ საჩვენებელი არ გახდეს; ამ სტატუსის გამო პედაგოგები მასზე ხელს არ ჩაიქნევენ და ბავშვს დარჩენილი სასკოლო წლების რესურსოთაში გატარება არ მოუწევს; მასწავლებლები და კლასელები „ინკლუზიურ ბავშვს“ არ დაუძახებენ; სასკოლო საზოგადოება იზრუნებს, აიმაღლოს ცნობიერება მისი მოსწავლის საჭიროების შესაბამისად; თუ ეცოდინება, რომ საზოგადოება არ გარიყავს განსხვავებულობის გამო და მშობელს არ შეარცხვენს, თუ მისი შვილი გამოავლენს მიუღებელ ქცევას, მას გაუადვილდება მიიღოს შვილი ისეთი, როგორიც არის. მიიღოს და იმოქმედოს ბავშვის ინტერესების შესაბამისად.

დაბოლოს, ის რაც ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ. სპეციალისტები ამბობენ, რომ დიაგნოზის გაგებიდან დიაგნოზის მიღებამდე მშობლები გრძელ და



სპეციალისტები ამბობენ, რომ დიაგნოზის გაგებიდან დიაგნოზის მიღებამდე მშობლები გრძელ და ინდივიდუალურ გზას გადიან. არ არსებობს ნორმა, რა ვადაა საჭირო, იმისთვის, რომ მშობელმა შვილის დიაგნოზს თვალი გაუსწოროს და დაგეგმოს, როგორ დაეხმაროს ბავშვს.

ინდივიდუალურ გზას გადიან. არ არსებობს ნორმა, რა ვადაა საჭირო, იმისთვის, რომ მშობელმა შვილის დიაგნოზს თვალი გაუსწოროს და დაგეგმოს, როგორ დაეხმაროს ბავშვს. ერთ მშობელს თუ რამდენიმე საათი ჰყოფნის, სხვას შეიძლება მთელი ცხოვრება დასჭირდეს ამისთვის. განცდა, რომელიც შვილის დიაგნოზის პირველად მოსმენის შემდეგ ეუფლება მშობელს, ძალიან ჰგავს დანაკარგის მდგომარეობას. მშობელი გლოვობს იმ წარმოდგენებს, სურათხატებს, ცხოვრების გეგმებსა და მოლოდინებს, რაც შვილის მუცლად ყოფნის პერიოდიდან თავისდაუნებურად ჰქონდა შექმნილი. მას შეიძლება დაეფლოს ბრაზი, სასოწარკვეთა, უარყოფა, დეპრესია. ის შეიძლება სვამდეს შეკითხვებს: რატომ მაინცდამაინც მე? რატომ მაინცდამაინც ჩემი შვილი? რამ გამოიწვია ეს? ეძებდეს მიზეზებს წარსულსა

და აწყოში, ადანაშაულებდეს თავის თავსა და სხვებს. მაშინაც კი, როცა სახეზეა დიაგნოზის ყველა ნიშანი, უჭირდეს თვალი გაუსწოროს სინამდვილეს. ამ დროს მშობელი ხშირად ფიქრობს: იქნებ შეეშალათ? ებლა-უჭება იმედს და უარყოფს დიაგნოზს. ვიდრე მატრავმირებელ მოვლენას მიიღებდეს, მშობელი სხვადასხვა თანმიმდევრობით გადის ამ ფაზებს. ასეთ დროს მშობლებს გაკიცხვის ნაცვლად მოსმენა, გამხნეება, მხარდამჭერი და თანასწორი გარემო სჭირდებათ, სადაც არაფრის შეეშინდებათ, სადაც ეცოდინებათ, რომ საზოგადოება და მათ შორის სკოლა, მიიღებს მის შვილს, თუნდაც ის სხვებს არ ჰგავდეს.

ვიდრე მშობელი ამ ურთულეს გზას გაივლის და აღიარებს, რომ სირთულე არსებობს, მანამდე საჭიროა, ყოველგვარი ფორმალუბის გარეშე, სკოლაში

გავავითოთ ყველაფერი, რასაც გავაკეთებდით იმ შემთხვევაში, მშობელს აღიარებული რომ ჰქონოდა შვილის დიაგნოზი.

წერილის შინაარსი ეყრდნობა თამარ გაგაშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის ფსიქოდიანოსისა და ფსიქოკონსულტანტის, ზანდა ჩეჩელაშვილის ვიდეოლექციას მშობლებისა და პედაგოგებისთვის, რომელიც ჩატარდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ წარმოებული საკომუნიკაციო კამპანიის „დინახე ყველა ფერი“ ფარგლებში. წყარო <https://www.facebook.com/dainaxevelaferi/videos/770619260577077>



ძვირფასო მასწავლებლებო!
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგზეტი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

„თანამედროვე სკოლის მართვა“



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

თანამედროვე სკოლის მართვა

გერიკა შუბაძე, ნათო ინგოროვა, მანანა რატიანი,
ხათუნა ბარბაქაძე, ეკატერინე პერიკაშვილი,
სოფიო ლუგვანიძე, ნათია ნასვლიშვილი

რედაქცია: „მასწავლებელი“ ჟურნალი და „Mastsavlebeli.ge“ გზეტი

გამომცემი: „მასწავლებელი“ ჟურნალი და „Mastsavlebeli.ge“ გზეტი

დისტრიბუტორი: „მასწავლებელი“ ჟურნალი და „Mastsavlebeli.ge“ გზეტი

